სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 2 ივლისი 1999 №123 (896) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

2 დინამო ტორპედოს ხურდა დაუბრუნა

9 მაისს ქუთაისში 1:3 წაგების პასუხი ჩემპიონმა თასის მფლობელს გუშინ გასცა: 3:1 მოუგო

3 კოპალეიშვილის ახალი თავსატეხი

თვრამეტწლამდელთა მეგოლე ლაშა ჯაკობია სასწრაფოდ საოპერაციოა!

4 ლანტანა ესტონურში ჩაიჭრა, ახლა ბურთაობაში ვნახოთ

ტალინის რუსული სათვისტომოს გუნდს ბელოვების დინასტია მართავს

8 რონალდოს ორი გოლი

ბრაზილიელებმა „კოპა ამერიკა“ ვენესუელის განადგურებით დაიწყეს

8 მანჩესტერელთა უარი

„იუნაიტედი“ ასოციაციის თასზე მომავალ სეზონში არ ითამაშებს

8 მამაკაცების გულის გასახეთქად

ჯომოლუნგმაზე საიერიშოდ გამგზავრებამდე იუნკო ტაბეის უთქვამს, ან დავიპყრობ მსოფლიოს უმაღლეს მწვერვალს, ან მოვკვდებიო

ლიტვას საბონისი შტირემს

EURO BASKET 99 FRANCE

გუშინ, ვიდრე ესპანეთი ლიტვას სძლევდა, იტალიამ შავი დღე აყარა რუსეთს და 23 ქულით მოუგო. ფრანგებმა ბოლოსღა გამოგლიჯეს გამარჯვება თურქებს, ხოლო იუგოსლავიას გერმანიასთან თავი ზედმეტად არ აუტკიებია. ამრიგად, დღეს ნახევარფინალში ითამაშებენ:

იტალია — იუგოსლავია
საფრანგეთი — ესპანეთი

ამ ოთხმა გუნდმა უკვე მოიპოვა სინდეის ოლიმპიადის საგზური. დანარჩენი ორი რუსეთ—გერმანიის და ლიტვა—თურქეთის დღევანდელ მატჩებში გამარჯვებულებს ერგებათ

იხილეთ მეთოთხმეტე და მეთხუთმეტე გვერდები



REUTERS პარი ზიდან

ესპანეთი — ლიტვა 74:72. ესპანელი ალფონსო რეიესი (ბურთით) გინტარას ეინიკისის (შუაში) და შარუნას იასიკევიჩუსის წინააღმდეგ

შტეფი გრაფმა შავი ლრუბელი გაფანტა

REUTERS ლონდონიდან

შტეფი გრაფი

გუშინ, ერთდღიანი „უქმობის“ მერე „ოლ ინგლენდ კლაბს“ უიმბლდონს შეჩვეული ღვთის რისხვა — წვიმა ახალი ძალით დაატყდა თავს. მზემ დამალობანა დღის ბოლომდე ითამაშა, გასახდელიდან კორტზე და კორტიდან გასახდელში გაუთავებელმა სირბილმა მარტო ჩოგბურთელებს კი არა, მაყურებლებსაც დააწყვიტა ნერვები, მაგრამ ბოლოს...

ბოლოს კი წვიმით შეღონებული ხალხი ისევ შტეფი გრაფმა ახეირა და ასეირა: ჩოგბურთის „ცოცხალმა კლასიკოსმა“ შეწყვეტილ-განახლებულ შეხვედრაში ახალთაობელთაგან ყველაზე „კოლორიტული“, ვინუს უილიამსი 6:2, 3:6, 6:4-ით გაამწარა. რა თამაში იქნებოდა, იოლი წარმოსადგენია. მანამდე კი კაცებისა და ქალების ოთხ-ოთხი მეოთხედფინალიდან მხოლოდ ერთის დასრულება მოხერხდა: ლინდსი დევენპორტმა უიმბლდონის შარშანდელი ჩემპიონი იანა ნოვოტნა 6:3, 6:4 დაამარცხა.

ალექსანდრა სტივენსონის მამისა და ლინდსი დევენპორტის წარმატების საიდუმლო, ბორის ბეკერის უკანასკნელი უიმბლდონური ინტერვიუ

იხილეთ მე-11 გვერდზე



ვინუს უილიამსი

ორი ათას წლამდე

თბილისი
1 ივლისი
18.30 საათი
ეროვნული
1 500 (ტევადობა 75 000)

დინამო 3:1 ტორპედო

1:0 ალექსიძე (33), 1:1 იონანიძე (44), 2:1 ქებაძე (78), 3:1 ვ. გიგიაძე (90)

დინამო: ლომაია, შაშიაშვილი, კობიაშვილი, ვაშაკიძე, ბ. ჯინჭარაძე, სიჭინავა (ქებაძე 46), კიკნაძე (ვ. გიგიაძე 46), ალექსიძე (ა. სახვაძე 46), გ. შენგელია (ს. გიგიაძე 46), ხომერიკი (აშვეთია 46), წიტაიშვილი

სათადარიგო: ბათიაშვილი

ტორპედო: ჭანტურია, მაღლაკელიძე, შეყრილაძე, ხვადაგიანი (ჩხაბერიძე 60), თურმანიძე (სიდამონიძე 59), კ. კვეტენაძე (ვაჩიბერაძე 62), იონანიძე, ვ. მაისურაძე (მაზანიშვილი 46), ჩხეტიანი (შ. ხუჯაძე 46), ზირაქიშვილი (მეტრეველი 46), მეგრელაძე (იმედაძე 55)

სათადარიგო: სტურუა

მსაჯები: ლ. მიქელაძე (სამტრედია); ზ. დოლიძე, მ. ელიკაშვილი; ზ. ჯვარიძე (ყველა თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ლ. ყიფიანი

ბადრი ჯღენტაძის ფოტო

„დინამოს“ ქუთაისელები: მეორე ტაიმი გაკაპიტნებული მიხეილ აშვეთია და მესამე გოლის გამტანი ვასილ გიგიაძე ალექსანდრე შეყრილაძეს გასცდნენ

ხვიჩა სანიკიძე

შესანიშნავი ოქმს თუ გადახედავთ, უმალ ელექტროტაბლოს ნათურები შეგებრალებათ, ოღონდ არა სტადიონისა. 3:1 ჩვეულებრივი საფეხბურთო ანგარიშია, თანაც არა იშვიათი. 62-ე წუთზე უნდა გენახათ, როგორ ბეუტავდა სათადარიგო მსაჯის ხელში ფედერაციის მიერ ჩვილი ბავშვივით მოკლილი ელექტრონული დაფა. სწორედ იმ დროს ოცდამეოთხეჯერ აინთო მისი ეკრანი და კვეტენაძის ვაჩიბერაძით გამოცვლა გვამცნო. იოჰან ბოსკამპის თანაშემწე ფრანსუა დე იონგივით უშრეტი ენერგიის წყარო როდი აქვს იმ მინი-ტაბლოს და მისმა ბრწყინვალებამაც ადრინდელივით ვეღარ მოგვჭრა თვალი. 12 ფეხბურთელი გამოიცვალა გუშინდელ ამხანაგურ შეხვედრაში. თუმცა ვისთვის როგორ იყო ის მატჩი ამხანაგური, კიდევ საკითხავია. ორივე გუნდი გამალებულ საევროპო სამზადისშია და ფეხბურთელებიც ცდილობენ, მწვრთნელებს თავიანთი სიძლიერე დაუმტკიცონ. თავკაცებმაც მხარი აუბეს ძირითად შემადგენლობაში მოსახვედრად მოწადინებულ მოთამაშეებს და ყველა მათგანს მისცეს თავის გამოჩენის საშუალება, მაგრამ... სათადარიგო მეკარეებმა რაღა დააშავეს, ვერ გამიგია...

მატჩამდე ქუთაისიდან საათნახევრით ადრე ჩამოსულმა ტორპედოელებმა პირველად ითამაშეს ახალი მწვრთნელის, დავით ყიფიანის დარიგებებით. თუმცა მათი მოქმედება ვარჯიშს უფრო წაგავდა, ვიდრე ფეხბურთის თამაშს. ისე, გუშინდელი შეხვედრიდან გამომდინარე, საქართველოს ვიცე-ჩემპიონისა და თასის მფლობელის კრიტიკა ცოტა უადგილო იქნება. გუნდმა სულ ცოტა ხნის წინ დაიწყო მზადება და სასურველ ფორმის მიღწევამდე ჯერ კიდევ შორია. მთავარია, თავად დავით ყიფიანმა დაინახა შეგირდების სუსტი მხარეები და ალბათ შესაბამისი დასკვნებიც გამოიტანა. ერთი რამ კი ცხადია — „ტორპედო“ მისი ლიდერის ფეხმტკივან დავით ჯანაშიას და ოჯახური პრობლემების გამო დროებით გამოკლებული ბადრი ახვლედიანის გარეშე აშკარად სუსტად გამოიყურებოდა.

ჯერჯერობით, ვერც ბოსკამპის „დინამო“ ტოვებს აწყობილი ანსამბლის შეთაბეჭდილებას. ჰოლანდიელი სპეციალისტიც კარგად ამჩნევს ამას და ფეხბურთელებისთვის შესაბამისი ამპლუის ძიებაშია.

ორივე ტაიმში აშკარა იყო ჩემპიონების უპირატესობა და მაყურებელმაც ცალკარა თამაში იხილა. შექმნილი მომენტების სრულად აღწერა შორს წაგვიყვანს. უმჯობესია, ორივე გუნდის სათამაშო რგოლების შესახებ ვთქვათ.

„დინამოს“ ერთ ხაზზე განლაგებულ მცველებს ბევრი სამუშაო არ ჰქონიათ, მაგრამ ერთადერთი გაშვებული უპატიებელ შეცდომად უნდა ჩავუთვალოთ. მარჯვენა ფლანგიდან კვეტენაძის ჩაწოდებულ ბურთზე ლომაიას სიახლოვეს მხოლოდ ტორპედოელი იონანიძე იდგა და მანაც უპრობლემოდ გაიტანა თავით.

ნახევარმცველები შედარებით კარგად გამოიყურებოდნენ. საყრდენებად გამწესებულები — სიჭინავა და კიკნაძე სრულად ბატონობდნენ მოედნის ცენტრში. რატი ალექსიძე ჩვეულად აქტიურობდა მარცხენა ფლანგზე. მარჯვნიდან შემტევ გიორგი შენგელიას კი ქუთაისელთა მარცხენაფლანგელებმა — კახა ჩხეტიანმა და ირაკლი მაღლაკელიძემ არ მისცეს გასაქანი.

თავდამსხმელები — წიტაიშვილი და ხომერიკი დროულად იხსნებოდნენ. კიკნაძეც ზუსტი პასებით ამარაგებდა მათ, მაგრამ ტორპედოელთა ლიბერო თურმანიძე დროულად და უშეცდომოდ აზღვევთა თანაგუნდელებს. დინმოელებმაც აშკარა საგოლე მომენტის შექმნა პირველ ტაიმში ვერ მოახერხეს. გოლი კი მაინც გაიტანეს. თუმცა აშკარა თამაშგარე მდგომარეობიდან.

კიკნაძისკენ, მარჯვენა ფლანგზე ბურთის გადაცემის მომენტში ერთდროულად სამი დინამოელი იმყოფებოდა ოფსაიდში. თანამსაჯმა ელიკაშვილმა რატომღაც არ ასწია ალამი, კიკნაძემაც განაგრძო სვლა და ბურთი საჯარიმოში მყოფ ალექსიძეს გადაწოდა. რატის პირველ დარტყმულს კვეტენაძე გადაეღობა. თუმცა ბურთი იქვე გაჩერდა და ალექსიძემაც აუღელვებლად გაიტანა.

„ტორპედოს“ დაცვითი ხაზი დანარჩენ რგოლებთან შედარებით უფრო გამართული ჩანდა. რაც შეეხება ნახევარდაცვას, ჩათვალეთ, რომ ვიცე-ჩემპიონები გუშინ ფაქტობრივად მის გარეშე თამაშობდნენ. ბოლო წლებში ლიბეროდ მოთამაშე ვასილ მაისურაძე საყრდენად გაამწესა დავით ყიფიანმა და მასაც უჭირდა ამ პოზიციაზე მოქმედება. თავდამსხმელ ზურაბ იონანიძის ნახევარმცველობა კი აშკარად ახალი ველოსიპედის გამოგონების მცდელობაა, თუმც ნათელია, რომ ეს ყოველივე იძულებითი ნაბიჯია. „ტორპედოს“ რომ ყველაზე ცუდად საქმე ნახევარდაცვაში აქვს, ეს მეორე წრეშიც დადასტურდა და ყიფიანმაც ადვილად შეამჩნია. გამთამაშებელი კვეტენაძე გუშინ მთელ მარჯვენა ფლანგს აკონტროლებდა. ისიც შორსაა ჩვეული ფორმისგან. ქუთაისელთა შუა ხაზის ერთადერთი ნათელი წერტილი კი კახა ჩხეტიანი იყო. მარცხნივ გამწესებული ჩხეტიანი ძველებურად ნაყოფიერად ირჯებოდა. სუსტი ნახევარდაცვის გამო ტორპედოელთა თავდამსხმელების — ზირაქიშვილის და მეგრელაძის მოქმედების შეფასება ძნელია. ისინი მეტწილად უკან ირჯებოდნენ და „დინამოს“ მეკარე ლომაიაც საქმეში იშვიათად ვიხილეთ. „ტორპედოს“ მეკარე ჭანტურიამ სასწაულებრივი რეაქცია გამოავლინა და არაერთხელ გადაარჩინა გუნდი. თუმც მეორე ნახევარში გამოსვლაზე ერთი უპატიებელი შეცდომა მაინც დაუშვა: დინამოელმა ქებაძემ ამით ისარგებლა და თავურით ბურთი წინ გამოსულ მეკარეს გადაატარა, ის კი ძელს მოხვდა და კვლავ ქებაძეს მიუგორდა — 1:2.

მეორე ტაიმში გამოჩენილთაგან „ტორპედოს“ სკოლის აღზრდილი ვასილ გიგიაძე გამოირჩეოდა. თავის დროზე ტყუპისცალ სოსოსთან ერთად ქუთაისური კლუბიდან გაშვებულმა ვასომ შავი დღე აყარა ყოფილ თანაგუნდელებს. შეხვედრის ბოლო წუთზე კი 22 მეტრიდან ბრწყინვალე დარტყმით დაბალ კუთხეში გაუტანა ჭანტურიას.

„დინამომ“ ფრეებით დამთავრებულ ამხანაგურ შეხვადრათა სერია შეწყვიტა და ჯერჯერობით აშკარად მოუმზადებელ „ტორპედოს“ იოლად მოუგო.

არაა საქართველოს ვიცე-ჩემპიონი და თასის მფლობელი ის ჩიტი, ამხანაგური მატჩის არაამხანაგური ანგარიშით დამთავრებისგან მიღებული წყენა იოლად დაივიწყოს.

ეტყობა, მარად ჩემპიონებსაც მწარედ ახსოვდათ, რომ 9 მაისს ტორპედოელებმა ქუთაისში 26 წაუგებელი ტურის შემდეგ ცივი წყალი გადაასხეს და სწორედ იმ ანგარიშით მოუგეს, როგორც გუშინ „დინამომ“.

ჰოდა, მეთერტმეტე ჩემპიონატიც არაა შორს. იქ ნამდვილ ბრძოლაში გამოჩნდება თეთრი და შავი, თუმცა გათამაშების ახალი სისტემის გამო ამ გუნდებს ოფიციალური შერკინება მხოლოდ გაისად მოუწევთ. მაშ, დროებით, 2 000 წლამდე.

ალექსანდრ ეფიმოვის ფოტო

„დინამოს“ ბომბარდირ მიხეილ აშვეთიას ნახევარდაცვაში დახეული „ტორპედოს“ მეგოლე ზურაბ იონანიძეც (№13) ებრძოდა

ზიმბრუმ შახტიორი იმსხვერპლა

უკრაინის საპორტო ქალაქ ოდესაში ორკვირიანი მომზადების შემდეგ თბილისის „დინამოს“ შესაძლო მეტოქემ ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე კიშინიოვის „ზიმბრუმ“ მზადება ჩეხეთში განაგრძო.

გუშინ მოლდოველები საკონტროლო მატჩში შეხვდნენ უკრაინის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორ დონეცკის „შახტიორს“. მაღაროელები ჩეხეთს 27 ივნისს ესტუმრნენ. „შახტიორის“ ახალმა მწვრთნელმა ანატოლი ბიშოვეცმა შეკრებაზე ქართველი მიხეილ ფოცხვერიაც წაიყვანა.

გუშინდელი მატჩი საკონტროლო კი იყო, მაგრამ მაინც მოულოდნელი შედეგით დასრულდა. უკრაინის საკლუბო ფეხბურთის ერთ-ერთმა ლიდერმა ვერაფერი მოუხერხა „ზიმბრუს“ და 0:2 დამარცხდა.

სიმონ მენაბდე

ყურადღებით ლოს ანჯელესისკენ

შარშან ნოემბერში საქართველოს მინი-ფეხბურთის ნაკრებს ერთი ნაბიჯიღა დააკლდა ევროპის ჩემპიონატზე მოსახვედრად. ამის შემდეგ ჩვენში დარბაზის ფეხბურთისადმი ინტერესი ერთიორად გაიზარდა. ორი თვის წინ სულაც ქვეყნის ხუთგუნდიანი ჩემპიონატი დაიწყო. საფუძველი ჩაეყარა ბავშვთა სექციების ჩამოყალიბებასაც. ეს ყოველივე უცილოდ წაადგება ეროვნული ნაკრების კეთილდღეობას, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლისთვის ინტენსიურ მზადებას განაგრძობს.

წლის დასაწყისში საქართველოს მინი-ფეხბურთის ასოციაციამ აზიის ჩემპიონი ირანის ეროვნული გუნდი მოიწვია თბილისში. ჩვენმა ნაკრებმა ორივე ამხანაგური მატჩი მოუგო სტუმრებს. არადა, ირანელებმა ამის შემდგომ კვლავ მოიპოვეს აზიის ჩემპიონის ტიტული...

მინი-ფეხბურთის მესვეურები კვლავ სპარინგ-პარტნიორთა ძიებით არიან დაკავებულნი. სულ ახლახან გადაწყდა, რომ საქართველოს მეზობელი სომხეთის ნაკრები ეწვევა და ორ ამხანაგურ შეხვედრას გამართავს ჩვენებურებთან. მატჩები 13 და 15 ივლისს სპორტკომპლექს „ქარიშხალაში“ შედგება და 16 საათზე დაიწყება.

მანამდე კი, 5 ივლისს, ლოს ანჯელესში მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის კენჭისყრა გაიმართება და ჯგუფებიც დაკომპლექტდება. შესარჩევის შეხვედრები ნოემბერ-დეკემბერში გაიმართება, მსოფლიოს ჩემპიონატს კი გვატემალა უმასპინძლებს 2000 წლის დეკემბერში.

საქართველოს მინი-ფეხბურთის ასოციაციამ წინადადებით მიმართა მსოფლიოს მინი-ფეხბურთის ფედერაციას, რათა შესარჩევი ეტაპის ერთ-ერთი ჯგუფის თამაშებს თბილისში უმასპინძლოს.

ამ ერთ-ერთ ჯგუფში კი, ალბათ, ჩვენი ნაკრებიც იქნება. ეს კი ერთიორად გაზრდის საქართველოს ნაკრების მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრის შანსებს.

ხვიჩა სანიკიძე

კოპალეიშვილს თავსატეხი გაუჩნდა

თვრამეტწლამდელებს მეგოლე ლაშა ჯაკობია გამოაკლდათ

ბადრი კვირკაძის ფოტო

ვახტანგ კოპალეიშვილი

18 ივლისს შვედეთში თვრამეტწლამდელთა ევროპის ჩემპიონატი იწყება. მოგეხსენებათ, იმ შეჯიბრებაში ვახტანგ კოპალეიშვილის ბიჭებიც მიიღებენ მონაწილეობას. საქართველოს თვრამეტწლამდელთა ნაკრებისთვის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი არ იყო იოლი გასეირნება, პირიქით, ქვეჯგუფიდან გასვლა და მერე ორი მატჩის ჯამში ჩეხების ძლევა, თითქმის პატარა სასწაულის ტოლფასი გახლდათ.

ვახტანგ კოპალეიშვილმა და თენგიზ კაციამ შექმნეს გუნდი, რომლისთვისაც შიში და წაგება უცხოა. ჩვენები არც შვედეთში მიემგზავრებიან ხელჩაქნეულნი. პროგრამა-მინიმუმი ხუთეულში მოხვედრა და მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშია. არადა, წილისყრამ ძალიან ძლიერი ჯგუფი გვარგუნა. იტალია, ესპანეთი და ირლანდია იქნებიან ქართველების მოწინააღმდეგენი.

ყველაზე მთავარი ის არის, რომ კოპალას ბიჭებს სახელებით ვერავინ შეაშინებს, ბრძოლისთვის ემზადებიან მწვრთნელ-ფეხბურთელები, თუმცა საქმეები მაინც ვერ აეწყო უპრობლემოდ. წინააღმდეგობები, იცოცხლეთ, არ აკლია კოპალეიშვილს. განსაკუთრებით გულდასაწყვეტი ინფორმაცია გუშინ შეიტყო მწვრთნელმა. ევროპის ჩემპიონატზე გუნდს ვერ დაეხმარება ლაშა ჯაკობია...

— ლაშას საზარდული ადრეც აწუხებდა და ეს ძალიანაც გვაშფოთებდა. ბელგიიდან არდადეგებზე გამომგზავრებამდე თურმე იქაურმა ექიმებმა ურჩიეს, ბურთს არ გაეკარო, მხოლოდ დაისვენე და ტკივილებიც გაგიქრებაო.

ლაშას მართლაც წამითაც არ უვარჯიშია, ზედმიწევნით იცავდა ექიმების მითითებას და თითქოს ტრავმაც მოუშუშდა. ბელგიაში დაბრუნებულმა ვარჯიშები განაახლა თუ არა, ტკივილმაც თავი შეახსენა, რომელიც სულ მოკლე დროში აუტანელი გახდა. ექიმების საბოლოო დასკვნით, ლაშა ჯაკობია სასწრაფოდ საოპერაციოა. აქედან გამომდინარე, ვერც ჩვენ შეგვეშველება.

— საბოლოოდ გადაგეწყვეტათ იმედი, თუ რაღაც შანსი კიდევ არსებობს?

— ჯაკობია მაინც გვეყოლება განაცხადში, შეკრებაზეც შეიძლება გამოცხადდეს, მაგრამ მისი თამაში თითქმის გამორიცხულია. კი, შეიძლება მან თავს დააძალოს, ტკივილგამაყუჩებლებით გაძლოს მოედანზე, მაგრამ ამ დაძალებამ, ვაითუ მისი კარიერა შეიწიროს, ამას პირველ რიგში მე არ დავუშვებ. ლაშას კიდევ ბევრი აქვს სათამაშო და მისი წახდენა ქართული ფეხბურთისთვის დიდი დანაკლისი იქნება.

— ჯაკობიას შემცვლელი თუ გყავთ შეგულვებული,

— მისი მომავლისა და ნიჭის პატრონი ასე ადვილი შესაცვლელი არაა. კი, განაცხადში ვიღაცას შეიყვან მის ნაცვლად, მაგრამ მინდორზე მისი შემცვლელი ფაქტობრივად არ მეგულება.

— გამოდის, შვედეთში გოლის გამტანი არ გეყოლებათ.

— რატომ? არც მთლად მასეა საქმე. თავდასხმაში აქტიურად თამაში და გოლების გატანა სხვებსაც შეუძლიათ. გაგუა, მიქაძე, იმედაძე, სხვებიც მოიძებნებიან, მაგრამ ჯაკობიაც რომ გვყოლოდა...

— ხელჩაქნეული გამოიყურებით.

— არავითარ შემთხვევაში. ბიჭების იმედი მაქვს, მათთვის შიში უცხოა. ჩვენ ბოლომდე ვიბრძოლებთ.

— ჯაკობია ჯაკობიად, მაგრამ შეკრებაზე, როგორც ვიცით, ვერც ხიზანეიშვილი, ხიზანიშვილი, კორღალიძე და მენთეშაშვილი გეყოლებათ თავიდან?

— ჩამოთვლილი ოთხეულიდან ორი — ხიზანეიშვილი და ხიზანიშვილი 10 ივლისს შემოგვიერთდებიან გერმანიაში, ხოლო კორღალიძე და მენთეშაშვილი შვედეთში ჩამოვლენ. პირველი ორეული ბოსკამპის განკარგულებაშია, მეორე „სკონტოსთან" ერთად ემზადება. მწვრთნელები ოთხეულს ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო მატჩებისთვის ამზადებენ.

— მოსამზადებელ გრაფიკში რაიმე ხომ არ შეცვლილა?

— არა, 5 ივლისს მივემგზავრებით გერმანიაში. ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის, მერაბ ჟორდანიას დახმარებით ლევერკუზენში ერთკვირიან შეკრებას გავივლით. იქ ყველანაირი პირობები გვექნება ნაყოფიერი ვარჯიშისთვის. 13 ივლისს კი შვედეთში ჩავალთ. მანამდე ორ ამხანაგურ მატჩს ლევერკუზენში გავმართავთ. შვედეთში ჩასვლის შემდეგაც გვსურს ერთი სპარინგ-პარტნიორის მოძებნა.

— შვედეთში გასამგზავრებლად ვიზების პრობლემა შეგექმნათ. ტურნირის ორგანიზატორები ჩასვლას გრაფიკის მიხედვით გთხოვდნენ, თქვენ კი იქ მაინც სამი დღით ადრე იქნებით. ბოლოს და ბოლოს მოგვარდა პრობლემა?

— ჯერ ვერა. უფრო სწორედ, მოგვარების პროცესშია. ნეტა, სხვა პრობლემა არ შეგექმნას და ამას ოთხერმე ეშველება.

— მგონი, ყველა რაღაც გაუჭირდებთ და არ ამხელთ.

— ზემოთ რაც ვთქვი, საკმარისი არ არის თუ... ჯაკობია, ხიზანეიშვილი, ხიზანიშვილი, კორღალიძე, მენთეშაშვილი.

სხვა მხრივ ყველაფერი რიგზეა და ყველას დიდი მადლობა დახმარებისთვის და გვერდში ამოდგომისთვის.

მადლობა ფეხბურთის ფედერაციას, ჯანო ბაგრატიონს და ოლიმპიურ კომიტეტს, სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარეს, კახი ასათიანს.

ჩვენი მხრიდან კი, ერთხელაც ვიტყვი, ბოლომდე ვიბრძოლებთ და ვეცდებით, ქართველი გულშემატკივრები გავახაროთ.

დამშვიდობებისას ვახტანგ კოპალეიშვილმა ის შემადგენლობა გაგვანდო, რომლითაც შვედეთში იასპარეზებს:

მეკარეები: ზურაბ ბათიაშვილი (დინამო)
გრიგოლ ბედიაშვილი (ვორდა)
მცველები: ოთარ ხიზანეიშვილი (დინამო)
ზურაბ ხიზანიშვილი (დინამო)
ვალერი აბრამიძე (დინამო)
ედიკ საჯაია (თბილისი)
სოსო დევიძე (მერანი)
ჯაბა მუჯირი (ვიტ ჯორჯია)
ზურაბ მენთეშაშვილი (სკონტო, ლატვია)
ნახევარმცველები: ოლეგ გველესიანი (დინამო)
ლაშა ნოზაძე (ვიტ ჯორჯია)
დავით დიმელაშვილი (სამსუნსფორი, თურქეთი)
ლევან კორღალიძე (სკონტო, ლატვია)
რევაზ გოცირიძე (თბილისი)
თავდამსხმელები: გიორგი იმედაძე (ტორპედო)
გიორგი მიქაძე (დინამო)
ვალერი გაგუა (თბილისი)
ლადო ბურდული (თბილისი)
ლაშა ჯაკობია (სტანდარდი, ბელგია)

დავით დანელია

ბაზარი: იმედი ხვალის



ბორის ბეროვის ფოტო

რუსთაველთა თავკაცი იასონ ალადაშვილი

რუსთავის „გორდას" ფინანსურ გაჭირვებას ბოლო არ უჩანს. გუნდმა შარშანდელი სეზონიც რის ვაი-ვაგლახით, მაგრამ გმირულად დაასრულა. ჩემპიონატის გასრულებამდე რუსთაველების რჩეულთა შორის დარჩენა საეჭვო იყო. გუნდს გავარდნის საფრთხე ემუქრებოდა, მაგრამ სამტრედიაში „იბერიის" ძლევით „გორდამ" სანუკვარ მიზანს მიაღწია.

და გმირული დასასრული? ამაზე ადრეც გვითქვამს. გმირობაა, აბა რა, გუნდმა წლობით (!) მიუღებელი ხელფასის გარეშე შეძლო სეზონის დამთავრება, და თანაც ისე, რომ მომავალ ჩემპიონატში პირველ ლიგაში თამაშის უფლება დაიბევა.

გეცოდინებათ, ამას წინათ რუსთავის მერიამ „გორდას" ქალაქის ბაზრის მოგების 40 პროცენტი გამოუყო. ამან, ცხადია, შედეგი გამოიღო — ფეხბურთელებს და მწვრთნელებს 100-100 ლარი დაურიგდათ, მაგრამ ყოველივე რომ ზღვაში წვეთია, თქმა არ უნდა. ისე, ხელფასების მხრივ, ბაზრის წყალობით გორდელებს გაისად არ გაუჭირდებათ. ფეხბურთელები კუთვნილ გასამრჯელოს უკლებლივ მიიღებენ, მაგრამ პრობლემა სულ სხვაა...

დღეს „გორდა" მოსამზადებელ ციკლს იწყებს რუსთავში, შეკრებით კი გუნდი (უფრო სწორად, გუნდის ნაწილი) გუშინ შეიკრიბა. „ფოლადზე" კლუბის ათი ფეხბურთელი, მწვრთნელები და გუნდის ხელმძღვანელები შეიყარნენ და საგანგებო კრებაც გამართეს. კრების მიმდინარეობაზე ბევრს ვერაფერს გეტყვით. გასაგები მიზეზის გამო — დასწრების საშუალება არ მომცემია, მაგრამ ფეხბურთელების არაფრისმთქმელი სახეებით თუ ვიმსჯელებთ, იქ მათ ახალი არც არაფერი შეუტყვიათ. ჩვენთან საუბარში „გორდას" პრეზიდენტმა ვალერი ქოქიაშვილმა კი ეს განაცხადა: გუნდის ძირითადი ბირთვი შევინარჩუნეთ, სავარაუდოდ რამდენიმე ფეხბურთელს დავიმატებთ. ყოველ მოთამაშეს ინდივიდუალური ხელფასი ექნება და მათთან კონტრაქტებს გავაფორმებთ. ამას ეშველება: გუნდი მშიერი არ იქნება. მაგრამ, როგორც იცით, ჩემპიონატის წინ თითოეულმა გუნდმა ფედერაციაში შესატან ჩემპიონატში მონაწილეობის გასაცხადს 10 000 ლარიც უნდა დაურთოს. ამ თანხის შოვნა ჩვენთვის იოლი არ არის. თუმცა ვცდილობთ ამის მოგვარებას და ალბათ, ყველაფერი კლუბის სასარგებლოდ გადაწყდება.

შარშანდელი შემადგენლობიდან გუნდს ხუთი ფეხბურთელი — სიდამონიძე, მაჭავარიანი, კალმახელიძე, მესხი და მახარაძე გამოაკლდა, ყველაზე მეტად კი რუსთაველებმა კახა სიდამონიძის წასვლით იზარალეს. თუმცა ისიც სათქმელია, რომ გუნდმა ამ პირობებშიც შეძლო ძირითადი ბირთვის შენარჩუნება. ხმები იასონ ალადაშვილის გუნდიდან წასვლის შესახებ საფუძველს მოკლებული აღმოჩნდა — იგი წლეულსაც უხელმძღვანელებს მშობლიურ კლუბს. ივლისის შუა რიცხვებამდე „გორდა" რუსთავში მოემზადება და ამ ხნის მანძილზე რამდენიმე საკონტროლო შეხვედრასაც გამართავს. ერთი მეტოქე უკვე ცნობილია — „გორდასთან" თამაშის სურვილი „ვიტ ჯორჯიას" გამოუთქვამს. ივლისის მეორე ნახევარში კი გუნდი ორკვირიან შეკრებაზე გაემგზავრება ლაგოდეხში, თუ, რა თქმა უნდა, ხელი არაფერმა შეუშალა.

და კიდევ ერთი — მომავალი სეზონიდან „გორდას" კარს გუნდის ერთგვარ სიმბოლოდქცეული მეკარე მამუკა ქორიძე დაიცავს.

პაატა კვანტალიანი

რევჯანა ისტორიას ჩაბარდა

ნაკრების კაპიტნის კლუბი სერია A-ს გუნდებმა გაწეწეს

იტალიური „რევჯანას" სერია B-დან სერია C-ში დაქვეითებას ლოგიკურად მოჰყვა ის, რაც ყველა გავარდნილ გუნდს ემართება. საქართველოს ნაკრების კაპიტნის, გიორგი ნემსაძის კლუბი შეძლებულმა კლუბებმა პირდაპირ დაშალეს.

გუშინდელი მონაცემებით, „რევჯანა" 8 წამყვანმა მოთამაშემ დატოვა. „უდინეზეში" წაიყვანა გასულ სეზონში გუნდის საუკეთესო ბომბარდირი (6 გოლი), 22 წლის მასიმო მარჯიოტა. 28 წლის მცველი ალესანდრო სკარპონი „ტორინოს" ერგო. „რევჯანას" ძირითადი მეკარე, 26 წლის ანჯელო პაგოტო კი „პერუჯას" საკუთრება გახდა.

ორ-ორი ფეხბურთელი ერგოთ სერია A-ში წელს აღზევებულ „ლეჩეს" და „ვერონას". უკანასკნელმა „რევჯანას" მწვრთნელი ავგუსტინ სპეგიორინი ორი ნახევარმცველით აზარალა. „ვერონაში" წავიდნენ 29 წლის ანტონიო მარასკო და სრულიად ნორჩი, 18 წლის ელვის ამბრუსკატო. თავის მხრივ „ვერონას" „ლეჩეც" არ ჩამორჩა და მანაც ორი ჰავბეკი წაიყვანა — 20 წლის ჯერო შაპკოკე და 29 წლის რიკარდო მასპერო.

ამ დანაკლისის ანაზღაურება „რევჯანამ" უკვე დაიწყო. კლუბს „ბოლონიიდან" რუსი იგორ სიმუტენკოვი დაუბრუნდა, „პერუჯამ" კი პანტანელი დაუთმო.

სამწუხაროდ ჩვენი ნაკრების კაპიტანი კვლავ „რევჯანაში" ირიცხება. სერია A-ს კლუბები გიორგი ნემსაძისადმი სერიოზულ ინტერესს ჯერჯერობით არ იჩენენ. თუმცა ქართველს ყველა შემთხვევაში მოუწევს „რევჯანას" დატოვება, რადგან ლეგიონერს სერია C-ში თამაშის უფლება არა აქვს, იგორ სიმუტენკოვი კი იტალიაში უკვე ხუთ წელიწადს თამაშობს და ამის უფლება აქვს.

სიმონ მენაბდე

არსენალს დაცლა ემუქრება

მეთერთმეტე ეროვნული ჩემპიონატისთვის მზადებას, რომელიც, შეგახსენებთ, 14 აგვისტოს იღებს სტარტს, თბილისის „არსენალიც" შეუდგა, თუმცა არასრული შემადგენლობით. შარშანდელი ჩემპიონატის დებიუტანტი გუნდი სეზონის დასრულების შემდეგ სამმა წამყვანმა ფეხბურთელმა დატოვა. თემურ ჩლაიძემ და ლაშა ყოლბაიამ „არსენალში" თამაშს, კარიერის აზერბაიჯანის ჩემპიონატის მესამეადგილოსან „ყარაბაღში" გაგრძელება ამჯობინეს, ხოლო ზაზა ზარაქაშვილი ამჟამად ქუთაისშია, სადაც „ტორპედოს" მთავარი მწვრთნელის დავით ყიფიანის მეთვალყურეობით ვარჯიშობს. მათ გარდა არმიული კლუბი იქნებ კიდევ რამდენიმე ფეხბურთელმა დატოვოს. მიზეზი ძველია, „არსენალს" ფინანსურად კვლავ უჭირს. მოთამაშეებიც გასულ სეზონში მიუღებელ კუთვნილ ხელფას-პრემიებს ითხოვენ. ზოგიერთი მათგანი გასამრჯელოს მიღებამდე გუნდთან ერთად ვარჯიშს უარობს და ინდივიდუალურად ემზადება.

რა იქნება საბოლოოდ, ჯერაც უცნობია, თუმცა ფაქტი ერთია, ვითარება სასწრაფოდ გამოსწორებას მოითხოვს. წინაღმდეგ შემთხვევაში „არსენალი" შეიძლება ფეხბურთელებისგან დაიცალოს. თუ ასე მოხდა, ძალიან დასანანი იქნება, რადგან არმიელები გასულ სეზონში (განსაკუთრებით კი პირველ წრეში) დებიუტანტის კვალობაზე მშვენივრად გამოვიდნენ და ბევრი, გამოცდილებაშეძენილი გუნდისგან წლეულს უფრო მეტს ელოდა.

ვანო ოძროპირიძე

მამა ნახე, შვილი ნახე, ლანტანა ისე გამონახე

დავით სოლოღაშვილი გახსოვთ? — ასე იწყებოდა გუშინდელ „სარბიელში“ ესტონური „ლანტანას“ გაცნობა, და, არ იფიქროთ, ისევ იმ წერილს კითხულობდეთ. უბრალოდ, გუშინწინ ჩემპიონატის ლიდერმა „ლევადიამ“ აუტსაიდერი „ვმკ ტალინი“ 5:0 რომ დაამარცხა, სულ ტყუილად: მასპინძლებს წაგება ჩაეთვალათ -:+.

ორი წლის წინ, მაშინ, როცა პირველი წრის ბოლო მატჩში „სადამი“ „ლანტანას“ მასპინძლობდა, „სადამის“ მეკარე სერგეი პარეიკო მოედნიდან გააძევეს. „სადამმა“ 0:2 წააგო, პარეიკომ კი იანვარში ესტონეთის ფეხბურთის ფედერაციას განთავისუფლების ფურცელი გამოსთხოვა, გრძელ გზას დაადგა, ბალტიისპირეთიდან ხმელთაშუაზღვისპირეთში ამოყო თავი და ორი წელი იტალიური სამოყვარულო ლიგის ერთ-ერთ გუნდში გაატარა.

ჯანდაბას პარეიკო, ვის რაში აინტერესებს, ამის მეტი „ლანტანასთან“ რა კავშირი უნდა ჰქონდესო, იკითხავთ. რა და, გუგშინწიდელ მატჩში „ლევადიას“ წაგება სწორედ მის გამო ჩაეთვალა. დიახ, ესტონეთის ფეხბურთის ფედერაციაში გაახსენდათ, რომ პარეიკოს ორი წლის წინანდელი სასჯელი დღემდე არ მოუხდია, „ტალინთან“ თამაშის უფლება არ ჰქონდა და ამის გადამკიდე, ჩემპიონატის ლიდერს, ისე, რომ არ წაუგია, პირველი მარცხი ჩაეთვალა.

ხედავთ, როგორ ჰგავს ეს სიტუაცია შარშანწინდელ „სოლოღაშვილის საქმეს“ — „ბათუმ“ — „არარატის“ მატჩისას დაშვებულმა უზუსტობამ სოლოღაშვილს კარიერა, „ბათუმს“ კი მაშინდელ თასების თასზე გამოსვლა რომ დაასრულებინა?

გუშინდელ „სარბიელში“ ვწერდით, რომ ქუთაისის „ტორპედოს“ მეტოქე „ლანტანა“ „ბათუმის“ დღეში 1995 წელს იყო, როცა ლატვიურ დაგ-თან პირველ მატჩში უეფას მიერ დისკვალიფიცირებული ანდრეი ბორისოვი ათამაშა. „ლანტანამ“ ის მატჩი 2:1 მოიგო — ბორისოვმა გამარჯვების გოლი გაიტანა, მაგრამ მისი თამაში ესტონელებს ძვირი დაუჯდათ. დაგ-ს 3:0 მოგება ჩაეთვალა და ტალინში აღარ წაუგია, მომდევნო ეტაპზე 0:0-ით გავიდა.

— მაშინ ყველაფერი ესტონეთის ფეხბურთის ფედერაციის მიზეზით მოხდა. „ლანტანა“ მას უნდა გაეფრთხილებინა, მაგრამ რადგან ფედერაციის ფავორიტი „ფლორაა“, რუსული „ლანტანას“ ბედით თავი არ შეიწუხეს, უპატიებელი შეცდომა დაუშვეს და რიგის დაგ-მა მეთექვსმეტედფინალში მხოლოდ ამის წყალობით გააღწია — გვითხრა გუშინ ჩვენმა ლატვიელმა კოლეგამ აშკოლდს ულდრიკისმა.

არა, მართლა ძალიან ჰგავს ესტონელთა სიტუაცია ჩვენსას, მაგრამ ეს წარსულია. სულ ახლახან მომხდარმა მსგავსმა ფაქტმა კი ესტონურ საფეხბურთო სამყაროში დიდი სკანდალი შვა, მით უმეტეს, რომ წუხელ მეთერთმეტე ტურის ბოლო მატჩში „ფლორამ“ 2:0 მოუგო ტულევიკს და „ლევადიასთან“ სხვაობა ორ ქულამდე შეამცირა.

ერთი სიტყვით, გუშინდელ „სარბიელში“ „ლანტანა“ ესტონურ „ბათუმად“ რომ მოვნათლეთ, ამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია, თურმე, ქართულად უნდა მოგვენათლა. ეს, ხუმრობაგაშვებით, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის იმ შემადგენლობიდან, საბედისწერო შეცდომა რომ დაუშვა, ახლანდელში ცოტანილა დარჩენილან. გუშინდელისდარი ფაქტი კი ჩვენი ფედერაციისგან ერთი გვახსოვს — იმგვარი საქციელისთვის, რაც გუშინწინ ესტონეთის ჩემპიონატის ლიდერმა შეიმთხვია, ჩვენმა ფედერაციამ შარშანონის „მამისონი“ დასაჯა.

საკმარისია, ესტონური და ქართული ფედერაციების შედარება — ახლა „ტორპედოს“ მეტოქეზე ვთქვათ.

— არ იფიქროთ, „ტორპედოს“ რაიმე სერიოზული წინააღმდეგობა შეხვდეს, „ლანტანა“ ახლა ღრმა ფინანსურ კრიზისს განიცდის, ფეხბურთელები დაეფანტა და უეფას თასზე მხოლოდ შარშანდელი დამსახურებით გამოდის, თორემ, ევროტურნირებზე კი არა, ესტონურ სუპერლიგაშიც არაფერი ესაქმებაო — ეს ჩვენი ესტონელი კოლეგის, მარგუს ლიუიკის სიტყვებია. „ლანტანაზე“ ინფორმაციის უმეტესობაც სწორედ მისი დახმარებით მოვიპოვეთ.

ბადრი ჯეთილაძის ფოტო

1998 წლის 18 ნოემბერი. საქართველო — ესტონეთი 3:1. ქუთაისის „ტორპედოს“ თავდამსხმელ დავით ჯანაშიას (№9) პირველი ნაცნობობა ესტონურ ფეხბურთთან გოლის გატანით დასრულდა

მანამდე კი ხეირიანად მხოლოდ „ლანტანას“ მწვრთნელის და პრეზიდენტის ვინაობა ვიცოდით და ესეც გვეჭვებოდა, ინტერნეტის ქსელით უეფას სერვერში ნაპოვნი ცნობები მოძველებული არ იყოსო.

კლუბის სათავეში არაფერი შეცვლილა და ალბათ კარგა ხანს არც შეიცვლება. „ლანტანას“ პრეზიდენტი ამ გუნდისვე 33 წლის ნახევარმცველი სერგეი ბელოვი, მთავარი მწვრთნელი კი მამამისი ანატოლია. მისი სამწვრთნელო კარიერით რომ დავინტერესდით, რას ამბობთ, რა კარიერა, ფეხბურთი ცხოვრებაში არ უთამაშია, თვითნასწავლი მწვრთნელიაო.

ერთი სიტყვით, ჩანს „ტორპედოს“ გაუმართლა — ახალგაზრდა, გამოუცდელი მეტოქე ერგო, გამოუცდელი მწვრთნელითურთ. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქუთაისელებმა, თავს მოდუნების უფლება უნდა მისცენ, შესარჩევი ეტაპი გაგვივლიაო.

ანატოლი ბელოვს თვითნასწავლი და გამოუცდელი მწვრთნელი ეძახეთ და „ლანტანა“ ზედიზედ ორჯერ, 1996 და 1997 წელს სწორედ მან აჩემპიონა.

მას შემდეგ, რაც „ლანტანა მარლეკორი“ “ნიკოლს“ შეუერთდა, ბელოვი „ლანტანას“ მწვრთნელია. ასე რომ, გუნდის წარმატებანიც და წარუმატებლობებიც მისი თავკაცობის ხანას უკავშირდება. ესტონეთი რაა და მისი ჩემპიონობა რა უნდა იყოსო, ეგებ იფიქროთ, მაგრამ არ დაგვავიწყდეს, რომ არც საქართველოს ჩემპიონატია დიდი შვილი და ჩვენი ქვეყნის ჩემპიონობაც ათ წელიწადში ოთხად-ოთხ მწვრთნელს მოუხერხებია. ცხადია, ყველას „დინამოსთან“ ერთად.

გუშინაც ვწერდით „ლანტანა“ ტალინის რუსული დიასპორის გუნდიაო და მისი ორგზის ჩემპიონობაც აღსანიშნი და დასაფასებელი თუნდაც მხოლოდ ამიტომაა. რა პრობლემების წინაშეა, ესტონეთის რუსულენოვანი მოსახლეობა, ეს ოერტეს საინფორმაციო გამოშვებათა მხილველთ მოეხსენებათ.

„ლანტანას“ არც ერთ ფეხბურთელს უთამაშია ოდესმე ესტონეთის ნაკრებში და არა იმიტომ, რომ მათ ვინმე მოთამაშეებად იწუნებდა, უბრალოდ, ესტონეთში დაბადებულ ამ ბიჭებს ესტონეთის მოქალაქეობა არა აქვთ. საამისოდ ძალიან ძნელი, ესტონური ენის გამოცდაა ჩასაბარებელი და ისინი თავს არ იწუხებენო. ეს საკითხი პრობლემატური უფრო ადრე იყო, მაშინ, როცა „ლანტანაში“ გამთამაშებელი ანდრეი ბორისოვი და გოლების გატანით გამორჩეული სერგეი ბრაგინი თამაშობდნენ. ბორისოვი ახლა „კოლხეთის“ ძველ ნაცნობ ფინურ „იაროში“ თამაშობს. „ბრაგინი“ კი ბელგიის მესამე ლიგაში თამაშის შემდეგ „ლანტანას“ „ლევადიასთვის“ მიუყიდია.

სამაგიეროდ, ტალინელებს მალევე დაბრუნებიათ პოლონურ გკს-ში განთხოვრებული ვიტალი ლეიტანი. კატოვიცელები ლეიტანის შეძენას ახალი ჩემპიონატისთვის ვარაუდობდნენ, მაგრამ, რაკი ლიგიდან გავარდნენ, ტალინშივე დაუბრუნებიათ.

ლეიტანი მართლა კარგი თავდამსხმელია. მას რომ ესტონური მოქალაქეობა ჰქონდეს, ახალგაზრდულ ნაკრებში უკონკურენციოდ ითამაშებდაო. ლეიტანი 7 გოლით წლევანდელი „ლანტანას“ საუკეთესო ბომბარდირია, ბოლო სამი გოლი გუშინწინდელ მატჩში, იოჰვიში გაიტანა, სადაც „ტორპედოს“ მეტოქემ 3:1 მოიგო.

“ასევე ნაკრების, ოღონდ 18-წლამდელთა კანდიდატია „ლანტანას“ მეკარე პაველ კისილიოვი, რომელმაც სხვა თანაგუნდელთაგან განსხვავებით ესტონური ენის გამოცდა წარმატებით ჩააბარა.

ერთდაერთი ლანტანელი, რომელსაც ესტონეთის ნაკრებში, ოღონდ ახალგაზრდულში, უთამაშია, ვადიმ დოლინინია, ისიც კისილიოვის მსგავსად ამ ქვეყნის მოქალაქეა.

სრულიადრუსულ „ლანტანას“ ერთი ნაღდი ლეგიონერიც ჰყავს, ლიტვის თვარამეტწლამდელთა ნაკრების მცველი დმიტრი შარჩენკო.

„ტორპედოს“ მეტოქეთაგან კიდევ ერთი ფეხბურთელია გამოსარჩევი, 25 წლის მცველი ანდრეი კრასნოპიოროვი, რომელსაც ევროთასებზე 10-ჯერ უთამაშია. და ერთიც, ჩურილკინი, რომელმაც „ტულევიკს“ პირველ წრეში გოლი გაუტანა, გუნდში აღრაა.

„ლანტანა“ ბოლო, გარდამავალი ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორია. წლეულს კი თავის გამოჩენის ერთადერთ შანსად უეფას თასზე თამაში დარჩენია. ეს, ყველაფრის მიუხედავად, სათვალავში ჩასაგდებია, რადგან ორი თამაშისთვის მობილიზება მეტოქეს ჯეროვანი წინააღმდეგობა რომ გაუწიოს, ყველა თავმოყვარე გუნდს შეუძლია. თუმცა, იმედია, ქუთაისელებს, „ლომელის“ მაგალითი ახსოვთ და საეჭვოა, აგვისტოს ბოლოს „ლანტანაც“ გასახსენებელი ჰქონდეთ.

ვახტანგ ბზიკაძე

ლანტანა
ტალინი, ესტონეთი
დაარსდა: 1995
ჩემპიონი (2): 1996, 97
თასის მფლობელი: 1993
პრეზიდენტი: სერგეი ბელოვი
მწვრთნელი: ანატოლი ბელოვი
სტადიონი: ვიიმსი (3 000)

მეკარეები	
პაველ კისილიოვი	14.05.80
ვლადიმირ კოზირკოვი	04.08.78
მცველები	
ანდრეი კრასნოპიოროვი	05.12.73
ანდრეი კალიმუნინი	06.10.77
ოლეგ კოლოცეი	17.06.78
ვიტალი ვალუისკი	19.01.78
დმიტრი მარჩენკო	2.05.80
ოსვალდ ვარესი	10.12.81
ნახევარმცველები	
ოლეგ გორიაჩოვი	0.07.78
სერგეი ბელოვი	09.05.66
ვადიმ დოლინინი	04.01.75
ანდრეი მიტიუნოვი	7.03.78
ფიოდორ ვორონინი	07.09.64
თავდამსხმელები	
ვიტალი ლეიტანი	01.12.78
რომან მირსკი	10.08.81
ვლადიმირ ჩელნოკოვი	17.04.80
პაველ აპალინსკი	28.10.82

ლანტანას ყველა მატჩი წლევანდელ ჩემპიონატში

14.04.99	ლანტანა — ვმკ ტალინი ლეიტანი (2)	2:0
23.04.99	ფლორა — ლანტანა	3:0
02.05.99	ლევადია — ლანტანა	3:0
08.05.99	ლანტანა — იოჰვი	0:0
16.05.99	ლელე — ლანტანა მირსკი, კრასნოპიოროვი	4:2
22.05.99	ტრანსი — ლანტანა	7:0
30.05.99	ლანტანა — ტულევიკი ჩურილკინი	1:3
14.06.99	ლანტანა — ფლორა ლეიტანი (2), დოლინინი	3:3
18.06.99	ვმკ ტალინი — ლანტანა მირსკი, ბელოვი	2:0
22.06.99	ლანტანა — ლევადია	0:1
30.06.99	ლანტანა — იოჰვი ლეიტანი (3)	3:1

ესტონეთის ჩემპიონატის XI ტური

30 ივნისი

ლანტანა 3:1 იოჰვი

ტრანსი 1:0 ლელე

ლევადია 5:0 ვმკ ტალინი

„ლევადიას“ ჩაეთვალა წაგება

1 ივლისი

ფლორა 2:0 ტულევიკი

ესტონეთის ჩემპიონატის საჯლეისო ცხრილი

ლევადია	11	8	2	1	25:4	26
ფლორა	11	7	3	1	32:10	24
ტულევიკი	11	6	1	4	17:15	19
ტრანსი	11	5	2	4	21:15	17
ვმკ ტალინი	11	4	1	6	6:13	13
ლანტანა	11	3	2	6	13:25	11
ლელე	11	1	4	6	9:21	7
იოჰვი	11	1	3	7	5:25	6

ესტონეთის საშემოდგომო ჩემპიონატის საბოლოო ცხრილი

№		სულ						შინ						სტუმრად						
		თ	მ	ფ	წ	ბ	ქ	№	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ	№	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1	ფლორა	14	11	2	1	46:14	35	2	8	6	1	1	27:7	19	1	6	5	1	0	19:7	16
2	სადამი	14	11	1	2	48:10	34	1	8	7	0	1	27:6	21	3	6	4	1	1	21:4	13
3	ლანტანა	14	7	4	3	27:20	25	4	6	2	4	0	14:8	10	2	8	5	0	3	13:12	15
4	ტრანსი	14	6	5	3	28:20	23	5	6	3	1	2	11:6	10	4	8	3	4	1	17:14	13
5	ტულევიკი	14	5	3	6	15:25	18	3	6	4	1	1	10:7	13	6	8	1	2	5	5:18	5
6	ვმკ ტალინი	14	3	4	7	15:27	13	6	8	2	2	4	11:17	8	5	6	1	2	3	4:10	5
7	იოჰვი	14	2	0	12	10:44	6	7	7	1	0	6	4:17	3	7	7	1	0	6	6:27	3
8	ლელე	14	0	3	11	10:39	3	8	7	0	2	5	5:22	2	8	7	0	1	6	5:17	1

ევროპას პულსიც უნდა ავუწყოთ

ყიფიანი და დარსაძე ნიკეს თასთან

ენდი როქსბურგი და გაიოზ დარსაძე

მაგიდაზე ჩანაწერებით აჭრელებული უამრავი ქაღალდია გაშლილი, წიგნები, ბუკლეტები, აუდიო-ვიდეოფირები... — აქ უამრავი მასალაა, ყოველივე დასამუშავებელი და გასაანალიზებელია, იქნებ შემდეგ უფრო საინტერესოდ გვესაუბრა...

— შემდეგ, შემდეგისთვის იყოს. ისე, კოვერჩანოდან ჩამოსულნი რაღაც უცნაურად გამოიყურებიან. გეტყობათ, დიდი შთაბეჭდილებით დაბრუნდით...

— კოვერჩანოში ნანახ-მოსმენილზე გარკვეული წარმოდგენა აქამდეც მქონდა. იცით, რომ უცხოეთში გამართულ ბევრ სამწვრთნელო სემინარში მიმიღია მონაწილეობა. ამ შემთხვევაში სულ სხვაგვარადაა საქმე. ვერასდროს დავივიწყებ იმ სითბოს და სიყვარულს, რაც უეფას წარმომადგენლებმა ჩემს მიმართ გამოხატეს. ეს იყო ჩემი უდიდესი პატივისცემა და აღიარება. ჩემი ყველაზე დიდი შთაბეჭდილებაც ეს გახლდათ. ასეა, ზოგჯერ შენიანს არ ახსოვხარ და ცოტა საწყენიცაა, უფრო მეტ ყურადღებას უცხოსგან რომ გრძნობ. მაღლობა მინდა მოვუხადო თანადგომისთვის უეფას ტექნიკურ დირექტორ ენდი როქსბურგს, აგრეთვე ბატონ მერაბ ჟორდანიას დახმარებისთვის.

— როქსბურგი ახსენეთ, თუ არ ვცდები, ის იყო წამყვანი ფიგურა ამ სემინარებზე.

— ასეა, კოვერჩანოში ყველაფერი როქსბურგის მეთვალყურეობით ხდებოდა. ის არის უაღრესად მცოდნე და განათლებული კაცი, ერთობ ენერგიული და დიდი დიპლომატიური ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი. იგი უდიდესი პიროვნებაა თანამედროვე ფეხბურთში.

— თუ არ ვცდები, უეფა ამგვარ კურსებს ყოველწლიურად ატარებს...

— წლეულს კოვერჩანოში რიგით მერვე სამწვრთნელო კურსები გაიმართა. მეშვიდე კურსი 1998 წლის თებერვალში ჩატარდა. უეფას აქვს ფეხბურთის განვითარების ერთი მთლიანი პროგრამა. ამგვარი კურსები კი მისი შემადგენელი ნაწილია. იგი ევროპული ფეხბურთის განვითარებისთვისაა გამიზნული. უეფა თვლის, რომ მწვრთნელთა მომზადება მომავალი, დიდი წარმატების გასაღებია... კოვერჩანოში 24 ევროპული ქვეყნის წარმომადგენელი შეიკრიბა. პირობები ენით აუწერელი, შესანიშნავი იყო. არანაირი პრობლემა, მხოლოდ მუშაობა. დილის 9 საათიდან საღამოს 6 საათამდე ინტენსიური და დაძაბული მუშაობა მიმდინარეობდა. შესანიშნავი ინფრასტრუქტურა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, საუცხოო ფინანსური უზრუნველყოფა და უდიდესი გამოცდილება. ამის ნახვა ერთი სიამოვნება იყო. სემინარებზე ყურადღება გამახვილებული იყო ფეხბურთელთა ფიზიკურ მომზადებასა და სისწრაფის მნიშვნელობაზე თანამედროვე ფეხბურთში. ხაზგასმით ვამბობ, დღეს ფეხბურთის განვითარება წარმოუდგენელია თანამედროვე ტექნოლოგიის გარეშე... შეხედეთ ამ ფურცელს. ეს არის 16 წლის ინგლისელი ფეხბურთელის გულის მუშაობის გრაფიკი სრული დატვირთვის დროს. მან სათამაშო დროის 74 პროცენტი იმუშავა 183-დან 224 პუნქტამდე. ეს რეალობაა. თანამედროვე ფეხბურთში დღეს ასეთი დატვირთვებია. ფეხბურთელის ამ კონდიციამდე მიყვანას შესაბამისი მომზადება სჭირდება. პირველ ყოვლისა, ფეხბურთელის პულსის კონტროლია საჭირო. როგორ ხდება ეს ჩვენთან — რა თქმა უნდა, ფეხბურთელის პულსი ხელით ისინჯება. სასაცილო არ არის? უცხოეთში ეს ყველივე კომპიუტერის საშუალებით ხდება. შედარებით მარტივი გზაც არსებობს. ეს საათის მაგვარი ხელსაწყო კოვერჩანოდან ჩამოვიტანე. იგი ფეხბურთელის ხელზე მაგრდება და ვარჯიშის თუ თამაშის დროს მისი გულის მუშაობის შესახებ სრულ ინფორმაციას იძლევა.

— თანამედროვე ფეხბურთში არსებული ტექნოლოგიის ჩვენს პირობებში გადმოღება რომ დიდ პრობლემებს უკავშირდება, მგონი, ამის შესახებ თქვენც კარგად მოგეხსენებათ.

— ჩვენში სასიკეთო ძვრები სხვაგვარად წარმოუდგენელია, თანამედროვეობას ფეხი თუ ვერ ავუწყეთ, წამყვანი საფეხბურთო ქვეყნებისთვის ყოველთვის ნელდელეულად დავრჩებით. ჩვენ მწარმოებელი ქვეყანა არ ვართ, მხოლოდ ნელდელეულის დამზადებით ვართ დაკავებულნი. ჩვენ არავინ გვთხოვს, გერმანელებივით ბრწყინვალე მანქანები ვაწარმოოთ, მაგრამ მოითხოვენ, მთისავით თანამედროვე ფეხბურთი ვითამაშოთ. აი, ამაშია საქმე. ფეხბურთი დიდი ინდუსტრიაა, მაგრამ იმისთვის რომ ფული გაკეთდეს, თავდაპრველად იგი უნდა ჩაიდოს და თითოეული ნაბიჯი გონივრულად გადადგას. დღეს ველოსიპედს გამოგონება არ სჭირდება, ძალიან შორის არის წასული საფეხბურთო ევროპა, მაგრამ ჩვენ არათუ მივდევთ მას, არამედ საპირისპირო მიმართულებით ვმოძრაობთ. ფეხბურთი პრიორიტეტული უნდა იყოს საქართველოსთვის, რადგან ეკონომიურად მომგებანია... პირად საუბარში უეფას გენერალურმა მდივანმა გერჰარდ აიგნერმა პირდაპირ მითხრა, საქართველო საფეხბურთო ქვეყანაო, მაგრამ... ჩვენ ძალიან დიდი ნაბიჯების გადადგმა მოგვიწევს საამისოდ.

— ფეხბურთელის ფიზიკურ მომზადებას დავუბრუნდეთ. ჩვენში ამ მხრივ მართლაც დიდი პრობლემებია...

— გეთანხმებით, რომ ეს ასეა. და რატომ? ფეხბურთელი შეიძლება ვერ დავტვირთოთ იმ შემთხვევაში, თუ მას ელემენტარული კვება არა აქვს, მაშინაც, როდესაც არ გაგაჩნია ინფორმაცია ესა თუ ის დატვირთვა რა შემთხვევაშია მიზანშეწონილი და რა ცვლილებები ხდება ფეხბურთელის ორგანიზმში. შეუძლებელია ფეხბურთელის დატვირთვა, თუ ელემენტალურად მწვრთნელია არაკვალიფიციური. შეუძლებელია ამის გაკეთება მაშინაც, თუ არ გყავს კვალიფიციური ექიმი და არ გაქვს შესაბამისი აღდგენითი ცენტრი. და კიდევ ბევრი, ბევრი რამ. სწორედ ამ ფაქტორების გათვალისწინებით ხდება მაღალი კლასის ფეხბურთელის ჩამოყალიბება, ასე რომ, ფიზიკურ მომზადებას ძალიან დიდი ადგილი უკავია თანამედროვე ფეხბურთში. მიპასუხეთ, მეტყვით დღეს ჩვენში, რამდენ კილომეტრს დარბის ესა თუ ის ფეხბურთელი მატჩის დროს, ან რამდენი ხნითაა ბურთით თუ უბურთოდ, ანაც საერთოდ რამდენ წუთს მოძრაობს მატჩის განმავლობაში. ასე რომ, თუკი რამ სასიკეთო გვინდა, თანამედროვე ევროპული ტექნიკური ბაზა ჩვენშიც უნდა დავნერგოთ. სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ. უკრაინელთა მაგალითი ავიღოთ. მათ ხუთვარსკვლავიანი ბაზა აქვთ ყოველმხრივ კეთილმოწყობილი, თანამედროვე სამედიცინო და ტექნიკური აპარატურით აღჭურვილი და შედეგიც სახეზეა. სხვაგვარად შევჩენკო 23 მილიონი არ ეღირებოდა. არ მითხრათ, რომ უკრაინელები ჩვენზე ნიჭიერები არიან, მაგრამ დღეს მარტო საფეხბურთო ნიჭით ფონს ვერ გახვალ.

კოვერჩანოში, სემინარებზე, ხაზი გასვა ერთ ფაქტორსაც — მეორე მწვრთნელის (ფიზმომზადების დარგში) მნიშვნელობას თანამედროვე ფეხბურთში. ჩვენში დღეს ასეთი ტენდენცია, რომ მთავარი მწვრთნელი გუნდში ყველაფერია. ეგ არის მეორე მწვრთნელი, პრეზიდენტი, ექიმი, მასაჟისტი, ბულალტერი, მძღოლი და კიდევ ვინმე. არადა, მეორე მწვრთნელის ფაქტორი მართლაც მნიშვნელოვანია, ფაქტობრივად მის ხელშია ფეხბურთელთა ფიზიკურად მომზადება. ჩვენთან გეგულებათ ასეთი მწვრთნელები (ერთეულებს არ ვგულისხმობ). მაგალითს გეტყვით, „ფიორენტინას“ ორი მწვრთნელი ჰყავს ფიზმომზადებაში, „მილანს“ — ოთხი, „იუვენტუსს“ კი სულაც ექვსი. არა მგონია, ეს კლუბები ზედმეტად იწუხებდნენ თავს, ეს უბრალოდ საჭიროა.

— ადრე ჩემთან საუბარში არაერთხელ გითქვამთ, რომ საფეხბურთო მეურნეობის განვითარება წარმოუდგენელია ხარისხიანი სათამაშო მინდვრების გარეშე, კოვერჩანოულ „სიმწვანის“ შემხედვარეს ეს მოსაზრება, ალბათ, ერთი-ორად უფრო გაგიმყარდათ...

— ხარისხიან სათამაშო მინდორს მართლაც დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ. საქართველოში ამ მხრივ კატასტროფული სიტუაციაა. არაფერს ვამბობ მორწყვაზე და ბალახის გასაკრეჭ მანქანებზე, ჩვენში საფეხბურთო მინდვრები ელემენტალურად უხარისხოა. მწვრთნელის ნაყოფიერ მუშაობას ხარისხიანი მინდორი განსაზღვრავს. ეს პრობლემა საერთო კონტექსტშია განსახილველი და მოსაგვარებელი, მაგრამ ვფიქრობ საამისოდაც დიდი ძალისხმევა დაგვჭირდება.

— რამდენადაც ვიცი, დღეს ფაქტობრივად უსაქმოდ ხართ (პრაქტიკული თვალსაზრისით), როდემდე აპირებთ ასე ყოფნას?

— არ მინდა ისეთ გუნდში მუშაობა, რომელსაც სერიოზული მიზნები არ ექნება. მზად ვარ ძალიან სერიოზული შრომისთვის, მაგრამ ამას შესაბამისი პირობებიც სჭირდება. ისეთ გუნდთან მინდა მუშაობა, რომელთა მესვეურთაც ფეხბურთის მომგებიან ინდუსტრიად გადაქცევა ენდომებათ. ამიტომ ვცდილობ, არ ვიჩქარო და კარგად აწონილ-დაწონილი ნაბიჯი გადავდგა.

შარშან ექვსმა ქვეყანამ მოაწერა ხელი უეფას მწვრთნელთა კონვენციას, რომლის მიზანია, აამაღლოს სამწვრთნელო განათლების სტანდარტები და დაიცვას სამწვრთნელო პროფესია. დანიას, გერმანიას, იტალიას, ჰოლანდიას, საფრანგეთს და ესპანეთს წლეულს ავსტრია, შვეიცარია, ფინეთი და ინგლისი შეუერთდნენ. დღეისათვის უეფას ტექნიკური დეპარტამენტი კიდევ 10 ეროვნული ასოციაციის გაწვრთნებაზე მუშაობს. სამწუხაროდ, ამ ქვეყნების ჩამონათვალში საქართველო არ ფიგურირებს. ჩვენში დღეს სამწვრთნელო პროგრამაც კი არ არსებობს...

ბაატა ძვანტალიანი

სწავლას მოწყურებული ევროპელი მწვრთნელები და მათი მასწავლებლები. ქვედა რიგში მარჯვნიდან მეორე გაიოზ დარსაძე, მეორე რიგში მარჯვნიდან მეორე დავით ყიფიანი

REUTERS ესტედან

ჩილე — მექსიკა 0:1. ჩილელები ლუის ერნანდესს (№15) ეუხეშებდნენ, თუმცა მექსიკელმა მათ გოლი მაინც გაუტანა

39th Copa América Paraguay '99

დაიწყეს!

B ჯგუფი

ბრაზილია 7:0 ვენესუელა

1:0 რონალდო (26), 2:0 ემერსონი (40), 3:0 ამოროზო (55), 4:0 რონალდო (63), 5:0 რონალდინიო (75), 6:0 ამოროზო (82), 7:0 რივალდო (84)

ბრაზილია: დიდა, კაფუ (ევანილსონი 79), ოდვანი, ემერსონი, ანტონიო კარლოსი, რობერტო კარლოსი (სერჟინიო 76), ამოროზო, ვამპეტა, რონალდო, რივალდო, ალექსი (რონალდინიო 72)

ვენესუელა: ვეგა, მაკინტოში (ხიმენესი 46), ალვარესი, რეი, როხასი, ტორტოლერო, ბიდოლიო, ერნანდესი (მორანი 61, დუნო 65), ურდანეტა, ვერა, ნორიეგა

გაფრთხილება: კაფუ (27), ვერა (31), ერნანდესი (40), ამოროზო (69), ურდანეტა (90)

მსაჯი: ბონიფასიო ნუნიესი (პარაგვაი)

ჩემპიონები ტიტულის დაცვას ბრწყინვალე გამარჯვებით შეუდგნენ — ბრაზილიის 7:0 მოგება მოსალოდნელიც იყო. ბრწყინვალე გამარჯვებითო, ვამბობთ. როდესაც ასეთი ანგარიშით იგებ, თავისთავად კარგია და შესანიშნავი, მაგრამ სასიამოვნო ისაა, რომ ვანდერლეი ლუქსებურგოს ბრაზილიის ნაკრებმა ვენესუელას ლამაზი, სწრაფი და ძლიერი თამაშით მოუგო. ბრაზილიელებს სამხრეთ ამერიკის უსუსტესი ნაკრები ადრეც დაუმარცხებიათ და ამაზე დიდი ანგარიშითაც, მაგრამ ამ შეხვედრაში ისინი მთლიანად დაიხარჯნენ, როცა ადრე წარმატებას ამის გარეშეც აღწევდნენ.

ჩემი გუნდი ყველა შეხვედრაში გამარჯვებისთვის იბრძოლებსო, თქვა ლუქსემბურგომ ტურნირის დაწყებამდე. ვენესუელასთან ბრძოლა, როგორც ასეთი, ბრაზილიისთანა გუნდებს არც არასდროს გასჭირვებიათ, მაგრამ ბრაზილიელებმა არაფერი დაიშურეს, პირველი წუთიდან დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანეს. შედეგად კი ის მიიღეს, რასაც უდავოდ იმსახურებდნენ.

ბრაზილიელთა ძლიერ სტარტთან ერთად საგულისხმოა რონალდოს ორი გოლი. მილანის „ინტერის“ თავდამსხმელი, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ, ცოტა არ იყოს, მოისუსტებს (ადრინდელ რონალდოსთან შედარებით), ვენესუელასთან მთელი თავისი ბრწყინვალებით წარმოჩინდა. თავის დროზე მსოფლიოს ორგზის საუკეთესო ფეხბურთელმა ვენესუელასთან ძლიერად ითამაშა, ორი გოლიც შეაგდო და ქომაგები დაარწმუნა, რომ ტრავმისაგან, როგორც ჩანს, საბოლოოდ განიკურნა.

— ეს ტურნირი ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ევროპაში თამაშით ძალიან დავიღალე და ვეცდები, ის, რაც იტალიაში დამაკლდა, აქ აღვიდგინო. რაც შეეხება ტრავმას, მალე, ალბათ, საბოლოოდ განვიკურნები — განაცხადა რონალდომ. იგი პარაგვაელ გულშემატკივრებს შორის ძალიან პოპულარულია — ვენესუელასთან მატჩის შემდეგ დაახლოებით თხუთმეტი წუთი მარტო ავტოგრაფებს არიგებდა.

რონალდოს დარად, ორი გოლი გაიტანა იტალიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა მარსიო ამოროზომ. „კოპა ამერიკის“ დაწყებამდე „უდინეზედან“ „პარმაში“ გადასული ფორვარდი, ეტყობა, ქვეყნის პირველ გუნდში იმკვიდრებს ადგილს. დღესდღეობით მწვრთნელი მის და რონალდოს დუეტს საუკეთესოდ მიიჩნევს. ლუქსემბურგო მართალია — რონალდო და ამოროზო მართლაც შესანიშნავი თავდასხმის წყვილია და ეს თითქმის ყველა შეხვედრაში მტკიცდება.

მიუხედავად რონალდოს ორი გოლისა, მიუხედავად ბრაზილიელთა შვიდი ბურთისა, ყველაზე მეტად აღსანიშნავი 19 წლის რონალდინიოს გოლია, რომელიც ჯერჯერობით ტურნირზე საუკეთესოა.

როცა რონალდინიო თამაშში ჩაერთო, ბრაზილია 4:0-ს იგებდა. შეიძლება ამან გვაფიქრებინოს, რომ ვენესუელელ მცველებს ხელი ჰქონდათ ჩაქნეული, მაგრამ ის, რაც რონალდინიომ მოიმოქმედა, გმირობაა — თანაგუნდელისგან მიღებული პასის შემდეგ მან ბურთი მიწაზე არც დაუშვა, ისე გადაატარა მეტოქეს თავზე, მერე კიდევ ერთ ვენესუელელს გასცდა და არც გოლის გატანა გასჭირვებია. გოლი კი ულამაზესი იყო.

— სანამ ჩემპიონატი დაიწყებოდა, გუნდში უსიამოვნო ატმოსფერო შეიქმნა. მოგეხსენებათ, ლეონარდომ გუნდი დატოვა და მისმა მოქმედებამ სიტუაცია გარკვეულწილად დაძაბა, თუმცა ახლა, ამ გამარჯვების შემდეგ, ყველაფერი ძველებურად, ბრწყინვალედ იქნება. ბრაზილია პარაგვაიში კვლავაც ჩემპიონობისთვის იბრძოლებს. ჩვენ ტიტულს შევინარჩუნებთ! — ალბათ, ძნელი მისახვედრი არაა, ვისი სიტყვებია. გამარჯვებულთა მწვრთნელი ლუქსემბურგო ოპტიმისტურადაა განწყობილი და გუნდის შემართებაც აღსანიშნავია.

ვენესუელელები? წაგება, ცხადია, საწყენია, მაგრამ საეჭვოა მათ მაინცდამაინც განეცადათ — ისინი ხომ მიჩვეულნი არიან განადგურებას. თანაც პირველი გოლის ფაქტორი...

ჩილე 0:1 მექსიკა

0:1 ერნანდესი (58)

ჩილე: მარსელო რამირესი, რეიესი, მიგელ რამირესი, ვარგასი, როხასი, აკუნია (გონსალესი 73), პარაგესი, პისარო (ესტაი 65), ვალენსია (პალასიოსი 80), სამორანო, სალასი

მექსიკა: კამპოსი, პარდო, მარკესი, სუარესი, კარმონა, ლარა, სეპედა (პალენსია 46), გარსია ასპე (სანჩესი 77), ერნანდესი, ბლანკო (ჩავესი 80), რამონ რამირესი

გაფრთხილება: აკუნია (20), რამონ რამირესი (74)

მსაჯი: ორასიო ელისონდო (არგენტინა)

საინტერესო თამაში იყო, ტურნირში აქამდე გამართულთაგან საუკეთესო. მატჩს ინტრიგაც ისიც მატებდა, რომ ჩილეც და მექსიკაც ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილეები იყვნენ.

ვის უნდა მოეგო? უპირატესობას ჩილეს ანიჭებდნენ. მექსიკაზე კი მაინც ეჭვობდნენ. რაც უნდა იყოს, ნაკრებში მილანის „ინტერის“ თავდამსხმელი ივან სამორანო და იტალიის ვიცე-ჩემპიონ რომის „ლაციოს“ ფორვარდი მარსელო სალასი თამაშობდნენ. რა თქმა უნდა, ეს სახელები საქმეყნოდაა ცნობილი, მაგრამ განა ორი კაცი წყვეტდა მატჩის ბედს? შესაძლოა მექსიკის ნაკრებში სალასისა და სამორანოსავით სახელდაგდებული მოთამაშეები არ იყვნენ, მაგრამ გუნდად მექსიკა ჩილეს აშკარად სჯობდა. ამიტომაც იმარჯვა.

არასამხრეთამერიკული გუნდის გამარჯვება ლუის ერნანდესმა, წინა „კოპა ამერიკის“ საუკეთესო ბომბარდირმა განაპირობა. შეხვედრის დაწყებიდან დაახლოებით საათი რომ გავიდა კუატემოკ ბლანკომ ერნანდესს შესანიშნავი პასი მიაწოდა, რომელიც თავდამსხმელმა უმალ გოლად აქცია — 1:0. ამის მერე სხიფათო მომენტი ერთადერთხელ შეიქმნა და ისიც ჩილელთა ლიდერმა ივან სამორანომ ვერ გამოიყენა.

— ამ შეხვედრაში ჩვენთვის უმთავრესი სამი ქულა იყო. კარგ შედეგს ტურნირის დაწყებისთანავე უნდა მიაღწიო. რაც შეეხება გუნდის თამაშს, პირადად მე ამ მატჩითაც კმაყოფილი დავრჩი, თუმცა ვეცდები, კიდევ უფრო სრულყოფილად ვითამაშოთ — მექსიკელთა თავკაცი მანუელ ლაპუენტე ობიექტური კაცია. გუნდს ათამაშებს, ისე, რომ შედეგი იყოს. აქვს კიდეც.

რეალურად რომ ვიმსჯელოთ, ეს ჯგუფი „კოპა ამერიკის“ მიმდინარე გათამაშებაში ურთულესია. ბრაზილია, ჩილე, მექსიკა — დაგვეთანხმებით, ეს გუნდები კარგი და დაძაბული მატჩების წინაპირობას ქმნიან. კონკურენციაც დიდია, ასეთ შემთხვევაში კი ყველა ქულას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. თუ მექსიკამ უდავოდ მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა, ბრაზილიელებზე იმავეს ვერ ვიტყვით — ვენესუელასთან ალბათ, ჩილეც მოიგებს და მექსიკაც. ასე რომ, ბრაზილიას ყველაფერი წინ აქვს.

დავუბრუნდეთ ამ მატჩს — რას აკეთებდნენ ივან სამორანო და მარსელო სალასი? პასუხი მარტივია — თამაშობდნენ, მაგრამ მეტოქის მცველებს ვერ სჯობდნენ. რა თქმა უნდა, იყო ორი-სამი მომენტი, როცა მრისხანე თავდამსხმელებს შეუძლიათ ჩილელი ქომაგების გახარება, მაგრამ საწადელს ვერ მიაღწიეს. ხან ხორხე კამპოსი თამაშობდა ძლიერად და ყურადღებით, ხანდახან ფორვარდები სცოდავდნენ.

ამოცანა ძალიან გავირთულეთო, თქვა მატჩის შემდეგ ჩილელთა მწვრთნელმა ნელსონ აკოსტამ.

მართალია კაცი.

ლაშა გოდუაძე

ნაგებულებს კი სიდნეიში უნდათ

ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატი. მეოთხედფინალი

ნორვეგია 3:1 შვედეთი

1:0 აარონესი (51), 2:0 პეტერსენი (58), 3:0 რიისე (423), 3:1 მოსტრომი (90)

ჩინეთი 2:0 რუსეთი

1:0 პუ (37), 2:0 ინი (56)

სან ხოსეს „სპარტან სტედიუმზე“ რუსმა ქალებმა ჩინელებთან მარცხი განიცადეს. ეს სრულიად მოსალოდნელი ამბავი გახლდათ. ისევე, როგორც იქვე, რამდენიმე საათის შემდეგ ნორვეგიელების მიერ მეზობელი შვედების ძლევა. ამრიგად, ოთხიდან ორი ნახევარფინალისტი სწორედ ის გახდა, ვინც უნდა გამხდარიყო. აღსანიშნავია ისიც, რომ მსოფლიოს 99 წლის ჩემპიონატი სიდნეის 2000 წლის ოლიმპიადის შესარჩევ შეჯიბრებადაც განიხილება. ასე რომ, ნორვეგია და ჩინეთი გაისად ავსტრალიაში წასვლაზე აღარ ინერვიულებენ.

მეოთხედფინალში დამარცხებულებს კი შედეგებს შეუდარებენ და მათგან სამს, ვინც „უკეთესად წააგო“, ასევე მისცემენ სიდნეის საგზურს. მოკლედ, რუსებსა და შვედებს გუშინ, კიდევ ორ მეოთხედფინალში — რომელიც საქართველოს დროით ამ გამთენიისას უნდა გამართულიყო — წაგებულთა დიდი ანგარიშით წაგება აძლევდათ ხელს.

ჩინელები ზედიზედ მეორედ გავიდნენ მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში. 1995 წელს მეოთხედფინალში მათ შვედები დაამარცხეს, მერე კი მეოთხე ადგილზე გავიდნენ. 1996-ში ისინი ატლანტის ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსნებიც შეიქნენ.

ჩინელთა და რუსთა დაპირისპირებაში პირველი ტაიმი ცალსახად აზიელებისა იყო. თავად განსაჯეთ, კარში მათ 14-ჯერ დაარტყეს, რუსებმა კი ერთადერთხელ. რაშიც ჩინელი ქალები მოიკოჭლებდნენ, სიზუსტე გახლდათ. მათ 14-დან მხოლოდ ერთხელ მიაღწიეს მიზანს. ეს ამბავი 37-ე წუთზე მოხდა, როდესაც პუ ვეიმ მეტოქის მცველთა შეცდომით ისარგებლა, მათი უღონო პასი ჩაჭრა და სვეტლანა პეტკოს კარი დალაშქრა. ისე, პეტკო კინაღამ მიწვდა ბურთს.

შესვენების შემდეგ ჩინელებმა ზეწოლა განაგრძეს. რუსებს მდგომარეობის გამოსასწორებლად ისეთი შეცვლების განხორციელება მოუხდათ, რომელთა აზრიც, თითქოს, შეტევის გაძლიერება უნდა ყოფილიყო, მაგრამ მეორე ტაიმის მე-11 წუთზე აზიელთა მთავარმა ფორვარდმა სუნ ვენმა საჯარიმო დარტყმით ბურთი ძელს გაარტყა. გამოვარდნილი ინ იანს მიუგორდა, რომელმაც მეორედ გადააკვეთინა მას რუსთა კარის ხაზი.

ორი გოლით დაწინაურებულ ჩინელებს ძალთა ზედმეტი ხარჯვა აღარაფრად სჭირდებათ და, შესაბამისად, ტაქტიკა შეცვალეს, ორიენტაცია უფრო ბურთის ფლობაზე გადაიტანეს და ამ ხერხითაც აჯობეს მოწინააღმდეგეს, რომელიც მათთან შედარებით აშკარად დაბალი კლასისა გამოდგა.

ნახევარფინალში ჩინეთის ნაკრები ნორვეგიას უნდა შეხვდეს. მათი მატჩი ბოსტონის „ფოქსბოროს“ სტადიონზე 4 ივლისს, კვირას გაიმართება.

ჩინელებთან შეხვედრის უფლების მოსაპოვებლად, როგორც მოგახსენეთ, ნორვეგიელებმა შვედებს სკანდინავიურად გაურჩიეს საქმე. მათი დაპირების პირველი ტაიმი უგოლო გამოდგა, მეორე ნახევრის მე-6 წუთზე კი ან კრისტინ აარონესის ულამაზესმა გოლმა ნორვეგიის ნაკრებს ნახევარფინალისკენ პირველი ნაბიჯი გადაადგმევინა. ეს აარონესის მეოთხე გოლი გახლდათ მიმდინარე შეჯიბრებაში.

1995 წელს, წინა ჩემპიონატზე, რომელშიც მსოფლიოს უძლიერესი გუნდის ტიტული სწორედ ნორვეგიელებმა მოიპოვეს, აარონესმა ექვსი გოლი გაიტანა და ოქროს ბუცი ანუ ტურნირის საუკეთესო ბომბარდირის წოდება მიიღო.

ახლა კი აარონესის წარმატების შემდეგ ნორვეგიელებმა მონაგარს კიდევ ორი გოლი დაამატეს. ჯერ იყო და მარიან პეტერსენმა დრიბლინგის წყალობით შვედთა დაცვა გააპო და მეკარესაც ოსტატურად აარიდა მიზნისკენ მიმართული მრგვალი ბურთი. მიმომხილველთა ერთი ნაწილი ამტკიცებს, რომ პეტერსენი ამ დროს კარში კი არ არტყამდა, პასს აწვდიდა, მაგრამ შედეგისთვის ამას დაგვეთანხმებით, დიდი მნიშვნელობა არ აქვს. შემდეგი გოლიც პეტერსენის დრიბლინგის გაგრძელება გახლდათ — შვედმა მეკარემ, ულრიკა კლარსონმა მას ბურთი წესის დარღვევით აართვა, პენალტით დაისაჯა და ჰეგე რიისეს მიერ თერთმეტმეტრიანის ნიშნულიდან დარტყმულს წინააღმდეგობა ვეღარ გაუწია.

ბუნებრივია შვედებისთვის ნახევარფინალის გზა უკვე გადახერგილი გახლდათ, მაგრამ კაპიტულაცია დაუშვებელი იყო. თუ რატომ იყო კაპიტულაცია დაუშვებელი, წერილის დასაწყისში მოგახსენეთ, როდესაც სიდნეის ოლიმპიადის საგზურების ამბავზე ვსაუბრობდით. შვედებს დაჟინებამ გაუმართლა...

მიხეილ სურგულაძე

ნორვეგია — შვედეთი 3:1. ნორვეგიელთა მეორე გოლის ავტორი მარიან პეტერსენი (№11) და შვედი სესილია სანდელი

ფეხბურთის რუკასთან

ნიგერიის ნაკრების თავდამსხმელი რაფაელ ჩუკკუ სამხრეთ აფრიკის კლუბ „მამელოდი სანდაუნსიდან“ იტალიის ჩემპიონატში მონაწილე „ბარიში“ გადავიდა. იტალიელებმა სამხრეთ აფრიკის 1998 წლის საუკეთესო ფეხბურთელ ჩუკკუს სანაცვლოდ 2,5 მილიონი დოლარი გადაიხადეს. ჩუკკუს ძლიერმა თამაშმა განაპირობა „მამელოდი სანდაუნსის“ ზედიზედ ორჯერ გაჩემპიონება. ნიგერიელ მოთამაშეს რამდენიმე კლუბი იწვევდა ავსტრიიდან, დანიიდან და გერმანიიდან, თუმცა ფეხბურთელმა სერია A-ში თამაში ამჯობინა და ეს იმით დაასაბუთა, რომ იტალიის პირველობა ევროპაში უძლიერესია.

რუსეთის თასის მფლობელმა სანკტ პეტერბურგის „ზენიტმა“ უეფას თასის გათამაშებაში ჩაბმამდე გუნდი მოლდოვის ნაკრების კაპიტან ალექსანდრუ კურტიანუთი გააძლიერა. მოლდოველმა ფეხბურთელმა „ზენიტთან“ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. „ჩვენ მოხარული ვართ, რომ კურტიანუ დავიბრუნეთ“ — განაცხადა კლუბის პრეს ატაშემ. შეგახსენებთ, რომ კურტიანუ შარშან სწორედ „ზენიტში“ თამაშობდა სანამ ბუნდესლიგის „ჰამბურგში“ გადავიდოდა.

უკრაინის პროფესიონალურმა საფეხბურთო ლიგამ განაცხადა, რომ 2000-2001 წლების სეზონში ქვეყნის ჩემპიონატში 16 კლუბის ნაცვლად 14 გუნდი მიიღებს მონაწილეობას. ლიგის მდივანმა დმიტრი რეზნიკმა ეს იმით ახსნა, რომ გრძელი კალენდარი ისეთი გუნდებისთვის, როგორიც მაგალითად კიევის „დინამოა“ გადამღლელია. შეგახსენებთ, რომ უკრაინის მორიგი ჩემპიონატი 12 ივლისს იწყება, ანუ ზუსტად 16 დღის შემდეგ, რაც 1998-99 წლების პირველობა დასრულდა.

ინგლისის პრემიერლიგიდან გავარდნილი „ნოტინგემ ფორესტი“ მწვრთნელის თანამდებობაზე ქვეყნის ნაკრების ყოფილ კაპიტანს, დევიდ პლატს ეპატიჟება. 32 წლის პლატი პროფესიონალურ ფეხბურთს შარშან შეეშვა. ცნობისათვის: ნოტინგემელები პლატამდე ინგლისის ნაკრების ყოფილ მწვრთნელ გლენ ჰოდლს იწვევდნენ.

ალბანელი თავდამსხმელი ალბან ბუში სავარაუდოდ ბულგარეთის ჩემპიონ „ლიტექსიდან“ თურქეთის კლუბ „ადანასფორში“ გადავა. ბულგარული კლუბის წარმომადგენელმა ვესელინ ბოგდანოვმა განაცხადა, რომ ბუში თურქებთან ორწლიან კონტრაქტს გააფორმებს, „ლიტექსი“ კი სანაცვლოდ 530 ათას დოლარს მიიღებს.

ინგლისის პრემიერლიგაში აღზევებულმა „ბრედფორდ სიტიმ“ „ლიდს იუნაიტედიდან“ ცენტრალური მცველი დევიდ უეზეროლი შეიძინა. მცველის გადაბირება რამდენიმე ხნის წინ „საუთჰემპტონს“ ეწადა. უეზეროლის სანაცვლოდ „ბრედფორდ სიტიმ“ ორი მილიონი გირვანქა გადაიხადა.

იაპონელი ვარსკვლავი ჰიდეტოში ნაკატა, ალბათ, „პერუჯაში“ დარჩება. ნაკატას ფრანგული „მონაკო“ ეპატიჟებოდა და ფეხბურთელს მათთან თითქმის გაფორმებული ჰქონდა კონტრაქტი, მაგრამ გარიგება არ შედგა. ცნობისათვის: ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული „მანჩესტერ იუნაიტედი“ იაპონელ ვარსკვლავში 10 მილიონ გირვანქას იხდიდა. ნაკატას შეძენას მეორე ინგლისური კლუბი „არსენალიც“ ცდილობდა.

ესპანეთის პრიმერა დივიზიონის კლუბი „ბეტისი“ იტალიის ჩემპიონ „მილანთან“ ორი ფეხბურთელის თაობაზე აწარმოებს მოლაპარაკებას. ესპანელებს მილანელთა ბრაზილიელი მეკარე დიდას და ფრანგი იბრაჰიმ ბას გადაბირება სწადიათ. ბას სანაცვლოდ ესპანელები „მილანს“ 5 მილიონ გირვანქას სთავაზობენ.

იტალიელი რობერტო დი მატეო შესაძლოა ლონდონის „ჩელსიდან“ მადრიდის „ატლეტიკოში“ გადავიდეს. მას შემდეგ, რაც „სკუადრა აძურას“ ყოფილმა ნახევარმცველმა ლონდონურ კლუბში ოთხი თასი მოიპოვა (ინგლისის ლიგის და ასოციაციის თასები, თასების მფლობელთა თასი, ევროპის სუპერთასი) კლუბის ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრება უჭირს. დი მატეოს „ჩელსიდან“ ესპანეთში გადაბარგება იმანაც აფიქრებინა, რომ ლონდონელებმა „იუვენტუსიდან“ ფრანგი ნახევარმცველი დიდიე დეშამპი შეიძინეს, რითაც დი მატეოს კლუბის ძირითად შემადგენლობაში მოხვედრა ფაქტობრივად გამოირიცხა. დი მატეოს შეძენის სურვილი გასული წლის ბოლოს „ფიორენტინამ“ და „ვალენსიამ“ გამოთქვეს. „ჩელსი“ 29 წლის დი მატეოს სანაცვლოდ 6 მილიონ გირვანქას ითხოვს.

იაპონიაში სიდნეის ოლიმპიადის საფეხბურთო ტურნირის ორი შესარჩევი მატჩი გაიმართა. ტოკიოში ფილიპინებმა და ნეპალმა ფრედ 2:2 ითამაშეს, ხოლო ჰონკონგმა 3:0 დაამარცხა მალაიზია.

ჰოლანდიელი თავდამსხმელი როი მაკაი ლა კორუნიის „დეპორტივოში“ გადავიდა „ტენერიფედან“. ესპანეთის თასის ნახევარფინალში ძლეულმა „დეპორტივომ“ მაკაის სანაცვლოდ „ტენერიფეს“ 8,3 მილიონი დოლარი გადაუხადა. მაკაიმ ესპანეთის აწ უკვე გასრულებულ ჩემპიონატში, ლიგიდან გავარდნილი „ტენერიფეს“ შემადგენლობაში 14 გოლი გაიტანა.

ავსტრია

I ტური

ტიროლი 2:1 რაპიდი

0:1 ბარიშიჩი (10ს.ჯ.), 1:1 ბარიშიჩი (15), 2:1 გილევიჩი (80)

ბრეგენცი 1:2 რიდი

1:0 ტომიჩი (3), 1:1 როთბაუერი (4), 1:2 ვილია (76)

ზალცგურგი 1:0 ლუსტენაუ

1:0 ნიკოლიჩი (69)

ლინცერი 0:2 შტურმი

0:1 შტრაფნერი (19), 0:2 მარტენსი (80)

გრაცერი 0:2 აუსტრია

0:1 მ. ვაგნერი (35), 0:2 მაირლები (91)

ქირავდება

ერთოთახიანი ბინა ქავთარაძის ქუჩაზე

Tel: 93 15 72

ესპანეთი

პლეი ოფი. საპასუხო მატჩები

რაიო 2:0 ესტრემადურა

1:0 ტიაგო (52), 2:0 ბოლო ჰერესი (56)

სევილია 1:0 ვილიარეალი

1:0 გაბი მოია (52)

პრიმერა დივიზიონის ორი მონაწილეც გაირკვა. ორივე გამარჯვებული — „რაიო ვალეკანოც“ და „სევილიაც“ წლეულს ქვედა ლიგაში ასპარეზობდნენ, ახლა კი ამაღლდნენ.

მადრიდის „რაიო ვალეკანომ“ პორტუგალიელ ნახევარმცველ ტიაგოს და ბასკ თავდამსხმელ ბოლო ჰერესის გოლების წყალობით ორი მატჩის ჯამში 4:0 დაამარცხა მეტოქე.

საბოლოოდ სიტუაცია ასეთია: მომავალ სეზონში პრიმერა დივიზიონში ოთხი ახალი კლუბი ითამაშებს — „მალაგა“, „ნუმანსია“, „რაიო ვალეკანო“ და „სევილია“. დაქვეითებულები კი „ესტრემადურა“, „ვილიარეალი“, „ტენერიფე“ და „სალამანკა“ არიან.

სარგბილის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს უზრუნველყოფს კომპანია **საქტელეკომ პლუსი**

☎ 99 67 67, 98 30 20

გახდება რაული პირველი?

ესპანელი ბომბარდირი მორიგი გოლის შემდეგ

სარგებლის არქივიდან

არიან თავდამსხმელები, რომლებიც მეგოლეებად დაბადებულან. არიან ისეთებიც, რომლებიც უფრო თანაგუნდელის დასახმარებლად შრომობენ. მადრიდის „რეალის“ თავდამსხმელი რაული, იგივე რაულ გონსალეს ბლანკო, უფრო პირველთა კატეგორიას მიეკუთვნება. იგი ნამდვილი გოლეადორია და მიუხედავად იმისა, რომ იგი ჯერ 22 წლისაა, ესპანეთის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში, ანუ პრიმერა დივიზიონში უკვე 83 გოლის გატანა მოახერხა.

რაული წლეულს პრიმერა დივიზიონის საუკეთესო ბომბარდირი გახდა — აწ უკვე გასრულებულ ჩემპიონატში 24 გოლი გაიტანა და პირველად შესწვდა ბომბარდირის, როგორც ესპანეთში ამბობენ, „ლოს პიჩიჩის“ წოდებას. ახალგაზრდა თავდამსხმელისთვის ეს მართლაც შესანიშნავი მიღწევაა.

ბრძოლა ბომბარდირობისთვის, ისევე როგორც ჩემპიონთა ლიგის საგზურებისთვის, ბოლო ტურამდე მიმდინარეობდა. ერთმანეთს ესპანური ფეხბურთის ორი გრანდის — „რეალსა“ და „ბარსელონას“ საუკეთესო თავდამსხმელები — რაული და რივალდო დაუპირისპირდნენ. საბოლოოდ ვინც იმარჯვა, კარგად ვიცით. ისტორიასაც სწორედ გამარჯვებული და მშრალი სტატისტიკური მონაცემი — 24 გოლი შემორჩება, მაგრამ ის. დაძაბულობა, რომელიც ამ ორი ფეხბურთელის ბრძოლას სდევდა თან, მხოლოდ გულშემატკივრის მეხსიერებაში დარჩება.

ობიექტური თვალით რომ შევხედოთ, რაულის და რივალდოს სახით ერთმანეთს ფორვარდთა ორი, სრულიად განსხვავებული მოდელი დაუპირისპირდა — რაული, რომელიც უფრო დამაგვირგვინებელია და რივალდო, რომელიც დღესდღეობით თავდამსხმელის ეტალონადაც შეიძლება მივიჩნიოთ.

ვიტორ ბარბოსა ფერეირა, იგივე რივალდო, მხოლოდ თავდამსხმელი არაა — იგი თამამად შეიძლება ბოლო წლების ერთ-ერთ უძლიერეს ფეხბურთელად დავასახელოთ. ეს ორი სეზონია, „ბარსელონას“ ფორვარდი შეუდარებელია და მიუხედავად იმისა, რომ მისი ძალა და კარგი ფეხბურთელობა „ფრანს ფუტბოლის“ ოქროს ბურთით არ აღნიშნულა, ამით მას ნამდვილად არაფერი აკლდება.

1997-98 წლების სეზონში რაულმა მხოლოდ და მხოლოდ ათი გოლი გაიტანა. ეს მისთვის, ცხადია ცოტაა, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ შარშან ტრავმები სტანჯავდა, რაც, რა თქმა უნდა, ფეხბურთელის შესაძლებლობებზე ზეგავლენას ახდენდა. რაულმა აწ უკვე გასრულებულ ჩემპიონატში მხოლოდ 24 გოლი რომ გაიტანა, სწორედ ტრავმის ბრალია. დიახ — თუ წინა ჩემპიონატში „რეალის“ თავდამსხმელი უმეტესწილად დაშავებული გახლდათ, წლეულს იგი გაზაფხულზე დაიმტვრა, სწორედ მაშინ, როცა შესანიშნავ ფორმაში იყო და როცა მონაგარის გაზრდაში, თითქოს ხელს ვერაფერი შეუშლიდა. მისდა საბედნიეროდ, ტრავმა მსუბუქი აღმოჩნდა და რაული მალე დაბრუნდა, გოლებიც გაიტანა და ბომბარდირიც გახდა.

„რეალის“ ქომაგებს ალბათ ახსოვთ რაულის გოლები. მათი უმეტესობა ჩვეულებრივზე ჩვეულებრივია, ისეთი, როგორიც ყველა ჩემპიონატის ყველა ტურში გადის. ცხადია, რაულსაც გაუტანია ძალიან ლამაზი გოლები, მაგრამ იგი უფრო ბომბარდირია, ვიდრე შესანიშნავი გოლების შემქმნელი. არის მომენტი? რაული გაიტანს. თუ საგოლე სიტუაცია არ არის, იგი არც ისე სახიფათოა.

უფრო ნათელი რომ იყოს, რაული ორ თავდამსხმელს — რივალდოს და კრისტიან ვიერის შევადაროთ.

რივალდო, როგორც ზემოთ ვთქვით, დღესდღეობით მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშეა. იგი, გარდა იმისა, რომ შესანიშნავი თავდამსხმელია, შემქმნელიცაა — „ბარსელონა“ რივალდოთი და მის გარეშე, თამამად შეიძლება ითქვას, სხვადასხვა გუნდებია. „ბარსას“ რივალდო ფანტაზიას მატებს, მისი ორიგინალური გადაწყვეტილებები გუნდისთვის სასარგებლოა. გარდა ამისა, იგი შესანიშნავი პარტნიორია. იცის დროული და ზუსტი გადაცემის ფასი. რივალდოს სიძლიერესა და უნივერსალობაზე ისიც მეტყველებს, რომ ბრაზილიელი უნაკლოდ ასრულებს პენალტებს და სტანდარტული სიტუაციებისასაც სასიფათოა.

კრისტიან ვიერი ძლიერი თავდამსხმელია. რამდენად ფასეულია იგი გუნდისთვის, ამაზე „ინტერის“ მიერ მასში გადახდილი 42 მილიონი დოლარი მეტყველებს. ვიერის და რაულს შორის სხვაობაცაა და მსგავსებაც.

რაული ვიერის დარად და რივალდოსგან განსხვავებით წმინდა მეგოლეა. თუმცა თუ ამ მხრივ მადრიდის „რეალის“ თავდამსხმელი და მილანის „ინტერის“ ფორვარდი ერთმანეთის მსგავსნი არიან, მათ შორის ერთი დიდი განსხვავებაა. თუ რაულის გოლები უმეტესწილად თანაგუნდელთა ზუსტ და დროულ გადაცემებს მოსდევს, ვიერის ხშირად მას შემდეგ გააქვს ბურთები, როცა მეტოქეებს ორთაბრძოლაში აჯობებს. თავის მხრივ, რაულიც და ვიერიც რივალდოსგან იმით განსხვავდებიან, რომ არც ერთი და არც მეორე არაა პენალტისტი, ანაც საჯარიმო დარტყმების ძლიერი შემსრულებელი.

მიუხედავად ყველაფრისა, რაულის სიძლიერე სრულიადაც არ იჩრდილება. იგი მაღალი დონის თავდამსხმელი რომ არ ყოფილიყო, ვერც მადრიდის „რეალის“ ძირითად შემადგენლობაში დაიბევებდა ადგილს და ვერც ესპანეთის ნაკრების ფორვარდი იქნებოდა. მით უმეტეს, შემთხვევით ვერ გახდებოდა ესპანეთის ჩემპიონატის ბომბარდირი. საგულისხმოა ერთი ფაქტიც — რაული მოქმედ ფეხბურთელთა შორის, ერთ-ერთი ყველაზე შედეგიანია, ხოლო მისი პროცენტული მაჩვენებელი, თუ ასეთი შედარება დასაშვებია, ესპანეთის ჩემპიონატის ყველა დროის ბომბარდირების შესაბამისია.

რაულზე და მთლიანობაში ესპანეთის ჩემპიონატის ბომბარდირებზე საუბარს მცირე სტატისტიკის მოშველიებით დავასრულებ — პრიმერა დივიზიონის ყველა დროის ბომბარდირია ბასკი სარა, რომელმაც გარდა იმისა, რომ „ლოს პიჩიჩის“ წოდება ექვსჯერ მოიპოვა, მთლიანობაში 277 მატჩში 251 გოლი გაიტანა! უდავოდ შესანიშნავი მიღწევაა.

თუ სარას სახელი ესპანური ფეხბურთის ქართველი გულშემატკივრებისთვის შედარებით უცნობია, პრიმერა დივიზიონის ყველა დროის ბომბარდირთა სამეულის მეორე და მესამე წევრები საქვეყნოდ ცნობილი მოთამაშეები არიან: 347 მატჩში გატანილი 234 გოლით მექსიკელი უგო სანჩესი მეორეა, ხოლო 329 შეხვედრაში შეგდებული 227 გოლით ალფრედო დი სტეფანო მესამე გახლავთ.

ახალგაზრდა რაულის შედეგიანი თამაში იმდენად საგულისხმოა, რომ არაა გამორიცხული, გავიდეს ხანი და ესპანური ფეხბურთის ყველა დროის საუკეთესო თავდამსხმელად სწორედ იგი იქცეს.

ლაშა გოდუაძე

ესპანეთის ჩემპიონატის გოლბომბარდირები

		გ	თ
1929	ბიენსობასი (სოსიედადი)	14	18
1930	გოროსიტა (ბილბაო)	19	18
1931	ბატა (ბილბაო)	27	17
1932	გოროსიტა (ბილბაო)	12	15
1933	ოლივარესი (რეალი)	16	14
1934	ლანგარა (ოვიედო)	27	18
1935	ლანგარა (ოვიედო)	26	22
1936	ლანგარა (ოვიედო)	27	21
1940	უნამუნო (ბილბაო)	20	22
1941	პრუდენი (ავიასიონი)	30	22
1942	მუნდო (ვალენსია)	27	25
1943	მარტინი (ბარსელონა)	32	23
1944	მუნდო (ვალენსია)	27	26
1945	სარა (ბილბაო)	19	26
1946	სარა (ბილბაო)	24	18
1947	სარა (ბილბაო)	34	24
1948	პაინიო (სელტა)	23	22
1949	სესარი (ბარსელონა)	28	24
1950	სარა (ბილბაო)	25	26
1951	სარა (ბილბაო)	38	30
1952	პაინიო (რეალი)	28	27
1953	სარა (ბილბაო)	24	29
1954	დი სტეფანო (რეალი)	27	28
1955	არსა (სევილია)	28	29
1956	დი სტეფანო (რეალი)	24	30
1957	დი სტეფანო (რეალი)	31	30
1958	დი სტეფანო (რეალი)	19	30
	ბადენესი (ვალიადოლიდი)	19	29
	რიკარდო (ვალენსია)	19	29
1959	დი სტეფანო (რეალი)	23	28
1960	პუშკაში (რეალი)	26	24
1961	პუშკაში (რეალი)	27	28
1962	სემინარიო (სარაგოსა)	25	30
1963	პუშკაში (რეალი)	26	30
1964	პუშკაში (რეალი)	20	25
1965	რე (ბარსელონა)	25	30
1966	ვავა (ელჩე)	19	30
1967	ვალდო (ვალენსია)	24	30
1968	ურიარტე (ვალენსია)	22	24
1969	ამანსიო (რეალი)	14	29
	გარატე (ატლეტიკო)	14	30
1970	ამანსიო (რეალი)	16	29
	გარატე (ატლეტიკო)	16	30
	ლუისი (ატლეტიკო)	16	30
1971	გარატე (ატლეტიკო)	17	28
	რექსაჩი (ბარსელონა)	17	28
1972	პორტა (გრანადა)	20	31
1973	მარლანინი (ოვიედო)	19	32
1974	კინი (სპორტინგი)	20	34
1975	კარლოსი (ბილბაო)	19	32
1976	კინი (სპორტინგი)	18	34
1977	კემპესი (ვალენსია)	24	34
1978	კემპესი (ვალენსია)	28	34
1979	კრანკი (ბარსელონა)	26	32
1980	კინი (სპორტინგი)	24	34
1981	კინი (ბარსელონა)	20	30
1982	კინი (ბარსელონა)	26	32
1983	რინკონი (ბეტისი)	20	29
1984	და სილვა (ვალიადოლიდი)	17	30
	ხუანიტო (რეალი)	17	31
1985	სანჩესი (ატლეტიკო)	19	33
1986	სანჩესი (რეალი)	22	33
1987	სანჩესი (რეალი)	34	41
1988	სანჩესი (რეალი)	29	35
1989	ბალთასარი (ატლეტიკო)	35	36
1990	სანჩესი (რეალი)	38	36
1991	ბუტრაგენიო (რეალი)	19	35
1992	მანოლო (ატლეტიკო)	27	36
1993	ბებეტო (დეპორტივო)	29	37
1994	რომარიო (ბარსელონა)	30	33
1995	სამორანო (რეალი)	28	38
1996	პიცი (ტენერიფე)	31	41
1997	რონალდო (ბარსელონა)	34	37
1998	ვიერი (ატლეტიკო)	24	24

გაიხსენეთ ჩელსი

რა თქვა ბოლოს და ბოლოს ლი ჰოდკინსმა?

მარქსი, ენგელსი და ლენინი არ გეგონოთ, ფერგიუსონი, ედუარდსი და დევისი არიან

მანჩესტერის „ოლდ ტრეფორდიდან“ გავარდნილი ცნობა იმის თაობაზე, რომ ინგლისის ჩემპიონი, ევროპის ჩემპიონთა თასისა და რაც ამ შემთხვევაში ყველაზე მთავარია, ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციის თასის მფლობელი, „მანჩესტერ იუნაიტედი“, მომავალ სეზონში ამ უკანასკნელ ჯილდოს აღარ დაიცავს, ალბიონზე დიდი ღელვისა და მსჯელობის საგნად იქცა. მსოფლიოს ყველაზე მდიდარმა კლუბმა მიატოვა (როგორც თავად ამბობს ერთი წლით) 127 წლის ისტორიის მქონე შეჯიბრება, რათა ახალი, ოღონდ საერთაშორისო ტურნირის, კლუბთა მსოფლიოს ჩემპიონატის შობაში მიიღოს მონაწილეობა.

ნუ იფიქრებთ, რომ ინგლისელთათვის ასე საამაყო შეჯიბრება „იუნატედამდე“ არავის მიუტოვებია. ჯერ კიდევ 1871-72 წლების გათამაშებაში შოტლანდიურმა „ქუინზ პარკმა“ „უონდერერზთან“ ნახევარფინალის დროს დასტოვა შეჯიბრება, რადგან განმეორებითი მატჩისთვის ლონდონში გაჩერება სჭირდებოდა, საამისოდ კი გროშიც არ ებადა. მერე იყო და 1879-80 წლების სეზონში „ასტონ ვილამ“ ასოციაციის თასის მეორე ეტაპზე „ოქსფორდ იუნივერსიტისთან“ თამაშს ბირმინგემის სინიორ თასზე ასპარეზობა არჩია. ამის შემდეგ, 1886-87 წლებში „შეფილდ უენსდეის“ უბრალოდ დაავიწყდა განაცხადის შეტანა. 1923-24 წლების გათამაშებაში „ბურნიმაუთმა“ „პორტსი გაზ კომპანისთან“ შესარჩევ ეტაპზე თამაში იუკადრისა, 1945-46-ში „ჰალ სიტიმ“ ომით გაჩანაგებულ სტადიონზე სტუმართა დახვედრა ვერ შეძლო და ბოლოს, 1992-93 წლების სეზონში, „მეიდსტოუნ იუნაიტედი“ გაუქმდა და აბა, როგორღა ითამაშებდა.

მიაქციეთ ყურადღება? პირველს ფული არ ჰქონდა, მეორეს ჯერ არ ესმოდა, რომ ასოციაციის თასი რაღაც „ბირმინგემ კაპზე“ მნიშვნელოვანი იყო, მესამეს თამაში ძალიანაც უნდოდა, მაგრამ განაცხადის შეტანა დაავიწყდა. ვიღაცამ მეგაზეებთან ბურთაობა იუკადრისა, ვიღაც ომმა დააზარალა, ვიღაც კი ბუნებიდან გაქრა. ამათ ფონზე „მანჩესტერ იუნაიტედის“ უარი სულ სხვანაირად ჟღერს.

ყოჩაღო, ირონიით ეუბნებიან ინგლისელები ფეხბურთის ასოციაციის აღმასრულებელ დირექტორს დევიდ დევისს. ისინი თვლიან, რომ ეროვნული თასის საერთაშორისოზე გაცვლა დევისის დამსახურებაა. იდეა, რომ „იუნაიტედი“ ბრაზილიაში, კლუბთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩასვლით ინგლისს ნაკრებთა 2006 წლის პირველობას მოუპოვებს, ამ დირექტორის სახელთან არის დაკავშირებული.

„ერთი მატჩის აქ ჩატარება, მეორისა კი იქ შეუძლებელი იქნებოდა. ჩვენ გამოსავალი უნდა მოგვეძებნა“ — განაცხადა დევისმა — „მანჩესტერელთა მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატზე გამოსვლა საოცრად შეგვიწყობს 2006 წლის პროექტის განხორციელებაში ხელს, ხოლო რას ნიშნავს ნაკრებთა პირველობა და მითუმეტეს მისი მასპინძლობა, ახსნა არ სჭირდება: 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი ჩვენ თუ არ მოვიხელთეთ, მას გერმანია წაიღებს, მაშინ, როდესაც „იუნაიტედი“ ბრაზილიაში წასვლით შესაძლოა ინგლისს უდიდესი საქმის სათავეებთანაც კი აყენებს“.

მერე დევისმა 1955 წლის „ჩელსი“ გაიხსენა, რომელსაც უკიჟინებდნენ, მაგ, რაღაც, ახალმოგონილ ევროპის ჩემპიონთა თასზე სათამაშოდ ნუ მიდიხარო.

„მას მერე 13 წელიწადი გავიდა და მხოლოდ 1968 წელს მოიპოვა პირველმა ინგლისურმა გუნდმა, „მანჩესტერ იუნაიტედმა“, ჩემპიონთა თასი. მაშინ კი მიხვდნენ ჩვენს ქვეყანაში, რომ საერთაშორისო შეჯიბრებები ფეხბურთის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. მეტიც, მე გაგახსენებთ ინგლისელთა სიჯიუტეს, როდესაც მსოფლიოს პირველ სამ ჩემპიონატში თამაშზე უარი განაცხადეს. ესეც კიდევ ერთი გოლი საკუთარ კარში“ — მრავალმნიშვნელოვნად დასძინა დევისმა.

საინტერესო რამ ხდება „მანჩესტერ იუნაიტედის“ ქომაგთა დამოუკიდებელი ასოციაციის პრეზიდენის, ლი ჰოდკინსის თავს. ერთი სააგენტოს ვერსიის თანახმად მისმა ნათქვამმა იქნებ ვინმე აღაშფოთა კიდეც, მაგრამ ის გულწრფელი იყო:

„ფეხბურთის ასოციაცია „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფანების, ფეხბურთელებისა და მწვრთნელების მაჯისცემას კარგად გრძნობს. მოდით, საკითხს ჯიქურ შევხედოთ, „იუნაიტედის“ ქომაგებს ინგლისის წყეული ნაკრები ჩირადაც არ უღირთ და მთელი ეს ყბედობა ეროვნულ ინტერესებზე სისულელეა“.

ცნობისათვის: მანჩესტერის გუნდს კლუბთა მსოფლიოს ჩემპიონატზე მონაწილეობით ახალი მილიონების შოვნა შეუძლია.

ახლა მოვიტანოთ ციტატები საკუთრივ კლუბის ოფიციალური განცხადებიდან და ჰოდკინსსაც ისევ მივადგებით.

ჯერ კლუბი: „გვესმის, რომ გულშემატკივართა დიდ ნაწილს გაანაწყენებს ჩვენი გადაწყვეტილება ფეხბურთის ასოციაციის თასიდან გამოკლების შესახებ. აქვე ვაცხადებთ, რომ „მანჩესტერ იუნაიტედი“ შექმნილ მდგომარეობას განიხილავს, როგორც უდიდეს პატივსა და შანსს გახდეს კლუბთა შორის მსოფლიოს პირველი ჩემპიონი“.

მერე ჰოდკინსი (ნუ გაიკვირვებთ მისი ეს ციტატა სხვა წყაროდანაა): „ის, რაც „იუნაიტედს“ შეემთხვა ტრაგედიაა. პირდაპირ ვდებ ბრალს ქვეყნის ხელისუფლებასა და ფეხბურთის ასოციაციას. ინგლისური ფეხბურთის მარგალიტის საეჭვო გეგმის გამო გაყიდვა, უბედურების ნიშანია.

კლუბი ისეთ დღეში ჩააგდეს, რომ მას ყველა შემთხვევაში დამარცხება ელის. თუ ის მსოფლიოს ჩემპიონატზე არ წავიდოდა, დაწყევლიდნენ, წავიდოდა და მაინც დაწყევლიდნენ. წასვლა ქომაგთა უძველესი ეროვნული შეჯიბრებიდან მოწყვეტას ნიშნავდა, არწასვლა — სამშობლოსგან განზე გადგომას. ფანები, რომლებიც ბრაზილიაში ვერ წავლენ, განრისხებულნი არიან, რადგან ასოციაციის თასი მათთვის პრემიერლიგისგან დასვენება იყო. ვწუხვარ, რომ გუნდს, რომელიც ჯილდოს ახალ გათამაშებაში დაეუფლება ის არ შეერგება. აბა, როგორ უნდა შეერგოს, როდესაც შეჯიბრებაში ევროპის საუკეთესო გუნდი არ ითამაშებს. ჩემთვის ყველაფერი მარტივია, „იუნაიტედი“ ბრაზილიაში არ უნდა წავიდეს, სახალხო მთავრობამ კი სახალხო თამაშს უნდა უპატრონოს“.

გაიგეთ, რამე? მგონი, თავად ჰოდკინსმაც ვერაფერი გაიგო.

„იუნაიტედის“ თავმჯდომარემ, მარტინ ედვარდსმა კი განაცხადა ბრაზილიაში გაშვებით ის 9-10 მილიონი დოლარი გვაკლდება, ფეხბურთის ასოციაციის თასის მოგების შემთხვევაში რომ შეგვიქუჩდებოდა, მაგრამ ამის გამო ასოციაციას კომპენსაციას არ ვთხოვთ და საერთოდ, ფინანსურ საკითხებზე არ გვისაუბრიაო.

იქნებ, მართლაც არ უსაუბრიათ, მაგრამ უეჭველად უფიქრიათ და ისიც საეჭვოა, წამგებიან ვარიანტს დაჰაბულდებოდნენ.

მიხეილ სურგულაძე

ბებრის წუწუნი

ის ვინც გაისად დაიბადება, 2030 წელს სტადიონზე მივა, ტრიბუნაზე სავარძელში მოკალათდება, თეთრ-წითელ-ყვითელ პარკს გახსნის, თითებით სასუსნავს ამოაძრობს და მოედანს ჩახედავს. როგორც ჩვეულებრივი გულშემატკივარი ის, ბუნებრივია კმაყოფილი ვერ იქნება იმით, რომ მისი საყვარელი გუნდის ფეხბურთელებს იმდენი გოლი ვერ გააქვთ მას რომ სურს, ხოლო მწვრთნელმა დროულად ვერ მოიsაზრა წუთშესვენების აღება ან მცველთა ოთხეულის შეცვლა. მას ისიც არ ესიამოვნება, რომ აგერ უკვე 42-ე წუთია, ანგარიში კი 15:15-ია და არა 18:15 მისი ბიჭების სასარგებლოდ. არ ესიამოვნება, რადგან მისი სავარძლის წინ, ტელევიზორში პასადენადან კონკურენტის თამაშის პირდაპირ რეპორტაჟს გადასცემენ და იქ 21:13-ია, კონკურენტი იგებს...

ღმერთმა დამიფაროს თავი აიზიკ აზიმოვად წარმოვიდგინო და ისე გავკადნიერდე, მისი დარი ფანტასტიკური მოთხრობების წერის პრეტენზია გამიჩნდეს. არც იმის მტკიცება მსურს, რომ ის, რაც პირველ აბზაცში წერია აუცილებლად ახდება, მაგრამ 90-იანი წლების ბოლოს, მსოფლიოს ფეხბურთი რაღაც ახალს რომ უყრის საფუძველს, ალბათ თვალსაჩინოა.

სწორად გამიგეთ, იმას, რაც შეიძლება მოხდეს, არ ვიწუნებ, მაგრამ უფლებას ვიტოვებ ჩემი თაობის ადამიანად დავრჩე და პროგრესს ძალიან შორს აღარ გავყვე, ეს საქმე ახალი თაობის გულშემატკივრებს გადავაბარო. თუმცა, შეიძლება გავყვე კიდეც. ვნახოთ...

ამ წერილის დასაწერად კალამი ხელში „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თასის გაყრის ამბავმა აამღებინა. ძალიან კი მეზარებოდა, ან კი რა საჭიროა მეთქი, ვფიქრობდი, მაგრამ მერე გამახსენდა, რომ ფიფა კლუბთა მსოფლიოს ჩემპიონატს შემოიღებს, ნაკრებთა პირველობას ორ წელიწადში ერთხელ ჩაატარებს, მთელ დედამიწაზე ყველა ქვეყნის კალენდარს მაასტრიხტულად შეაჯერებს, უმდიდრესი კლუბები რაღაც ზელიგასაც შექმნიან, ინტერნეტით ყველას შეეძლება მსოფლიოს ნებისმიერი კუთხიდან სასურველი თამაშის პირდაპირი ტრანსლაცია გამოიწეროს და... კალამიც ძალიან მაცდურად ეგდო მაგიდაზე.

კიდევ, გამახსენდა ვიდეომსაჯი, ტრიბუნებზე დამონტაჟებული ინდივიდუალური სკამები, მსჯელობა ორ არბიტრზე, აუტის ფეხით ჩაწოდებასა და წუთშესვენებებზე, რომელიც ტელეარხებს სარეკლამო პაუზებისთვის სჭირდებათ. ფიქრმა ფიქრი გამოიწვია. ამერიკელებს, თურმე, ფეხბურთი იმიტომ არ ეპიტნავებათ, რომ მთელი 90 წუთის განმავლობაში დიდი დიდი, სამ გოლს ელოდები. მოსაწყენი ყოფილა. აი, 88:87 სხვაა. ვიღაც ცნობილ ევროპელ ფეხბურთელს უთქვამს კიდეც, მაკრატელა და ჩვეულებრივი გოლი ერთნაირად რატომ უნდა შევაფასოთ, მაკრატელა ორად ჩაითვალოსო.

ზემოთ ტელერეკლამა ვახსენე. ისაა, ფეხბურთელებს მილიონებს რომ აჭმევს და ვინც გაჭმევს რაღაც-რაღაცეებს სწორედ ის გიკვეთავს. მე კი ტელერეკლამაზე ეკონომისტი მეგობრის მონაყოლი გამახსენდა: გერმანიაში ვიღაცას თავში აზრად იმის შემოწმება მოსვლია, რამდენად ეფექტურად მოქმედებს რეკლამა ანუ, კიდევ უფრო მეტ ეფექტს როგორ მიაღწიონ. როგორ უნდა შეემოწმებინა? ადგა და საღამოს კინოს დროს, იმ წუთებში, ფილმი რომ წყდება და ვიღაც კოხტაფეხება ქალი (მგონი სახეს არც აჩვენებენ მნიშვნელობა არ აქვს და იმიტომ) „მაგი-მაგის“ გაიძახის, კანალიზაციის სისტემის დატვირთვას დააკვირდა და აღმოაჩინა, რომ იგი ორმაგ-სამმაგ-ოთხმაგად იზრდება.

აი, რა არის მთავარი!

ბრაზილიელმა ტელედიდოსტატებმა ეს ძალიან კარგად იციან, მითუმეტეს, როდესაც ფეხბურთზეა საუბარი და ასეთი რამ მოუფიქრებიათ — კომენტატორს, ვთქვათ „კოლგეიტის“ რეკლამას შეაწერენ და ისიც, სადღაც 37-ე წუთზე, სახიფათო მომენტის დროს, ამბობს: ბალალომ გადააწოდა სამპაიოს, ის შედის მეკარესთან პირისპირ და... აი, დღეს დილით სამპაიოს კბილები „კოლგეიტით“ რომ გამოეხეხა, ასეთ შესაძლებლობას ხელიდან არ გაუშვებდა.

კარგია ეს, ძალიან კარგი, ჭკვიანური და ლოგიკური. დრომ მოიტანა, ისევე, როგორც მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის შემდეგ წელიწადს სანაკრებო ჩემპიონატის მოწყობა, მერე ისევ საკლუბო და ასე შემდეგ. დრომ მოიტანა სუპერლიგის იდეაცა და სხვა ბევრი რამ. ყველაფერს ამას ახალი თაობის გულშემატკივარი აულებს ალღოს. იქნებ მეც ავუღო, მაგრამ გულში მაინც იმ დროს მივანიჭებ უპირატესობას, ჩემპიონთა თასზე მარტო ჩემპიონები რომ გამოდიოდნენ და პლეი-ოფის სისტემით გადიოდნენ ბოლოში. იქვე იყო უეფას თასი და თასების თასი, ხოლო „არსენალში“ ძირითადად ბრიტანელები თამაშობდნენ, „ინტერში“ კი იტალიელები.

მე, ანგარიშს 87:86-მდე ვერ დავითვლი. დავბერდი უკვე და იმიტომ.

ბაჩუნა ძიძია

დიდი ჩვიდმეტი

FIFA
For the Good of the Game

კანონი 12

უხეშობა და არასწორი ქმედება

უხეშობანი და არასწორი ქმედებანი სხვადასხვა ტიპის საჯარიმო დარტყმებით ისჯება. განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე.

პირდაპირი თავისუფალი დარტყმა

აქ, უპირველეს ყოვლისა, ყურადღება უნდა გავამახვილოთ ინგლისურ და რუსულიდან პირდაპირ თარგმნილ ქართულ ტერმინებს შორის განსხვავებაზე. ის, რასაც ფეხბურთის და მისი წესების გამომგონებლები, ინგლისელები, პირდაპირ თავისუფალ დარტყმას უწოდებენ, ქართულად საჯარიმო დარტყმა ანუ უფრო მოკლედ, ჯარიმაა, ხოლო ის, რასაც ინგლისურად არაპირდაპირი თავისუფალი დარტყმა ჰქვია, ჩვენში თავისუფალ დარტყმადაა ცნობილი. ამრიგად, დედნის თანახმად, როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი დარტყმა, თავისუფალი დარტყმაა და სწორიცაა, რამეთუ როგორც ერთ, ასევე მეორე შემთხვევაში დამრტყმელს ხელი არავინ უნდა შეუშალოს — ის თავისუფალია. რაც შეეხება რუსულ-ქართულ ვარიანტს, ის ულოგიკობად გვეჩვენება, ვინაიდან ორივე ტიპის დარტყმა საჯარიმოა ანუ წესის დამრღვევი დაჯარიმდა, ოღონდ დანაშაულის ტიპიდან გამომდინარე, პირდაპირი ან არაპირდაპირი დარტყმით. ასე რომ, ვიმეორებთ, მათი საჯარიმო და თავისუფალ დარტყმად (გეგონება, იქ ჯარიმა არაფერ შუაში იყოს) დაყოფა ლოგიკას მოკლებულია.

თუმცა, არსებობს ერთი გარემოება — ჩვეულება — მასთან ბრძოლას აქვს თუ არა აზრი, ჩვენი წერილის საგანი არ გახლავთ. ამიტომაც, ქვემოთ თუ ინგლისურ ტერმინთან ერთად აქაურიც შეგხვდებათ, კომპრომისულ ვაარიანტად ჩაგვითვალეთ. ამჯერად, სჯობს, თავად წესების რაობაზე შევაჩეროთ ყურადღება.

ამრიგად, პირდაპირ თავისუფალ დარტყმაზე ანუ ჯარიმაზე გავაგრძელოთ საუბარი. იგი იმ შემთხვევაში ინიშნება თუ დამნაშავე მოთამაშემ (მეტოქეს):

ა) ფეხი მიარტყა ან სცადა მიერტყა;
ბ) სარმა გამოსდო ან სცადა, სარმა გამოედო;
გ) შეახტა მას;
დ) რამენაირად თავს დაესხა;
ე) ხელი გაარტყა ან სცადა, ხელი გაერტყა;
ვ) ხელი ჰკრა;
ზ) თუ ბურთის მიწვდომის სურვილით, ბურთამდე მეტოქეს შეეხო;
თ) ჩაებღაუჭა მეტოქეს;
ი) გადააფურთხა;
კ) განზრახ ხელი გაჰკრა ბურთს (ერთადერთი გამონაკლისი გახლავთ საკუთარ საჯარიმოში მოქმედი მეკარე).

საჯარიმო დარტყმა წესის დარღვევის ადგილიდან სრულდება.

პენალტი

პენალტის დანიშვნის მიზეზი გახლავთ ზემოჩამოთვლილი ათი დანაშაული, ოღონდ საჯარიმო მოედანში ჩადენილი. ამ შემთხვევაში ბურთის ადგილსამყოფელს (მთავარია, იმ მომენტში თამაში შეწყვეტილი არ იყოს) მნიშვნელობა არ აქვს.

არაპირდაპირი თავისუფალი დარტყმა

ასეთი დარტყმა ინიშნება იმ შემთხვევაში, თუ:

ა) წესის დამრღვევი სახიფათოდ თამაშობს;
ბ) მეტოქის წინსვლას ეღობება;
გ) მეკარეს ბურთისთვის ხელის გაშვებაში ხელს უშლის.

გარდა ჩამოთვლილი სამი შემთხვევისა, არაპირდაპირი საჯარიმო დარტყმა ინიშნება, თუ საკუთარ საჯარიმოში მდგომი მეკარე:

ა) ბურთის ხელიდან გაშვების წინ ოთხ ნაბიჯზე მეტს დგამს;
ბ) ხელიდან ერთხელ გაშვებულ ბურთს ხელახლა იჭერს ხელში (ისე, რომ ბურთს სხვა არავინ შეხებია);
გ) ხელში იჭერს ბურთს, რომელიც თანაგუნდელმა განზრახ მიაწოდა;
დ) ხელში იჭერს თანაგუნდელის მიერ აუტიდან ჩაწოდებულ ბურთს;
ე) დრო გაჰყავს.

თავისუფალი დარტყმა წესის დარღვევის ადგილიდან სრულდება.

სასჯელი

ფეხბურთელს გააფრთხილებენ, თუ:

ა) არასპორტულად მოიქცა;
ბ) სიტყვით ან საქციელით უპატივცემულობა გამოხატა;
გ) ჯიუტად არღვევს ფეხბურთის წესებს;
დ) ბურთის თამაშში შეყვანას აყოვნებს;
ე) თავისუფალი დარტყმის ან კუთხურის დროს მოთხოვნილ დისტანციას არ იცავს;
ვ) მსაჯის ნებართვის გარეშე შედის მოედანზე;
ზ) მსაჯის ნებართვის გარეშე განზრახ გადის მოედნიდან.

მსაჯი არაპირდაპირ თავისუფალს აღნიშნავს

ფეხბურთელს აძევებენ, თუ:

ა) სერიოზულად უხეშობს;
ბ) ძალმომრეობს;
გ) შეაფურთხა მეტოქეს ან ნებისმიერ სხვა ადამიანს;
დ) მეტოქეს აშკარა საგოლე მომენტს ბურთის განზრახ, ხელით გამოგდებით უშლის (ეს წესი არ ეხება მეკარეს საკუთარ საჯარიმოში);
ე) მეტოქეს აშკარა საგოლე მომენტს უშლის ერთ-ერთი იმ მეთოდით, რომელიც თავისუფალი დარტყმის ან პენალტის ქვეთავებშია ჩამოთვლილი;
ვ) სიტყვიერად შეურაცხყოფს ვინმეს;
ზ) ერთსა და იმავე მატჩში მეორე გაფრთხილებას იმსახურებს.

ფეხბურთის საერთაშორისო ასოციაციის საგანგებო კომიტეტის გადაწყვეტილებანი:

1. პენალტი დაინიშნება, თუ საკუთარ საჯარიმოში მყოფი მეკარე განზრახ მეტოქეს არტყამს ბურთს (ან ცდილობს, მოარტყას). ამ დროს ბურთი უკვე თამაშში უნდა იყოს შეტანილი.
2. თუ მოთამაშე სჩადის დანაშაულს, რომელიც წესის თანახმად ყვითელი ან წითელი ბარათით ისჯება — სულერთია, ის მოედანზეა, თუ მის გარეთ და ვის წინააღმდეგ (თაგანუგდელის, მეტოქის, მსაჯის, თანამსაჯის...) სჩადის მას გააფრთხილებენ ან გააძევებენ.
3. მეკარეს ბურთის კონტროლად მასთან ხელის ნებისმიერი ნაწილით შეხება ეთვლება. ამაში შედის დარტყმული ბურთის მოგერიებაც, მაგრამ არ შედის ეპიზოდი, როდესაც მსაჯის აზრით, ბურთი გოლკიპერს შემთხვევით მოხვდა, მაგალითად მისი მოგერიების შემდეგ.
4. მოთამაშეს უფლება აქვს, თავის მეკარეს თავით, მკერდით ან მუხლით მიაწოდოს ბურთი. მაგრამ თუ მსაჯის აზრით, ეს განზრახ იყო ჩადენილი, მოთამაშე დამნაშავედ ჩაითვლება, მას გააფრთხილებენ და დანიშნავენ არაპირდაპირ თავისუფალ დარტყმას იმ ადგილიდან, სადაც წესი დაარღვიეს.

როდესაც წესი თავისუფალი დარტყმის დროს ირღვევა, ანუ მოთამაშე განზრახ აშავებს, მას გააფრთხილებენ, თავისუფალს კი გაიმეორებენ.

ასეთ დროს მნიშვნელობა არ აქვს, შეეხო თუ არა მეკარე ბურთს ხელით. მოთამაშემ, რომელმაც ბურთი მას განზრახ გადაუგდო, მე-12 კანონს არღვევს.

კანონი 13

თავისუფალი დარტყმები

თავისუფალი დარტყმების ტიპებია პირდაპირი და არაპირდაპირი. ორივე შემთხვევაში ბურთი წესის დარღვევის ადგილას უმრავად უნდა იდოს და დამრტყმელი მას ზედიზედ ორჯერ არ უნდა შეეხოს.

პირდაპირი თავისუფალი დარტყმა

ა) თუ პირდაპირი დარტყმის მერე ბურთი კარში გავა, გოლი ჩაითვლება;
ბ) თუ პირდაპირი დარტყმის მერე ბურთი მოთამაშემ თავის კარში გაიტანა, დაინიშნება კუთხური, რომელსაც მეტოქე ჩაანდგდის.

არაპირდაპირი თავისუფალი დარტყმა

ასეთ დარტყმას მსაჯი ხელის აღმართვით აღნიშნავს და ხელს ასე სტოვებს, სანამ დარტყმა არ შესრულდება და ბურთი სხვა მოთამაშეს არ შეეხება ან მოედნიდან არ გადავარდება.

თუ კარში შესვლამდე ბურთი სხვა მოთამაშეს შეეხება, გოლი ჩაითვლება.

ა) თუ არაპირდაპირ თავისუფალ დარტყმას პირდაპირ კარში დაარტყამენ, დაინიშნება დარტყმა კარიდან;
ბ) თუ არაპირდაპირი თავისუფალი დარტყმით ფეხბურთელმა ბურთი პირდაპირ თავის კარში გაიტანა, დაინიშნება კუთხური, რომელსაც მეტოქე ჩააწოდებს.

თავისუფალი დარტყმის ადგილი

თუ წესი საჯარიმო მოედანში დაირღვა და პირდაპირ ან არაპირდაპირ დარტყმას დამცველი გუნდი ასრულებს:

ა) სანამ ბურთი გათამაშდება, ყველა მეტოქე საჯარიმოს გარეთ უნდა დარჩეს;
ბ) ბურთი თამაშში შესულად ჩაითვლება, როდესაც ის საჯარიმო მოედნის ხაზს გადაკვეთს;
გ) თავისუფალი დარტყმა, რომელიც მეკარის ბაქანში დაინიშნება, ბაქნის ნებისმიერი ადგილიდან შეიძლება შესრულდეს.

თუ დარტყმას შემტევი გუნდი ასრულებს, ყველა მეტოქე ბურთს სულ მცირე 9,15 მეტრით უნდა გაეცალოს, სანამ ის თამაშში შევა:

ა) გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ისინი ძელებს შორის საკუთარ კარის ხაზზე დგანან;
ბ) ბურთი თამაშშია, როდესაც მას დაარტყამენ და მოძრაობას დაიწყებს;
გ) მეკარის ბაქანზე დაინიშნული არაპირდაპირი თავისუფალი დარტყმა შესრულდება კარის ხაზის პარალელური ბაქნის საზღვრის ხაზიდან;
დ) ხაზზე ადგილი შეირჩევა დანაშაულის ადგილთან სიახლოვის მიხედვით.

თუ წესი საჯარიმო მოედანს გარეთ დაირღვა, ყველა მეტოქე ბურთს სულ მცირე 9,15 მეტრით უნდა გაეცალოს, სანამ ის თამაშში შევა.

ა) ბურთი თამაშშია, როდესაც მას დაარტყამენ და იგი მოძრაობას დაიწყებს;
ბ) თავისუფალი დარტყმა წესის დარღვევის ადგილიდან უნდა შესრულდეს.

წესის დარღვევა და სანქციები

თუ თავისუფალი დარტყმის (სულერთია, პირდაპირი თუ არაპირდაპირი) დროს მეტოქე ბურთს 9,15 მეტრით არ იყო დაცილებული, დარტყმას გაიმეორებენ.

თუ თავისუფალ დარტყმას დამცველი გუნდი საკუთარი საჯარიმოდან ასრულებს მაგრამ ბურთი პირდაპირ თამაშში არ შეიტანეს, დარტყმას გაიმეორებენ.

თუ თამაშში შეყვანის შემდეგ, დამრტყმელი ბურთს ზედიზედ მეორედაც შეეხება, არაპირდაპირი თავისუფალი დარტყმა მისი კარის მიმართულებით დაინიშნება იმ ადგილიდან, სადაც წესი დაირღვა. აქ არ იგულისხმება შემთხვევა, როდესაც ბურთს ხელით შეეხო ბურთს.

თუ თამაშში შეყვანის შემდეგ, დამრტყმელი ბურთს განზრახ შეახებს ხელს, სანამ მას სხვა ფეხბურთელი შეეხებოდა, მის საწინააღმდეგოდ დაინიშნება პირდაპირი თავისუფალი დარტყმა. იგი შესრულდება წესის დარღვევის ადგილიდან.

თუ ეს წესი საჯარიმოში დაირღვევა, დაინიშნება პენალტი.

თუ თამაშში შეყვანის შემდეგ მეკარე ბურთს ზედიზედ მეორედ შეეხება, მეტოქე, დარღვევის ადგილიდან, შეასრულებს არაპირდაპირ თავისუფალ დარტყმას.

აქ არ იგულისხმება ის შემთხვევა, როდესაც მეკარე ზედიზედ ბურთს ხელით შეეხება. ასეთ დროს:

ა) თუ ხელშეხება საჯარიმოს გარეთ მოხდა, წესის დარღვევის ადგილიდან მეტოქე პირდაპირ თავისუფალ დარტყმას შეასრულებს;
ბ) თუ ხელშეხება საჯარიმოს შიგნით მოხდა, წესის დარღვევის ადგილიდან მეტოქე არაპირდაპირ საჯარიმო დარტყმას შეასრულებს.

პაპუნა კედია
გაგრძელება იქნება

ამ დარღვევისთვის ინიშნება პირდაპირი თაუვისუფალი დარტყმა

ამ დარღვევისთვის ინიშნება არაპირდაპირი თავისუფალი დარტყმა

სარბიელი

სპორტული ლატარია "CROCO"

ინტერტოტო. მეორე ეტაპი. I მატჩები

3.07	პერუჯა (იტალია) — პობედა (მაკედონია)	(1,05-7,5)	1,15	5,6	10,0
	ცემენტარნიცა (მაკედონია) — როსტსელმაში (რუსეთი)	(7,5-1,05)	3,6	2,9	1,9
	ბრანი (ნორვეგია) — ვარტექსი (ხორვატია)	(1,7-1,7)	1,9	2,9	3,6
	ლოკერენი (ბელგია) — აკრანესი (ისლანდია)	(1,1-5,0)	1,3	4,0	7,5
	ჟილინა (სლოვაკეთი) — მეცი (საფრანგეთი)	(7,5-1,05)	4,4	3,1	1,7
	ვენტსპილსი (ლატვია) — ქოჯაელი (თურქეთი)	(7,5-1,05)	4,0	3,0	1,8
	ყარაბაღი (აზერბაიჯანი) — მონპელიე (საფრანგეთი)	(10,0-1,02)	7,0	3,8	1,35
	არარატი (სომხეთი) — სტ. ტრუიდენი (ბელგია)	(7,5-1,05)	4,0	3,0	1,8
	ქსამაქსი (შვეიცარია) — ვაშაში (უნგრეთი)	(1,5-2,0)	1,6	3,2	5,0
4.07	დუისბურგი (გერმანია) — ნიური (ჩრდ. ირლანდია)	(1,05-7,5)	1,15	5,6	10,0
	ბაზელი (შვეიცარია) — ბობი (ჩეხეთი)	(1,7-1,7)	1,7	3,0	4,7
	რუდარი (სლოვენია) — ლუსტენაუ (ავსტრია)	(1,8-1,6)	2,0	2,9	3,4
	კოპენჰაგენი (დანია) — პოლონია (პოლონეთი)	(1,7-1,7)	1,8	3,0	4,0
	ჰამარბი (შვედეთი) — გომელი (ბელარუსი)	(1,2-3,5)	1,4	3,5	7,0
	იოკერიტი (ფინეთი) — ფლორიანა (მალტა)	(1,2-3,5)	1,35	3,8	7,0
	ჩაჰლაული (რუმინეთი) — იედინსტვო (ბოსნია)	(1,4-2,3)	1,5	3,4	5,6

რუსეთის ჩემპიონატი. XIV ტური

3.07	შინიკი — ალანია	2,6	2,9	2,4
	ზენიტი — კრილია	1,35	3,8	7,0
	სპარტაკი — დინამო	1,6	3,2	5,0
	ცსკა — ლოკომოტივი	2,4	2,9	2,6
	როტორი — ჟემჩუჟინა	1,25	4,4	8,0
	ტორპედო — ნ. ნოვგოროდი	1,4	3,5	7,0
	ჩერნომორეცი — ურალანი	1,9	2,9	3,6

შვედეთის ჩემპიონატი. XIII ტური

4.07	კალმარი — გიოტებორგი	1,7	3,1	4,4
5.07	დიურგარდენი — იორებრო	2,3	2,9	2,8
	ფრიოლუნდა — აიკ	2,5	2,9	2,5

ნორვეგიის ჩემპიონატი. XIV ტური

3.07	ტრომსო — მოლდე	2,6	2,9	2,4
4.07	ბოდო გლიმტი — ვალერენგა	2,0	2,9	3,4
	კონგსვინგერი — სტრომსგოდსეტი	1,9	2,9	3,6
	მოსი — რუსენბორგი	5,6	3,4	1,5
	ოდ გრენლანდი — ვიკინგი	1,9	2,9	3,6
	სკეიდი — სტაბეკი	3,0	2,9	2,2

კოპა ამერიკა. II ტური

2.07	პარაგვაი — იაპონია	1,3	4,0	7,5
	პერუ — ბოლივია	2,7	2,8	2,4
3.07	ბრაზილია — მექსიკა	1,5	3,4	5,6
	ჩილე — ვენესუელა	1,15	5,6	10,0
4.07	ურუგვაი — ეკვადორი	1,4	3,5	7,0
	არგენტინა — კოლუმბია	1,6	3,2	5,0

ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატი ნახევარფინალი — 4.07
კალათბურთი. ევროპის ჩემპიონტი. ნახევარფინალი — 2.07

კოეფიციენტებს ადილზე გაეცნობით

ქვეყნის ჩემპიონატები

გერმანია	
ბაიერნი	1,3
დორტმუნდი	4,0
ლევერკუზენი	5,0
კაიზერსლაუტერნი	6,0
ჰერტა	8,0
ინგლისი	
მანჩესტერი	1,4
არსენალი	3,5
ჩელსი	4,0
ლივერპული	6,0
ლიდსი	8,0
საფრანგეთი	
მარსელი	2,0
ბორდო	3,0
მონაკო	3,0
პსჟ	4,0
ლიონი	6,0
ნანტი	8,0
ლანსი	8,0
იტალია	
მილანი	2,5
ინტერი	2,5
იუვენტუსი	3,0
ლაციო	3,0
პარმა	5,0
ფიორენტინა	7,0
რომა	8,0
ესპანეთი	
ბარსელონა	1,6
რეალი	2,3
ვალენსია	5,0
ატლეტიკო	7,0
დეპორტივო	8,0
სელტა	8,0
ბილბაო	8,0
მალიორკა	8,0
სოსიედადი	8,0
პორტუგალია	
პორტუ	1,7
ბენფიკა	2,5
სპორტინგი	4,0
ბოავიშტა	8,0
ჰოლანდია	
აიაქსი	2,0
ფეიენოორდი	2,5
ეინდჰოვენი	2,5
ბელგია	
ბრიუგე	2,2
ანდერლეხტი	2,2
გენკი	3,0
სტანდარდი	8,0
საბერძნეთი	
ოლიმპიაკოსი	2,0
პანათინაიკოსი	3,0
აეკ	3,0
პაოკ	8,0
ჩეხეთი	
სპარტა	1,6
სლავია	2,3
სიგმა	8,0
ტეპლიტე	8,0
ბანიკი	8,0
პოლონეთი	
ვისლა	1,5
ლეგია	2,5
ვიძევი	4,0
ლეხი	8,0
პოლონია	8,0
უკრაინა	
დინამო კიევი	1,1
შახტიორი	6,0
კარპატი	8,0
ტავრია	8,0
თურქეთი	
გალათასარაი	1,4
ფერენბაჰჩე	3,0
ბეშიქთაში	5,0
ტრაბზონი	7,0
შოტლანდია	
რეინჯერსი	1,6
სელტიკი	2,3
ავსტრია	
რაპიდი	1,8
შტურმი	2,0
ზალცბურგი	4,0
აუსტრია	5,0
გრაცერი	8,0
შვეიცარია	
გრასჰოპერი	1,8
სერვეტი	3,0
ციურიხი	4,0
ლოზანა	5,0
დანია	
ბრონდბიუ	2,0
კოპენჰაგენი	3,0
ოლბორგი	3,0
სილკებორგი	5,0
აკდემიკსი	5,0

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეალი გუნდი გაიმარჯვებს

მანჩესტერი	2,5
მილანი	2,5
ბარსელონა	2,5
ლაციო	4,0
ფიორენტინა	5,0
პარმა	5,0
ბაიერნი	5,0
რეალი	6,0
არსენალი	7,0
ჩელსი	7,0
დორტმუნდი	10,0
ლევერკუზენი	10,0
მარსელი	10,0
ბორდო	10,0
ვალენსია	10,0
მალიორკა	15,0
ჰერტა	15,0
ლიონი	15,0
ფეიენოორდი	15,0
ეინდჰოვენი	15,0
პორტუ	15,0
დინამო (კიევი)	15,0
სპარტაკი	25,0
რუსენბორგი	25,0
კროაცია	25,0
პარტიზანი	25,0
გენკი	25,0
ოლიმპიაკოსი	50,0
აეკ	50,0
გალათასარაი	50,0
ბოავიშტა	50,0
ცსკა (მოსკოვი)	50,0
ბეშიქთაში	50,0
რეინჯერსი	50,0

ნებისმიერი სხვა გუნდი (თითოეული) 100,0

ჩემპიონთა თასი

CHAMPIONS LEAGUE

რეალი ქვეყნის ნარჩენადგენელი გაიმარჯვებს

იტალია	2,0
ესპანეთი	2,4
ინგლისი	2,4
გერმანია	3,0
საფრანგეთი	5,0
ჰოლანდია	8,0
პორტუგალია	15,0
უკრაინა	15,0
ნორვეგია	25,0
რუსეთი	25,0
ხორვატია	25,0
ბელგია	25,0
იუგოსლავია	25,0
საბერძნეთი	50,0
თურქეთი	50,0
შოტლანდია	50,0

ნებისმიერი სხვა ქვეყანა (თითოეული) 100,0

უეფას თასი

UEFA CUP

რეალი ქვეყნის ნარჩენადგენელი გაიმარჯვებს

იტალია	2,5
ესპანეთი	3,0
ინგლისი	3,0
გერმანია	5,0
საფრანგეთი	8,0
ჰოლანდია	8,0
პორტუგალია	12,0
ბელგია	15,0
რუსეთი	25,0
ხორვატია	30,0
იუგოსლავია	30,0
ჩეხეთი	50,0
ნორვეგია	50,0
თურქეთი	50,0
შვეიცარია	50,0
შოტლანდია	50,0

ნებისმიერი სხვა ქვეყანა (თითოეული) 100,0

რეალი გუნდი გაიმარჯვებს

იუვენტუსი	3,0
რომა	5,0
ლიდსი	7,0
ტოტენჰემი	7,0
ბოლონია	7,0
უდინეზე	7,0
აიაქსი	7,0
კაიზერსლაუტერნი	7,0
დეპორტივო	10,0
სელტა	10,0
ატლეტიკო	10,0
ნიუკასლი	10,0
ვერდერი	15,0
ვოლფსბურგი	15,0
ჰამბურგი	15,0
დუისბურგი	15,0
ვესტ ჰემი	15,0
მონაკო	15,0
ნანტი	15,0
ლანსი	15,0
რენი	25,0
მონპელიე	25,0
ბენფიკა	25,0
სპორტინგი	25,0
ვიტესი	25,0
ლოკომოტივი (მ)	25,0
ჰაიდუკი	25,0
ცრვენა ზვეზდა	25,0
ბრიუგე	25,0
ანდერლეხტი	25,0
სელტიკი	25,0
გიოტებორგი	25,0
პაოკ	50,0
პანათინაიკოსი	50,0
როდა	50,0
სლავია	50,0
ზენიტი	50,0
ფენერბაჰჩე	50,0
გრასჰოპერი	50,0
ჭიერსი	50,0
ლოკერენი	50,0
სტ. ტრუიდენი	50,0
სტიაუა	50,0
დინამო (გუძარესტი)	50,0

ნებისმიერი სხვა გუნდი (თითოეული) 100,0

გადამრავლება შეიძლება მხოლოდ ქვეყნის ქვეყანაზე ან გუნდის გუნდზე. ქვეყნის და გუნდის გადამრავლება არ შეიძლება.
უეფას თასზე იმ გუნდებზე, რომლებიც სიაში არ არის შეტანილი, ფსონები არ მიიღება.

კროკოს გიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი აღმაშენებლის გამზირზე; გლდანი, I სავაჭრო ცენტრი.
ქუთაისში — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში.
ბათუმში — აჰმედ მელაშვილის ქუჩა 23. (ყოფილი კამოს ქუჩა)
რუსთავში — მაჩაბლის ქუჩა 3. პირიმზე, მეორე სართული.
გორში — სტალინის ქუჩა. ჭადრაკის კლუბი.

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათისა და ხუთშაბათის გარდა 13-დან 16 საათამდე

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

ვისი გოგო ხარ, გენაცვალე, დოქტორ ჯეისი?

უიმბლდონის მულატი მეოთხედფინალისტი ნათესაობას გვეფიცება, მამის ვინაობას კი არ ამხელს

REUTERS უიმბლდონიდან

იანა ნოვოტნა



ალექსანდრა სტივენსონი

ნუთუ ზანგები ვართ?

18 წლის სანდიეგოელი ალექსანდრა სტივენსონის უიმბლდონური დებიუტი არაჩვეულებრივად წარმატებული გამოდგა: მულატმა ჩოგბურთელმა კვალიფიკაციის გავლის შემდეგ უკვე მეოთხედფინალს უწია.

მაგრამ ყვითელი პრესის ყურადღება ამერიკელს მარტო ლამაზი თვალებისა და მძლავრი დარტყმების გამო არ დაუმსახურებია: აგერ უკვე რამდენიმე დღეა, სტივენსონის სახელი ფულად, სექსუალურ და რასობრივ სკანდალთანაა დაკავშირებული.

თითქოს ეს საკმარისი არ იყო, გუშინ ჩოგბურთელის მამის არანაკლებ საინტერესო საკითხიც დადგა დღის წესრიგში.

ფორტ ლოდერდეილის „სან-სანტინელმა“ სტივენსონის დაბადების მოწმობა გააცნო მკითხველებს, რომელშიც 1980 წლის 15 დეკემბერს დაბადებული ალექსანდრას მამად ჯულიუს უინფილდ ირვინგ II, კალათბურთის ლეგენდის, ჯულიუს „დოქტორ ჯეი“ ირვინგის საპასპორტო სახელია ჩაწერილი.

როდესაც კალათბურთის „დიდების დარბაზის“ წევრსა და ორლანდო „მეჯიქის“ ვიცე-პრეზიდენტს ჰკითხეს, მართლა იყო თუ არა სტივენსონის მამა, არცთუ მტკიცე უარი მიიღეს, მე მხოლოდ სამი ვაჟიშვილი და ერთი ქალიშვილი მყავსო. ირვინგი და მისი მეუღლე ტურკუაზი თურმე 1972 წლიდან ცხოვრობენ ერთად და ამ სიბერეში შარის თავი ჯეის ნამდვილად აღარა აქვს.

თავად ალექსანდრამ ბოლო პრესკონფერენციაზე მამის ვინაობის გამხელა თუ ამაზე რაიმე კომენტარის გაკეთება მტკიცედ იუარა, ჩემთვის დაბადებიდან მამაც და დედაც დედაჩემი იყო.

თუმცა ფაქტი ჯიუტია: სტივენსონის თეთრკანიანი ჟურნალისტი დედა თავის დროზე სწორედ იმ ფილადელფია 76-ის მატჩებს აშუქებდა, რომელშიც ჯულიუს ირვინგი თამაშობდა. თავად ალექსანდრას სიმაღლე კი 185 სანტიმეტრია.

სამანტა სტივენსონმა რამდენიმე დღის წინ ქალი ჩოგბურთელები ქალიშვილის მიმართ რასობრივ დისკრიმინაციასა და ლესბოსურ გამოხტომებში დაადანააშაულა, მერე კი მოყვარული ალექსანდრასთვის საპრიზოების მიუცემლობის შემთხვევაში სასამართლოში ჩივილითაც დაიმუქრა.

ინტრიგან დედას ალექსანდრა თავგამოდებით იცავს: მისი ნათქვამი გაზეთებმა კონტექსტიდან ამოიღეს და გააზვიადესო, თუმცა ერთი ინციდენტი მაინც აღიარა. თურმე შარშან ინგლისში ერთ-ერთ მეტოქეს მისთვის „ნიგა“ — ზანგი უწოდებია, რაც თავმოყვარე მუქკანიანისთვის დედის გინების ტოლფასია.

„როდესაც დაფიქრდები, რასიზმი მთელს მსოფლიოშია გავრცელებული და WTA ტური რა გამონაკლისი უნდა იყოს, ისიც ხომ მსოფლიოს ნაწილია. მე მართალც შეურაცხმყვეს, მაგრამ ამას უკვე მნიშვნელობა აღარა აქვს, ეს დიდი ხნის წინ იყო“.

ლაიზა რეიმონდთან მერვედფინალურ შეხვედრაში ალექსანდრას ბედი ბეწვზე ეკიდა: მეორე სეტის ტაი-ბრეიკზე რეიმონდის მატჩ-პოინტი ჰქონდა, რომელიც ტანმაღალმა ამერიკელმა ურთულესი შემოვლებული ფორჰენდით გადაარჩინა, მერე კი მეტოქემ ტრავმა მიიღო და მეოთხედფინალის საგზური დიდი გაწამაწიის გარეშე სტივენსონს დარჩა: 3:6, 7:6 (10:8), 6:1.

მოგვიანებით კი ალექსანდრამ ჩვენთვის ერთი მეტად საინტერესო რამ განაცხადა: „ჩემთვის, როგორც ფერადკანიანისთვის, ძალიან ბევრს ნიშნავს მეოთხედფინალში გასვლა. მე აქ აფროამერიკელებსა და კავკასიელებს წარმოვადგენ და ეს ორივე მათგანთათვის სასიამოვნო უნდა იყოს“.

საკითხავია: ალექსანდრას ან ჩვენც ზანგები ვგონივართ, ან იქნებ ბებია ან ბაბუა ჰყავს ბედკრული საქართველოდან გადაწვეული?

ძონარიხა პირველი

გუშინ უიმბლდონის განრიგში ისევ დაუპატიჟებელი სტუმარი ჩაერია — წვიმის გამო მატჩები რამდენჯერმე გადაიდო.

ჩვენი დროით ოთხ საათზე დაგეგმილი სტარტი ჯერ ერთი საათით შეფერხდა, მერე კი კიდევ ორჯერ მიაბრუნა და მოაბრუნა ჩოგბურთელები გასახდელიდან კორტზე და პირიქით.

საღამოსთვის ნახევარფინალის საგზურის დაბევება მხოლოდ მსოფლიოს მეორე ჩოგანმა ლინდსი დევენპორტმა მოასწრო, რომელმაც შარშანდელი ჩემპიონი იანა ნოვოტნა 6:3, 6:4 დაამარცხა, კარიერაში პირველად უწია საუკეთესო ოთხეულს უიმბლდონზე და თუ ერთი ნაბიჯითაც წაიწევს წინ, მარტინა ჰინგისს კლასიფიკაციაში პირველ ადგილსაც წაართმევს.

ლინდსი პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებს ბალახზე თავისი წარმატების საიდუმლო გაანდო: „კალიფორნიაში ერთ ჩემს მეზობელს ეზოში ბალახის შესანიშნავი კორტი აქვს, რომელზეც მე, რიკ ლიჩი და ჩემი მწვრთნელი დღეში ოთხ საათს მაინც ვვარჯიშობდით. მიუხედავად იმისა, რომ შესანიშნავი კორტი შარაშანაც გავაჩანაგეთ და წლეულსაც, პატრონს არც კი დაუჩივლია“.

ისე, ერთეულებში წარმატებული ასპარეზობის გარდა 23 წლის ამერიკელი წყვილებსა და შერეულ წყვილებშიც მეოთხედფინალშია გასული და თუ ასეთ ტემპში გაგრძელა, თანამემამულე ბობი რიგსის უნიკალურ შედეგსაც გაიმეორებს, რომელმაც 1939-ში სამივე ტიტულის მოგება მოახერხა.

„ჯერჯერობით აქაური ერთი ტიტულიც კი არა მაქვს, ასე რომ, სამივეს ნაცვლად, ერთი, ოღონდ ერთეულებისაც დამაკმაყოფილებდა. ტურნირის დასაწყისში მჯეროდა, რომ მოგება შემეძლო და ახლაც მჯერა“.

ავთანდილ სვანიძე

ინტერვიუ მატჩის შემდეგ

უკვე წასვლის დროა

ბოლო 15 წლის მანძილზე ბორის ბეკერი უიმბლდონის ისეთივე შემადგენელი ნაწილი იყო, როგორიც ბალახი ცენტრალურ კორტზე, სამეფო ლოჟა ან ჭირვეული ამინდი. როდესაც ნახევრად პენსიაზე გასულმა გერმანელმა წლეულს ერთხელაც მოინდომა მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟულ ტურნირზე გაჯეჯილება, მის ერთგულ ქომაგებს შიშით თვალების დახუჭვის სურვილი და ამ ერთი შეხედვით მცდარი გადაწყვეტილების გამო სინანულის გრძნობა გაუჩნდათ. მაგრამ დიდ ჩემპიონს თავი არც ამჯერად შეურცხვენია

ბორის ბეკერი

— ბორის, სამეფო ლოჟაში არც ისე ხშირად დგებიან ფეხზე იმისთვის, რომ მოთამაშეს ტაში დაუკრან. როგორი იყო ბოლო შთაბეჭდილება ცენტრალურ კორტზე?

— ლამის მეორედ დავუკარი თავი, პირველად შეცდომით ხომ არ გავაკეთე რაიმე-მეთქი. არა, ეს ლამაზი დამშვიდობება იყო.

— ეს მართლაც დამშვიდობებაა?

— ო, დიახ, ჭეშმარიტად.

— რით განსხვავდება წინისგან? (ბორისი პირველად უიმბლდონს 1997-ში გამოეთხოვა).

— მაშინ ვთქვი, 99 პროცენტითმეთქი, ახლა კი 100-ს ვამბობ.

— ეს ერთი პროცენტი რაღაა?

— წინათ თუნდაც უფრო პატარა ტურნირებში თამაშს მაინც ვაგრძელებდი თითქმის ორი წლის მანძილზე, ახლა ეს აღარ მოხდება.

— ბორის, რას ფიქრობთ, როგორი ატმოსფერო იყო დღეს კორტზე?

— კარგი იქნებოდა, ცოტა უკეთ მეთამაშა. ფიზიკურად თავს კარგად ვგრძნობდი, მაგრამ მოწოდება შინ დამრჩა, ოღონდ, ვერ ვიხსენებ სად.

— მთელი ამ წლების, გამარჯვებების, იმედგაცრუებების შემდეგ რამდენიმე სიტყვით როგორ შეაფასებდით უიმბლდონის მნიშვნელობას თქვენთვის?

— რამდენიმე სიტყვით ამის შეფასება ძნელია. ეს ადგილი ყოველთვის მიყვარდა, მან ფაქტობრივად შემქმნა მე, მაჩუქა შესაძლებლობა, აქედან მოყოლებული, პირად ცხოვრებაში ვაკეთო ის, რაც მსურს.

— რა მოგენატრებათ ყველაზე მეტად?

— ჩოგბურთელს ცენტრალურ კორტზე თამაშისას საოცარი გრძნობა ეუფლება, ამაზე უკეთესი განცდა არ არსებობს. მით უმეტეს, ფინალში და როცა უიმბლდონის მოგების შანსი გაქვს. ალბათ, ამაში ყველა ჩემი კოლეგა დამეთანხმება.

— რაზე ფიქრობდით, როდესაც ცენტრალური კორტიდან უკანასკნელად გამოდიოდით?

— უკვე წასვლის დროა-მეთქი. იცით, არაფერს ვნანობ. თავადაც მიჭირდა დაჯერება, რომ ბოლო 10 დღის მანძილზე ასე კარგად ვთამაშობდი, არ ველოდი, მერვედფინალში პატრიკ რაფტერის წინააღმდეგ რომ მომიხდებოდა ასპარეზობა. მაგრამ მან სრულიად დამჩაგრა, ერთი თავით მაღლა იდგა ჩემზე. ასე რომ, ახლა სხვა რამით უნდა დავისაქმო თავი.

— რაფტერი უფრო სტეფან ედბერგს ჰგავს თუ პატ კეშს?

— უფრო რაფტერს.

— არ წუხართ იმაზე, რომ ამიერიდან რაც არ უნდა გაკეთოთ, ის პაექრობა, ყურადღება და ვნებათა ღელვა, რაც თამაშს ახლავს, აღარ განმეორდება?

— ეს გრძნობა ჩვეულებრივ ცხოვრებაში მართალიც არ არის, მაგრამ ამ ზაფხულში მეორე ბიჭის დაბადებას ველი და ოჯახური იდილიაც არ არის ცუდი.

— ყველაზე ტკბილად რა მომენტს იხსენებთ უიმბლდონური ეპოპეიდან? პირველ გამარჯვებას?

— თავად არ ვიცი. იმდენი რამ მოხდა, იცით, თუ სწრაფად ვიფიქრებ, ჩემი გონება მატარებელივითაა და ერთი რომელიმე მოგონების გამოყოფა ძალიან მიჭირს. მაგრამ ეს არაჩვეულებრივი გზა იყო — უამრავი მატჩი მოვიგე, ფინალებში ვიყავი და, უნდა ვთქვა, რომ ყველა შეხვედრა მნიშვნელოვანი გახლდათ, თითოეულმა დიდი სიამოვნება მომანიჭა.

— ახლა მწვრთნელობას ხომ არ აპირებთ, რომ ჩოგბურთს არ ჩამოშორდეთ?

— დიახ, ჩოგბურთს ნამდვილად არ ჩამოვშორდები და, ალბათ, მწვრთნელიც გავხდები, თუმცა ერთი რომელიმე მოთამაშის აყვანას არ ვაპირებ. ეს იმას ნიშნავს, რომ კვირების მანძილზე უნდა ვიმოგზაურო, რისი სურვილიც აღარა მაქვს. მე ჩოგბურთელთა ჯგუფს დავეხმარები.

— ბორის, ახლა 17 წლის რომ იყოთ, რისი გაკეთება მოგიწევდათ განსხვავებულად, რომ ისეთივე წარმატებებისთვის მიგეღწიათ? როგორ შეიცვალა ჩოგბურთი ამ ხნის მანძილზე?

— ახლა ძალისმიერ ჩოგბურთს ბევრი თამაშობს. მე, მეტ-ნაკლებად, ამ სტილის პირველი მიმდევარი ვიყავი, წარმატებას რომ მივაღწიე. თუმც, 80-იანების საუკეთესოდ ჩოგბურთელებიც ძლიერები იყვნენ და 90-იანებისაც ასეთები არიან. ჯონი მეკი (მაკინროი) 85-ში პირველად განთესილი იყო, ჯიმი კონორსიც კარგად თამაშობდა მაშინ და სამპრასებისა და ჯონი მეკების ერთმანეთთან შედარება არ ეგების. ის განსხვავებული ერა იყო, განსხვავებული ჩოგნები და ბურთები. ახლა სპორტში ახალი ჩოგბურთელები მოდიან. ბიჭი, რომელსაც მე მესამე წრეში ვეთამაშე, ჰიუიტი, 18 წლისაა, სულ უფრო უმატებს და მასაც ჩემსავით აღრე შეუძლია წარმატებების მიღწევა.

— ბორის, რაიმეს შეცვლიდით ბოლო 15 წელიწადში?

— ყველაზე მეტად ოთხი ფინალის წაგება არ მასვენებს. ოთხი კი არა, ერთიც კი ზედმეტია. ფინალში შვიდჯერ ვიყავი და მხოლოდ სამჯერ მოვიგე, რაც შესანიშნავი შედეგი სულაც არ არის.

— ბორის, გაისად ამ დროს რას გაკეთებთ?

— არ ვიცი, არ ვიცი.

— ტურნირის სანახაღვად ჩამოხვალთ? გაუძლებთ ამას?

— ო, დიახ, შვონი, კი.

— ბრიტანეთში ფრანც ბეკენბაუერისა და თქვენს გარდა გერმანელი სპორტსმენები დიდი პოპულარობით არ სარგებლობენ. რას ფიქრობთ იმაზე, რომ ამ ქვეყანაში, სადაც გერმანელებთან მუდმივი პაექრობაა, ასე უყვარხართ?

— განსაკუთრებით ფეხბურთში ბოლო ხანებში. ჰო, სხვათა შორის, მე ბარსელონაშიც ვიყავი. ქომაგების მხარდაჭერა კი ბევრ რამეს მიიოლებს, სწორედ მათი დამსახურებაა, რომ ამდენი წაგების პირად მყოფი მატჩი გადავარჩინე და აქ ამდენჯერ გავიმარჯვე. ყველას დიდი მადლობა.

— უიმბლდონს კარგ ხელებს უტოვებთ? ხედავთ იმ ჩოგბურთელებს, რომლებიც ისევე ასიამოვნებენ მაყურებლებს, როგორც თქვენ წლების მანძილზე?

— ასეთი ჩოგბურთელები ბევრნი არიან, არა მგონია, ჩემმა წასვლამ დიდი სიცარიელე დატოვოს. მე ხომ, ფაქტობრივად, უკვე ორი წელია, წავედი, ახლა საკუთარი თავის ჩრდილილა ვარ. სცენა დიდი ხანია, დავტოვე, მაგრამ ჩოგბურთი თავს შესანიშნავად გრძნობს.

ვინა თქვა ქალთა სუსტი სქესობა

გეხსომებათ, როცა ამ გაზაფხულის მიწურულს ჯომოლუნგმაზე პირველი ქართული ექსპედიციის წევრებმა თავიანთ ასვლაზე გვიამბეს, ისიც გვითხრეს, რომ 26 მაისს მათთან ერთად მწვერვალს შერპ მთამსვლელთან ერთად მიაღწია ესპანელმა მარია ჩუს ლაგო რეიმ. თავისთავად ჯომოლუნგმაზე ქალის ასვლა კარგა ხანია საკვირველ ამბად აღარ ითვლება, მაგრამ ფრიად მნიშვნელოვანი ისაა, რომ მარიამ მწვერვალს ჟანგბადის ბალონის გამოუყენებლად მიაღწია, რაც დედამიწის უმაღლესი მწვერვალის დამლაშქრავ მამაკაცთა ნახევარზე მეტს ვერ მოუხერხებია.

მარიამ, ქართველმა მთამსვლელებმა და სხვებმაც დაშვება რომ დაიწყეს, ზემოთ ახლა სხვებიც გაუდგნენ გზას და 29 მაისს იქიდან, როგორც გაუწყეთ, ბრიტანელ იან ვუდოლთან, შერპებთან პემბა შერპასთან და ჯანგბუ შერპასთან ერთდა გადმოიხედა სამხრეთაფრიკელმა ქალმა კატერინა ო'დოუდმა.

ეს 32 წლის ქალბატონი, რომელიც ვუდოლთან და ქართველ მთამსვლელებთან ერთ პერმიტში იყო გაერთიანებული, თავის ბრიტანელ მეწყვილესთან ერთად 1996 წელსაც ავიდა ჯომოლუნგმაზე, ოღონდ სამხრეთიდან. ასე რომ, კატერინა ო'დოუდი გახდა პირველი ქალი, რომელმაც ჯომოლუნგმას კენწეროს ორთავ მხრიდან მიაღწია, ასეთი რამ კი მამაკაცთა შორისაც იშვიათობაა.

ქვემოთ ჩამოსულ მარიასაც და კატერინასაც წარმატება მიულოცა იაპონელმა იუნკო ტაბეიმ, რომელიც ჯომოლუნგმაზე ამსვლელი პირველი ქალია.

რაკი მამაკაცების გულის გამხეთქავ მთამსვლელ ქალებზე სასაუბროდ საბაბი მოგვეცა, გავიხსენოთ მშვენიერთა სქესის წარმომადგენელი პიონერი ქალები, რომლებსაც ჯომოლუნგმაზე თავი გამოუჩენიათ.

ქალები დედამიწის უმაღლესი მწვერვალის ფერდობებზე პირველად 1960 წელს გამოჩნდნენ. ისინი იყვნენ ჩინეთის ექსპედიციის წევრები, რომელთა შორის... 214 ჩინელი და ტიბეტელი კაცი და ქალი იყო. ეს იყო მესამე წარმატებული ექსპედიცია ჯომოლუნგმაზე და პირველი, რომელმაც მიზანს ჩრდილოეთიდან მიაღწია. მართალია, მწვერვალზე მხოლოდ სამი კაცი: ჩინელები ვან ფურჟოუ, ცოი ინხუ და ტიბეტელი განპო ავიდა, მაგრამ საერთო წარმატებაში ქალებმაც წვლილი შეიტანეს. თუმცა, ექსპედიციის წევრებმა მწვერვალზე ასვლის დადასტურება ვერ შესძლეს, მაგრამ ჯომოლუნგმას ქრონოლოგიაში მათ ამსვლელებად მაინც მიიხსენიებენ.

1970 წელს ჯომოლუნგმაზე იერიში მიიტანა იაპონელთა უზარმაზარმა ექსპედიციამ, რომელიც აერთიანებდა 23 მთამსვლელს, 7 მეცნიერს, 9 კინოოპერატორს, ჟურნალისტს და კიდევ 45 შერპსა და 500 მებარგულს. ამ ლაშქარში იყო ერთადერთი მთამსვლელი ქალი სეტსუკო ვატანაბე. მან 8000 მეტრამდე ააღწია, რაც მანამდე ქალთათვის მიუწვდომელი სიმაღლე იყო ჯომოლუნგმაზეც და სხვა მწვერვალზეც.

ამით შეგულიანებული იაპონელები ადგნენ და 1975 წელს, ქალთა საერთაშორისო წელს, ჯომოლუნგმას ქალთა ექსპედიციით მიადგნენ. პირველივე ცდა წარმატებით დაგვირგვინდა — მწვერვალს იუნკო ტაბეიმ მიაღწია (სამხრეთიდან).

არადა, ვინ იფიქრებდა, რომ ეს თოჯინასავით პატარა და ნაზი ქალი, ორი შვილის დედა ცის მბრძანებელს სძლევდა — 35 წლის იუნკოს სიმაღლე 152 სანტიმეტრი იყო, წონა — 48 კილოგრამი და პროფესიით მუსიკის მასწავლებელი გახლდათ.

მაგრამ ასვლამდე მრისხანე ჯომოლუნგმამ კაი გვარიანი შიში აჭამა ქალებს და მათ შერპებსაც. ერთბაშად მოვარდნილმა ზვავმა მათი მეორე ბანაკი ნახევრად წაიღო. შვიდი შერპი და ექვსი მთამსვლელი ქალი, მათ შორის ტაბეიც, დაშავდა.

ამის მერე ყველა შეფიქრიანდა — იაპონელებიცა და შერპებიც, მაგრამ სულ სხვაგვარად ფიქრობდა იუნკო ტაბეი.

„განა იმიტომ ამოვედით ამ სიმაღლეზე, რომ დამარცხებულნი დავბრუნდეთ? განა ახლა ჯომოლუნგმა უფრო ახლოს არ არის ჩვენთან, ვიდრე ჩვენი ოჯახები?“ — უთქვამს ტაბეის.

ამის მერე მწვერვალისკენ მიმავალ გზას ტაბეისთან ერთად დაადგა 32 წლის იურიკო ვატანაბე და შერპი ანგ ცერინგი. ბოლოს მათ შეუერთდა იაპონელი ფოტორეპორტიორი მაკუო ნაკამურაც.

ნაკამურა და კიდევ რამდენიმე ჟურნალისტი იყვნენ იუმიურო შამბუნის პრესის კონცერნიდან, რომელმაც ეს ექსპედიცია დააფინანსა. პრესის წარმომადგენლებს მთამსვლელებთან გაყოლის უფლება იმ პირობით მისცეს, თუ ისინი ქალებს ბარგის ზიდვაში, მარშრუტის დამუშავებაში და არც სხვა რამეში არ დაეხმარებოდნენ.

ასე იყო თუ ისე, ოთხეული გაზს გაუდგა. იურიკო ვატანაბემ სამხრეთ უნაგირამდე (8000მ) ააღწია და მერე ხელი აიღო იერიშზე. დანარჩენებმა გზა განაგრძეს. 8500 მეტრზე ამინდი გაფუჭდა და კარავი დასცეს. დილის 5 საათზე იუნკო ტაბეიმ და შერპმა ანგ ცერინგმა გადამწყვეტი იერიში დაიწყეს, ფოტორეპორტიორ მამაკაცს კი ძალა აღარ ეყო და კარავში დარჩა.

16 მაისს, 12 საათსა და 30 წუთზე მოიერიშეთა ზემოთ მხოლოდ ულურჯესი, უძირო ცა იყო.

ქალმა პირველად ასე დალაშქრა დედამიწის უმაღლესი მწვერვალი. შინ დაბრუნებულ იუნკოს ტოკიოს აეროპორტში 10 ათას უცნობთან ერთად ქმარი და 3 წლის შვილი ელოდა.

ყველაფერი კი 1970 წელს დაიწყო, როცა ტაბეიმ ჰიმალაიზე ანაპურნა III (7558მ) დალაშქრა. ტაბეისთან ერთად მწვერვალზე ფეხი შედგა მისმა თანამემამულე ქალმა სიროკო ხირაკავამაც, აგრეთვე შერპებმა თენსინგ გირმემ და პასანგ ნიმოიმ. იუნკო და სიროკო იყვნენ პირველი ქალები, რომლებმაც ანაპურნა III დალაშქრეს. ამითაც გაგულისებულმა იაპონელების აბსოლუტურად ქალთა ექსპედიციამ გადაწყვიტა ერთ-ერთი „რვაათასიანი“ მწვერვალის დალაშქვრა.

მიზნის მისაღწევად მომდევნო, 1971 წელს იაპონელმა ქალებმა კლუბი შექმნეს და გამპლებულ სამზადისსაც შეუდგნენ. ჯომოლუნგმაზე საიერიშოდ გამგზავრებამდე იუნკო ტაბეის უთქვამს, ან დავიპყრობ მსოფლიოს უმაღლეს მწვერვალს, ან მოვკვდებიო.

თუ როგორ შეასრულა პირობა, უკვე იცით. იუნკო ტაბეი ჯომოლუნგმაზე, როგორც ვთქვით, 16 მაისს ავიდა. თორმეტი დღის მერე კი დედამიწის უმაღლესი მწვერვალიდან სხვა ქალმა, 37 წლის ტიბეტელმა, სამი შვილის დედამ ტზუნგ ჩენ პხუნდოპმა გადმოიხედა. იგი ჩინეთის ექსპედიციის 8 წევრთან ერთად ავიდა და გახდა პირველი ქალი, რომელმაც ჯომოლუნგმა ჩრდილოეთიდან დალაშქრა.

ამ 400-კაციანი ექსპედიციის 40 წევრმა, მათ შორის 7 ქალმა 8200 მეტრამდე ააღწია, 8600 მეტრზე მდებარე ბოლო საიერიშო ბანაკამდე კი ავიდა 20, რომელთაგან 3 ქალი იყო, მაგრამ უამინდობის გამო მათ ასვლა შეწყვიტეს, მოიერიშე ჯგუფის მეთაური კი დაიღუპა.

მათ, ვინც მიზანს მიაღწია, მწვერვალზე ფუნდამენტურად დაარჭო 3-მეტრიანი გეოდეზიური სამფეხა, რათა შემდგომ ამომსვლელები დარწმუნებულიყვნენ ჩინელთა წარმატებაში, რაკიღა 1960 წელს მათი იქ ასვლა ბევრმა არ დაიჯერა.

იმავე 1975 წელს, ქალთა საერთაშორისო წელს, 12 აგვისტოს დედამიწის კიდევ ერთი უმაღლესი მწვერვალი, გაშერბრუმი II (8035მ) დანებდა ქალებს. ისინი იყვნენ პოლონეთის ქალთა ექსპედიციის წევრები პალინა კრიუგერ სიროკომსკაია და ანა სკოპინსკაია.

ერთი დღით ადრე ქალთა ექსპედიციის მეთაურმა ვანდა რუტკევიჩმა და ალისა კრიუგერმა მამაკაცთა ექსპედიციის წევრებთან (იანეშ ონიშკევიჩთან და კშიშტოფ ჟიტკოვეცკისთან) ერთად განახორციელეს პირველი ასვლა გაშერბრუმის მესამე პიკზე, რომელიც თითქმის რვაათასიანი მწვერვალია (7952).

ასე რომ, ვანდასა და ალისას რეკორდს ვერცერთი ქალი ვერარ გაუმჯობესებს, რადგან უფრო მაღალი, ფეხდაუდგმელი მწვერვალი აღარ არსებობს.

ამ ასვლიდან გავიდა სამი წელიწადი და ვანდა რუტკევიჩმა, რომელიც საერთაშორისო ექსპედიციის წევრთაგან ერთადერთი ქალი იყო, ჯომოლუნგმაც დალაშქრა (სამხრეთიდან) და გახდა პირველი არააზიელი ქალი, ვინც ეს შესძლო.

სწორედ იმ დღეებში თბილისში ჰიმალაიდან ჩამოვიდა პოლონელ მეცნიერთა და მთამსვლელთა ჯგუფი, რომელმაც ჩვენგან გაიგო რუტკევიჩის წარმატების ამბავი. მერე ამ ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა ვანდა რუტკევიჩის ვინაობა გაგვაცნო.

— ვანდა 34 წლისაა, გაუთხოვარი. ვარშავის გამომთვლელი მანქანების ინსტიტუტში მუშაობს. ელექტროინჟინერია. 16 წლისა იყო, ალპინიზმმა რომ გაიტაცა. 1978 წელს ხელმძღვანელობდა საერთაშორისო ექსპედიციას, რომელიც დედამიწის ერთ-ერთი უმაღლესი და მრისხანე მწვერვალის ნანგა პარბატის (8126) დამორჩილებას ლამობდა. სამწუხაროდ, ასვლისას ჯგუფის ერთი წევრი დაიღუპა და ყველანი უკან დაბრუნდნენ. — გვიამბო მან.

1979 წელს დასავლეთის პრესამ ფართოდ გააშუქა ჯომოლუნგმაზე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ექსპედიციის მსვლელობა. ეს ექსპედიცია იყო ყველაზე პატარა, რომელმაც დედამიწის უმაღლეს მწვერვალს მიაღწია, ყველაზე სწრაფი (32 დღე) და პირველი, რომლის თითოეულმა წევრმა ჯომოლუნგმას უმაღლესი წერტილიდან გადმოიხედა.

ამას გარდა, ამ მწვერვალის ისტორიაში პირველად ჯომოლუნგმაზე ფეხი შედგეს მეუღლეებმა — ექსპედიციის მეთაურმა, დოქტორმა გერჰარდ შმატცმა და მისმა 39 წლის ცოლმა, დიასახლისმა ჰანელორამ.

ჯომოლუნგმა

ჯომოლუნგმაზე პირველი, მეორე და მესამე. ამსვლელი ქალები, შესაბამისად: იუნკო ტაბეი, ტზუნგ ჩენ პხუნდოპი და ვანდა რუტკევიჩი მთამსვლელთა საერთაშორისო შეკრებაზე შამონში (საფრანგეთი)

ჯომოლუნგმაზე ამსვლელი მეექვსე ქალი ბაჩენდრა პალი

ქმარი მწვერვალზე 1 ოქტომბერს ავიდა, ცოლი 2-ში.

გადამწყვეტ იერიშამდე რამდენიმე მთამსვლელმა და ქმარმაც ჰანელორას ასვლა დაუშალეს.

ევერესტზე ასვლის ნიმოზნება არ უნდა მომისპოთოო, შეევედრა მათ ჰანელორა. მას ექსპედიციის ზოგიერთმა წევრმაც მხარი დაუჭირა და ისიც დასძინეს, ჰანელორა თავს ჩინებულად გრძნობსო.

ამგვარად, ჰანელორა ჯომოლუნგმაზე ამსვლელი მეოთხე ქალი გახდა, მაგრამ დაშვებისას ცივმა ღამისთევამ (უკარვოდ, საძილე ტომრის გარეშე) მოუწია და ქანცის გაწყვეტისა და გაყინვის შედეგად დაიღუპა. მის გადარჩენას თავდადებით ამოდ ცდილობდნენ შერპი პერტემბა და ამერიკელი რეი გენეტიც, რომლებმაც პანელორასთან ასევე ცივი ღამისთევა გადაიტანეს, მაგრამ 8300 მეტრზე ამერიკელიც დაიღუპა.

პანელორას დაღუპვამ მთამსვლელი ქალები თითქოს დააშინა და ხუთი წლის განმავლობაში მათ არც ჯომოლუნგმა და არც სხვა რვაათასიანი აღარ დაულაშქრავთ, თუმცა, 1982 წელს ჯომოლუნგმაზე ასვლა მამაკაცებთან ერთად სცადა ამერიკელთა ექსპედიციის ერთადერთმა ქალმა მერი ჰეიმ, რომელიც თანაგუნდელებივით არც ჟანგბადის ბალონით სარგებლოდა და არც შერპთა სამსახურით. მერი ჰეიმ 8015 მეტრამდე ააღწია, იქ კი, სამწუხაროდ, ყინულზე მოსხლტა, გადაიჩეხა და გახდა ჯომოლუნგმას პირველი მსხვერპლი ქალი.

1984 წელს კი ამ მწვერვალზე კვლავ ავიდა ქალი — ინდოეთის ქალაქ უტარკაშის კოლეჯის ეკონომიკის მასწავლებელი ბაჩენდრა პალი. ინდოეთის ექსპედიციის ეს 28 წლის წევრი აღმოჩნდა ჯომოლუნგმაზე ამსვლელი პირველი ინდოელი ქალი, მსოფლიოში მეხუთე და ყველაზე ახალგაზრდა ქალი, რომელმაც მიზანს (ტრადიციული სამხრეთის კლასიკური მარშრუტის გავლით) მიაღწია.

სამწუხაროდ, იმ ლაშქრობისას ერთი შერპი ზვავში დაიღუპა, მეორე კი მთის ავადმყოფობამ შეიწირა.

იმავე შემოდგომაზე იმავე მარშრუტიდან ნიდერლანდელთა ექსპედიციის ერთადერთმა წევრმა ქალმა მურიემ 8600 მეტრიდან ჟანგბადის ბალონის გამოცლის გამო პირი იბრუნა.

1986 წელს ჯომოლუნგმას კენწეროსკენ ჩრდილოეთის კლასიკური მარშრუტით კანადელთა 15-კაციანი ექსპედიცია გაუდგა, მიზანს კი მხოლოდ ქალებმა — 29 წლის შარონ ვუდმა და დუეინ კონგდონმა მიაღწიეს. სწორედ ისინი გახდნენ ჯომოლუნგმაზე მსოფლიოში მეექვსე და მეშვიდე ამსვლელი ქალები, ხოლო ჩრდილოეთ ამერიკიდან პირველი მშვენიერი სქესის წარმომადგენლები, რომლებმაც იქიდან გადმოიხედეს.

მას შემდეგ დედამიწის უმაღლესი მწვერვალიდან კიდევ ბევრმა ქალმა გადმოიხედა, იქიდან შინ მშვიდობითაც დაბრუნდა, ბევრმა კი სამუდამო სასუფეველის მბრძანებელის ფერდობებზე ჰპოვა.

ამგვარი სამწუხარო და სასიამოვნო სტატისტიკა კი კვლავაც გრძელდება.

ავთანდილ გურასაშვილი

ჯომოლუნგმაზე ორთავ მხრიდან ასული პირველი ქალი კატერინა ო'დოუდი (მარცხნივ) და მისი წლევანდელი მეწყვილეები იან ვუდოლი და პენბა შერპა მწვერვალზე. ამ სურათის გადამღები ჯანგბუ შერპა კი, ცხადია, კადრს მიღმა დარჩა

მილიონს რომ ერთი ნაბიჯი აკლდეს, მილიონი აღარ იქნება

ტრინიდადელი

IAAF GOLDEN LEAGUE

ატო ბოლდონი მძლეოსნურ ამჟარში ფრიად დაფასებული კაცია. ატომ 1997 წელს, ათენის მსოფლიოს ჩემპიონატზე 200 მეტრზე იმარჯვა და ოქროც ირგუნა. ამის მერე ბოლდონი ყველასთვის ანგარიშგასაწევი მეტოქე გახდა და რაღა გასაკვირია, რომ რაგინდარა შეჯიბრზე ტრინიდადელ მძლეოსანს სპეციალისტები უმთავრეს ფავორიტად მიიჩნევენ. გუშინდელ „სარბიელში" რომ „ოქროს ლიგის" პირველ, ნორვეგიულ ტურნირზე მცირედ მოგითხრეთ, ატო ბოლდონზე არაფერი გვითქვამს, არადა, მან „ბიშლეტის" სარბენ ბილიკებზე ჩვეულად იქროლა, 200 მეტრზე იმარჯვა კიდეც, მაგრამ რად გინდა, ასპარეზობისას თურმე მეტოქის ბილიკისკენ წაუცდა ფეხი და ორგანიზატორებსაც რაღა დარჩენოდათ — წეს-კანონის თანახმად ბოლდონს გამარჯვება არ ჩაუთვალეს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ტრინიდადელ მსოფლიოს ჩემპიონს მილიონი დოლარის დაუფლების შანსი ხელიდან გამოეცალა.

სამაგიეროდ, ოსლოში ჩინებულად იასპარეზა უილსონ კიპკეტერმა. გადანიელებულმა კენიელმა, რომელსაც მალარიის გამო შარშანდელი სეზონი გაუცდა, 800 მეტრზე საუკეთესო დრო 1.43.11 წუთი აჩვენა. გახარებულმა უილსონმა შეჯიბრების დამთავრების მერე ჟურნალისტებს უთხრა: „მადლობელი ვარ ნორვეგიელი მაყურებლების, რომლებიც გულიანად მქომაგობდნენ, მართალია, გავიმარჯვე, მაგრამ ჯერ კიდევ არ ვარ ჩვეულ ფორმაში, თუმცა მალე ყველაფერი რიგზე იქნება და „ოქროს ლიგის" მოგებასაც შევეცდები".



ატო ბოლდონს დაუკრეფავში გადასვლა სანანებელი გაუხდა

REUTERS ოსლოდან

მარიონ ჯონსი წლეულსაც მილიონს უმიზნებს

ქალთა 800 მეტრზე კი, ასევე დიდი ხნის შესვენების შემდეგ, გაიმარჯვა ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა სვეტლანა მასტერკოვამ (1.58.16 წთ). ამ დისტანციაზე ასპარეზობა 31 წლის სვეტლანას სულაც არ ეხატებოდა გულზე, მაგრამ იგი საყვარელ 1500-ზე რუმინელი გაბრიელა საბოს მეტოქეობას მოერიდა. შარშანდელ „ოქროს ლიგაზე" მონტეკარლოში სწორედ საბომ გაასწრო მასტერკოვას და მილიონისთვის ბრძოლასაც გამოთიშა. სვეტლანამ კი ირბინა 800 მეტრზე, მაგრამ არც საბო გამოსულა 1500 მეტრიან დისტანციაზე. რუმინელმა ოსლოში 3 000 მეტრზე იასპარეზა და იმარჯვა კიდეც.

რახან სიტყვა შარშანდელ „ოქროს ლიგაზე" ჩამოვარდა, ვინ ტრიუმფატორები გამოსულნი, ჰილლორ ფლარი ერთმანეთში სამმა მძლეოსანმა ამერიკელმა მარიონ ჯონსმა (100 მ), მაროკოელმა ჰიშამ გურუჯიმ (1500) და ეთიოპელმა ჰაილე გაბრესელასიემ (3 000), გაიყვეს.

გაბრესელასიემ ოსლოშიც იასპარეზა, ოღონდ ამჯერად 5 000 მეტრზე, გაიმარჯვა კიდეც, მაგრამ ეგაა, ეს დისტანცია „ოქროს ლიგის" პროგრამაში არ შედის. საქმე ისაა, რომ ჰაილეს კარგა ხანია 5 000 მეტრზე მსოფლიოს რეკორდის დამყარება ამოუჭრია გულში და წლევანდელ სეზონში მხოლოდ ამ დისტანციაზე გამოდის.

ერთი სიტყვით „ბიშლეტის" სტადიონზე ფავორიტებმა თავისი სიტყვა თქვეს. მარიონ ჯონსი, უილსონ კიპკეტერი, გაბრიელა საბო, ალენ ჯონსონი (110 მ. თარჯრბენი), ბერნარდ ბარმასაი (3 000 მ. წინაღობებით), შუბის მტყორცნელი ტანია დამასკე, სიგრძეზე მხტომელი ხავიერ სოტომაიორი, აი ის მძლეოსნები, რომელთაც „ოქროს ლიგის" მოგებაც ძალუძთ და, რა თქმა უნდა, არც მილიონ დოლარზე იტყვიან უარს.

ბოლოს კი, „ოქროს ლიგის" წლევანდელ განრიგს გაგაცნობთ.

7 ივლისი — რომი
21 ივლისი — პარიზი
4 აგვისტო — მონტე კარლო
11 აგვისტო — ციურიხი
1 სექტემბერი — ბრიუსელი
8 სექტემბერი — ბერლინი

სოსო ძოტორეიშვილი

NHL ბაზარს ლიგაშიც ცვლილი უკიდია

გუშინ, 1 ივლისს, ლიგაში თავისუფალი აგენტების ბაზარი გაიხსნა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჰოკეისტები, რომლებსაც ამ დროისთვის ამოეწურათ საკონტრაქტო ვადები, ახალ ხელშეკრულებაზე დაიწყებენ მოლაპარაკებებს. თავისუფალი აგენტები ორ ჯგუფად იყოფიან: რეგისტრირებულ, ანუ ნაწილობრივ თავისუფალ და არარეგისტრირებულ ჰოკეისტებად. ამ უკანასკნელებს ამიერიდან ნებისმიერ სხვა კლუბთან შეთანხმების საშუალება ექნებათ, ამიტომ ივლისაგვისტო ტეო ფლერს, ნიკლას ლიდსტრიომს, ვალერი კამენსკისა და სხვა ვარსკვლავებს, უფრო კი მათ აგენტებს, დიდ ციებცხელებას ჰპირდება. ამასობაში რამდენიმე ჰოკეისტმა უკვე მოასწრო ახალი კონტრაქტების გაფორმება, ზოგი კი სხვა გუნდში გადავიდა



პეტერ ფორსბერგი



რომან ტურეკი

ზიგმუნდ პალფი (16) ამიერიდან „მეფეებისთვის" იბრძოლებს

ზიგმუნდი „მეფედ" ეკურთხა

სულ ახლახან ლამის ისეთი რამ მოხდა, რაც ბოლო 25 წლის განმავლობაში არ ყოფილა. ჰოკეის ქომაგებს კარგად მოეხსენებათ ორი ნიუიორკული კლუბის — რეინჯერსისა და აილენდერსის მტრული დამოკიდებულება, მოთამაშეების ურთიერთგაცვლასა და სხვა ამგვარ კონტაქტებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. მაგრამ ახლა გუნდები ისეთ სავალალო დღეში არიან, რომ ძველი შუღლი დაივიწყეს და ერთმანეთს დახმარების ხელიც კი გაუწოდეს.

მაშ, ასე — როგორც ჩრდილოამერიკული პრესა იუწყებოდა, თითქმის მზად იყო კონტრაქტი, რომლის თანახმადაც აილენდერსის ერთადერთი ვარსკვლავი, ზიგმუნდ პალფი და მცველი რიჩ პილონი რეინჯერსის ფორვარდებზე — ნიკლას სუნდსტრიომზე, ტოდ ჰარვიზე და დრაფტში არჩევანის უფლებაზე უნდა გაცვლილიყვნენ.

საბოლოოდ პალფიმაც და სუნდსტრიომმაც გამოიცვალეს კლუბები, მაგრამ „შობლიური" ნიუ იორკის დატოვება მოუხდათ — ნიკლასი დრაფტის დღეს ტამპაში გაიყიდა, ხოლო ზიგმუნდმა კალიფორნიაში ამოყო თავი.

6-კაციანი გაცვლის შემდეგ პალფი, ცენტრფორვარდი ბრაიან სმოლინსკი და მეკარე მარსელ კუზინო ლოს ანჯელესში აღმოჩნდნენ, მათ ნაცვლად კი „კუნძულელებმა" ორი ფორვარდი — ოლი იოკინენი, ჯოშ გრინი და მცველი მეტიუ ბირონი მიიღეს. ცხადია, დღესდღეობით აწ უკვე „მეფეთა" კუთვნილი სამეული უფრო ძლიერად გამოიყურება. ეს აილენდერსის გენერალურმა მენეჯერმა მაიკ მილბერიმაც აღიარა: „ისეთი მოთამაშეების გაყიდვა, როგორიც ზიგია, ყოველთვის არასასურველია, მაგრამ იმედია, ეს დანაკლისი ახალწვეულთა ნიჭიერებით ანაზღაურდება" — თქვა მან გაცვლის შემდეგ. აღსანიშნავია, რომ სამივე ექსანჯელესელს ბოლო სამი წლის დრაფტებზე მაღალ ნომრებად ირჩევენ, 20 წლის იოკინენი კი (9+12 66 მატჩში) შესაძლოა სულაც მაღალი კლასის ძალისმიერ ცენტრფორვარდად იქცეს. თუმცა ამ ექვსი მოთამაშისგან ყველაზე ძლიერი, უეჭველია, პალფი გახლავთ. მიუხედავად იმისა, რომ სლოვაკმა გაფიცვის გამო 32 მატჩი გამოტოვა, 50 (22+28) ქულით მაინც გუნდის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. ცხადია, მილბერი ასეთ წამგებიან ხელშეკრულებას არ დაყაბულდებოდა, რომ არა კლუბის კრიზისული ფინანსური მდგომარეობა.

საინტერესოა: მას შემდეგ, რაც სეზონის განმავლობაში მილბერიმ რამდენიმე ძვირადღირებული წამყვანი მოთამაშე გაყიდა, ნჰლ-ის კომისიონერმა, გერი ბეტმენმა აილენდერსი გააფრთხილა, რომ თანხების დაზოგვის მიზნით ვარსკვლავების გაყიდვას აღარ დაუშვებდა. მაგრამ ახლა ნიუიორკელებმა თავი გაიმართლეს — მართალია, პალფის შეველიეთ, მაგრამ, სამაგიეროდ, სამი პერსპექტიული ახალგაზრდა შევიძინეთო. ასე შერჩა კლუბს 6 მილიონი დოლარი (ჰოკეისტის კონტრაქტის ღირებულება) და იოკინენი. თუმცა ვინ იცის, იქნებ წლების მერე მან ზიგიც კი დაჩრდილოს.

საინტერესო რომანი: ტურეკი — „ხელნაწერი", რომელიც შეიძლება „ბესტსელერად" იქცეს

მხოლოდ 24 საათს დაჰყო დალასის მეკარე რომან ტურეკმა თასის მფლობელ გუნდში. ბუფალოსთან გამარჯვების მეორე დღეს ჩეხი სენტ ლუისში გაიყიდა, სულ რაღაც დრაფტის მესამე რაუნდში არჩევის ფასად.

მართალია, დალასის შემადგენლობაში ტურეკმა ჰოკეის უმაღლესი მწვერვალი დაიპყრო, მაგრამ სენტ ლუისის გენერალური მენეჯერის, ლარი პლოს თქმით, მას „ბლუზმენთა" რიგებში უფრო მეტის გაკეთება შეუძლია, სულაც პირველი გოლკიპერის წოდების მოპოვება ძალუძს.

„რომანს ნომერ პირველ მეკარედ ქცევისთვის უნარიც აქვს, ნებისყოფაც და ჩვენ ამის დამტკიცების საშუალებას მივცემთ" — თქვა პლომ გაცვლის შემდეგ.

29 წლის ტურეკმა სამი სეზონი ითამაშა ედ ბელფორის შემცვლელად და ყველა აალაპარაკა, დროა, დალასის წამყვანმა მეკარემ მას დაუთმოს გზაო, მაგრამ თასზე ჩინებულმა ასპარეზობამ ედს კვლავ მოუპოვა მწვრთნელთა ნდობა, ჩეხი კი კიდევ ერთ წელიწადს თადარიგში ჯდომას ვეღარ იგუებდა.

ახალ კლუბში ტურეკს კონკურენტი ელის — 37 წლის გრანტ ფიური, სახელოვანი, მაგრამ მობერებული მეკარე, რომელსაც უჭირს სეზონში 50-60 მატჩის ჩატარება. ასე რომ, რომანს, რომელმაც წლეულს 22 თამაშში ერთი შთაუტი მიითვალა და საშუალოდ 2 გოლზე ოდნავ მეტს უშვებდა, ძალიან კარგი შანსები აქვს.

ძვირფას „სათამაშოს" გაფრთხილება სჭირდება

ახალ სეზონს ლიგა ყველაზე ძვირადღირებული მოთამაშის გარეშე დაიწყებს. შვედი სუპერფორვარდი პეტერ ფორსბერგი კოლორადოს ახალი არენის „PEPSI CENTRE"-ს გახსნას თუ დაესწრება.

საქმე ის გახლავთ, რომ ჯერ კიდევ დალასთან ნახევარფინალური სერიის მეოთხე მატჩში მცველ რიჩარდ მატვიჩუკთან შეჯახების შემდეგ ფორსბერგმა მხარი დაიზიანა. მართალია, იგი უმალ წამოდგა ფეხზე და მომდევნო შეხვედრაშიც ითამაშა, მაგრამ ტრავმა სერიოზული აღმოჩნდა და ქირურგიული ჩარევა გახდა საჭირო. ამ დღეებში პეტერს ოპერაცია გაუკეთეს, საბოლოო გამოჯანმრთელებას კი 4-6 თვე დასჭირდება. გაისად ფორსბერგი 9 მილიონ დოლარს მიიღებს, სულ კი სამწლიანი კონტრაქტის თანახმად 30 მილიონი ერგება. წლეულს შვედი 24 (6+18) ქულით პლეი ოფის საუკეთესო ბომბარდირი გახდა, ხოლო კარიერის 344 მატჩში 440 (128+312) ქულას ითვლის.

* * *

მეკარე კევინ ჰოდსონმა თავის კლუბ ტამპასთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. შეგახსენებთ, რომ 27 წლის ჰოკეისტი ორი სეზონის განმავლობაში დეტროიტელ კრის ოსგუდს ცვლიდა და 1998 წელს თასსაც დაეუფლა, ხოლო „დედლაინზე" ტამპელ უნდელ კლარკზე გადაცვალეს. როგორც ჩანს, იგი ძირითად გოლკიპერობას ვერც ახლა ეღირსება — რეინჯერსიდან სულ ახლახან შეძენილ დენ კლუტუს დაეხმარება. შარშან ჰოდსონი გასამრჯელოდ 525 ათას დოლარს იღებდა.

* * *

ოტავიდან ანაჰაიმში გადასულმა ტედ დონატომ 11 დღეში ახალ კლუბთან ხელშეკრულებასაც მოაწერა ხელი. მისი დეტალები უცნობია, შარშან კი ჰოკეისტი მილიონზე ცოტა მეტს იღებდა. ეს 30 წლის დონატოსთვის ბოლო ათ სეზონში მეოთხე გუნდია (მანამდე იყო ბოსტონი და აილენდერსი). სულ კი, 8 წლის განმავლობაში ფორვარდმა 123 გოლი და 155 პასი მიითვალა.

სამველ ღარიბიანი

იტალიამ რუსეთი დაარბია

REUTERS ბარი ზიდან

იტალიელთა ლიდერი კარლტონ მაიერსი (№10) იგორ კუდელინს (№5) გაუსწორდა

ევროპის ჩემპიონატი. მეოთხედფინალი

რუსეთი 79:102 იტალია

1 ივლისი. ბარიზი. „ბერსი“. I ტაიმი 49:49

მსაჯები: კარლ იუნგებრანდი (ფინეთი), პასკალ დრრიზონი (საფრანგეთი)

რუსეთი	წთ.	2-ქ.	3-ქ.	საჯ.	მოხს.	პასი	ჩაჭ.	დაფ.	ფოლ.	ქ.
კარასიოვი	33	2/6	5/7	3/3	0	3	0	1	1	22
ზ. პაშუტინი	25	4/10	1/2	2/5	3	1	0	0	3	13
პანოვი	32	0/3	0/1	6/6	5	3	0	2	4	6
კისურინი	22	1/3	0/0	0/4	2	2	0	0	5	2
ნოსოვი	22	6/9	0/0	3/5	13	0	0	0	2	15
კუდელინი	14	0/1	1/5	0/0	3	1	2	0	4	3
პეტრენკო	5	0/0	0/0	0/0	0	1	0	0	1	0
ე. პაშუტინი	6	0/0	0/0	0/0	0	0	0	0	0	0
კურაშოვი	10	4/5	0/0	0/0	2	2	0	1	3	8
ავლეევი	25	3/3	0/0	4/4	3	1	0	0	2	10
სულ	-	20/40	7/15	18/27	31	14	2	4	25	79

იტალია	წთ.	2-ქ.	3-ქ.	საჯ.	მოხს.	პასი	ჩაჭ.	დაფ.	ფოლ.	ქ.
მაიერსი	26	4/6	4/5	2/2	1	3	1	0	1	22
დე პოლი	30	1/3	0/2	4/4	3	5	0	0	2	6
მენეგინი	20	2/5	1/2	0/0	2	5	1	0	3	7
ფუჩკა	25	5/7	1/1	6/6	3	1	3	0	3	19
კიაჩეგი	14	3/5	0/0	2/2	3	0	0	0	0	8
ბაჯილე	20	1/3	1/2	2/2	4	4	0	0	1	7
გალანდა	20	1/2	1/2	6/6	5	1	0	0	1	11
მარკონატო	17	2/2	0/1	0/0	2	1	0	0	4	4
აბიო	13	0/0	3/5	2/2	2	0	0	0	4	11
მიანი	3	1/1	1/1	0/0	0	0	2	0	0	5
დამიაო	5	1/1	0/0	0/1	0	1	0	0	2	2
სულ	-	21/35	12/21	24/25	25	21	7	0	21	102

პირველი მეოთხედფინალური მატჩი და პირველი მოულოდნელობა. არა, წლევანდელი ევროპის ჩემპიონატი მართლაც ძალიან საინტერესოდ მიმდინარეობს. თავისთავად იტალიის რუსეთთან გამარჯვება სენსაციად ნამდვილად არ შეიძლება ჩაითვალოს, მაგრამ ამხელა სხვაობით და ასე იოლად თუ დაჯაბნიდნენ აპენინელები მოწინააღმდეგეს, ვერავინ იფიქრებდა. მთელი მატჩის განმავლობაში რუსებს მეტოქისთვის ერთხელაც არ „უგრძნობინებიათ“, რომ მოგება მათაც შეეძლოთ.

გუშინ გამართული ოთხი შეხვედრიდან ყველაზე დაძაბული წესით ეს უნდა ყოფილიყო, მაგრამ ფუჩკასა და მაიერსის პატრონი იტალიელებისთვის რუსეთი ძალიან სუსტი მეტოქე გამოდგა. ეს შეიძლება იმის ბრალიც იყო, რომ იუგოსლავიელებთან მეორე ეტაპის ბოლო მატჩში გამარჯვებამოპოვებულმა რუსებმა, ეტყობა, თავიანთი ძალებისა ზედმეტად ირწმუნეს და მოედანზეც გულარხეინად გამოვიდნენ. იტალიელებმა კი ლიტვასთან მარცხის შემდეგ სწორი დასკვნები გააკეთეს და ბალტიისპირელებთან დაშვებული შეცდომები აღარ გაიმეორეს.

დასაწყისი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა. ორივე გუნდი თავდასხმაში უკეთ ირჯებოდა, ვიდრე დაცვაში და ამიტომაც ქულებიც ბლომად კეთდებოდა. მე-5 წუთისთვის წინ იტალიელები იყვნენ 11:9. ისინი უფრო მონდომებულები ჩანდნენ, მალე თამაშის ტემპი გაზარდეს, კონტრიერიშებსაც მოუხშირეს. შედეგად ზედიზედ რამდენიმე ბურთი მოთავსეს კალათში, მათ რიგებში საუკეთესო კარლტონ მაიერსი იყო, რომელმაც ამ დროს ზედიზედ ორი სამქულიანი ჩააგდო. საწინააღმდეგო ბანაკიდან მხოლოდ კარესიოვი პასუხობდა, მაგრამ ანგარიშის გასათანაბრებლად ესეც საკმარისი აღმოჩნდა (19:19, მე-9 წუთზე). წუთშესვენება. კვლავ კარასიოვს მოაქვს თავისანებისთვის სამი ქულა, მაგრამ ის მარტო იბრძვის, მარტო კაცი კი ჭამაშიაც ბრალიაო.

მენეგინმა სამი ჯარიმა მიიღო და მისი ადგილი ფუჩკამ დაიკავა. ამ უკანასკნელის (12 ქულა პირველ ტაიმში) და მაიერსის (16 ქულა) აქტიურობის წყალობით იტალიამ თამაშის სადავეები ხელთ იგდო. რუსთა მომდევნო შეტევა მაიერსმა ჩაშალა და ტაიმის დამთავრებამდე ექვს წუთნახევრით ადრე იტალია რვა ქულას იგებდა. ანგარიშში სხვაობა შესვენებამდე თითქმის აღარ შეცვლილა — 49:40. რუსთაგან კი კარასიოვიც დაიღალა.

მეორე ტაიმი დროდადრო ცალფარას თამაშს ჰგავდა. მაიერსი კვლავ მშვენივრად თამაშობდა, მაგრამ 26-ე წუთზე დაცვაში ბურთის ჩაჭრისას მაჯა იტკინა და სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლა. იტალიელებს დიდი ძალა მოაკლდათ. თუმცა რუსები ისე უგერგილოდ ირჯებოდნენ, ბედის საჩუქარი ვერ შეიშვნეს. სხვაობა ათ ქულაზე გაიყინა. აპენინელები მალე მოვიდნენ გონს. სროლებიც წაუვიდათ, რასაც ჩვენს ყოფილ „უფროს ძმებზე“ ვერ ვიტყვით. ფუჩკა და აბიო 6,25 მეტრიანი ხაზის გარედან ზუსტად ტყორცნიან და სულ უფრო და უფრო დიდ უპირატესობას ანიჭებენ თავისიანებს. საფინალო სირენამდე ხუთი წუთით ადრე კი მოედანზე მაიერსიც დაბრუნდა და ისედაც სულისშლაფავ რუსებს საბოლოოდ მოუღო ბოლო. კარასოვის 22 ქულა კი...

„ბევრი წამყვანი მოთამაშე გვაკლდა. მიხაილ მიხაილოვი საერთოდ ვერ ჩამოვიდა ამ ტურნირზე, სერგეი ბაბკოვი კი გადამწყვეტ მომენტში გამოგვაკლდა. ბევრი ახალგაზრდა კალათბურთელი გვყავს, რომლებსაც ასეთ დონეზე თამაშის გამოცდილება არ ჰქონდათ. დაცვაში კარგად ვთამაშობთ ხოლმე, დღეს კი რა მოგვივიდა, არ ვიცი. თუმცა, ალბათ, იტალიელები იყვნენ მეტად იღბლიანები“ — თქვა ვასილი კარასიოვმა.

იტალიელთა ბოსნიელმა მწვრთნელმა ბოგდან ტანევიჩმა კი ეს უთხრა ჟურნალისტებს: „ახლა ჩემთვის ლაპარაკი იოლია, რადგან ბრწყინვალე გამარჯვება მოვიპოვეთ. ჩემმა მოთამაშეებმა თავისი ტალანტი და შესაძლებლობები სრულად წარმოაჩინეს. ხვალ კი, ძნელი სათქმელია, რას ვიზამთ. კარგად დავისვენებთ, გამოვიძინებთ და... იუგოსლავია ფავორიტი კია, მაგრამ ჩვენ ყველაფერს გავაკეთებს ფინალში გასასვლელად.

იუგოსლავია 78:68 გერმანია

1 ივლისი. ბარიზი. „ბერსი“. I ტაიმი 39:35

მსაჯები: რომუალდას ბრაზაუსკასი (ლიტვა), რეჯეფ ანკარალი (თურქეთი)

იუგოსლავია	წთ.	2-ქ.	3-ქ.	საჯ.	მოხს.	პასი	ჩაჭ.	დაფ.	ფოლ.	ქ.
ბოდიროგა	32	4/8	0/0	6/8	5	7	1	0	4	14
ლონჩარი	15	0/2	0/2	2/2	0	1	0	0	0	2
დანილოვიჩი	35	4/6	1/4	4/5	2	1	1	0	3	15
გუროვიჩი	12	0/1	0/1	0/0	3	0	1	0	1	0
დივაცი	25	3/6	0/2	2/2	6	4	2	1	2	8
შეპანოვიჩი	24	4/5	3/5	0/0	0	3	1	0	1	17
ლუკოვსკი	10	2/2	1/1	2/2	0	2	0	0	3	9
სტოიაკოვიჩი	1	0/0	0/0	0/0	0	0	0	0	0	0
ტარლაჩი	6	0/0	0/0	0/0	2	0	0	0	3	0
ტომაშევიჩი	15	1/6	0/0	0/0	7	0	0	1	3	2
ტოპიჩი	19	4/5	1/2	0/0	6	0	1	0	1	11
სულ	-	22/41	6/17	16/19	31	18	7	2	21	78

გერმანია	წთ.	2-ქ.	3-ქ.	საჯ.	მოხს.	პასი	ჩაჭ.	დაფ.	ფოლ.	ქ.
ბოგოევიჩი	29	3/6	0/2	3/4	0	6	3	0	3	9
ტომიჩი	19	2/2	0/3	0/0	3	2	0	0	2	4
ოკულაჯა	30	3/6	1/1	1/3	3	1	0	0	1	10
ნოვიცკი	29	2/4	1/2	4/5	5	0	0	4	2	11
ფემერლინგი	26	5/9	0/0	3/3	3	2	0	1	2	13
ნიურნბერგერი	16	0/0	0/0	0/0	2	0	0	0	1	0
ფუხერერი	14	0/3	0/1	4/4	1	0	0	0	0	4
ტერდენგი	13	2/3	0/0	1/1	3	1	0	0	5	5
ნეესი	19	5/7	0/0	2/2	1	1	0	0	3	12
სულ	-	22/40	2/9	18/22	21	13	3	5	19	68

კარგი გუნდია გერმანია, მებრძოლი და განსწავლული, მაგრამ მის მეტოქესაც არაუშავდა.

ერთი გერმანელი ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში თამაშობს, რამდენიმე კი ამერიკის სტუდენტურ ლიგაში. მათი მეტოქის რიგებში კი ოთხი ასოციაციამოვლილი მოთამაშეა, ერთს, ვგონებთ, დაავიწყდა, როდის დაიწყო ოკეანისგაღმა თამაში.

გერმანელებს ორი ყოფილი იუგოსლავიელი ჰყავთ, რომელნიც გუნდში ამინდს ქმნიან. გერმანიის მეტოქის შემადგენლობაში კი თორმეტი ნაღდი იუგოსლავიელი გამოდის.

გერმანიამ იცის ბოლომდე ბრძოლა, მისმა მეტოქემ კი — უპირატესობის მოპოვება და შენარჩუნება.

ერთი სიტყვით, მატჩი ისე დამთავრდა, როგორც უნდა დამთავრებულიყო. სანაქებო თვისებების მიუხედავად გერმანია დამარცხდა. დამარცხდა იმიტომ, რომ მისი მეტოქე მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი იუგოსლავია იყო.

ჰო, მართლა. მეოთხედფინალში გამარჯვებულები და მე-5 ადგილზე გასული გუნდი სიდნეის 2000 წლის ოლიმპიადის საგზურს იღებს. იუგოსლავიას ეს საგზური უკვე ჯიბეში აქვს (ოლიმპიადის მეორე პრიზიორი და მსოფლიოს ჩემპიონია). მისი ნახევარფინალში გასვლით ოლიმპიადაზე მოხვედრის შანსი მე-6 ადგილზე გასულსაც გაუჩნდა. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, საკმარისია, გერმანიამ დღეს რუსეთს მოუგოს და სიდნეის ბილეთებზე ზრუნვაც მოუწევს...

იუგოსლავიას კი ტრავმები მიეძალა. ჯერ კიდევ ჩემპიონატამდე გუნდმა ძირითადი გამთამაშებელი საშა ჯორჯევიჩი მოისაკლისა. ჩემპიონატის მსვლელობისას კი გაძირითადებული სათადარიგო გამთამაშებელი საშა ობრადოვიჩიც დაშავდა. რაღა გზა რჩებოდა გუშინ იუგოსლავიელთა მწვრთნელს ჟელკო ობრადოვიჩს? იგიც ადგა და გამთამაშებლობა უნივერსალ დეიან ბოდიროგას დაავალა. ამ 204-სანტიმეტრიან კაცს ყველა ამპლუაში შეუძლია თამაში (გაჭირვებისას ცენტრზეც მდგარა), მაგრამ მისი მოწოდება ფორვარდობა და მოედნის შუიდან გარღვევებით შეტევაა. ახლა კი დეიანს ამის საშუალება შეეზღუდა და იძულებული გახდა, თანაგუნდელების პასებით მომარაგებაზე ეზრუნა. თავიდან ყველაფერი კარგად აეწყო და მე-6 წუთზე იუგოსლავია 14:5 იგებდა.

AFP ბარი ზიდან

იუგოსლავიელმა ვლადე დივაცმა (№12) გერმანელ პატრიკ ფემერლინგს (№10) ფარზე აჭობა

გერმანიას, ჩამორჩენის მიუხედავად, ყურები არ ჩამოუყრია. განსაკუთრებით ადემოლა ოკულაჯა ინდომებდა. მერე მოედანს საწყის წუთებში ვლადე დივაცისგან შერცხვენილი დირკ ნოვიცკი დაუბრუნდა და გერმანელთა ჩარხმა წაღმა იწყო ტრიალი.

ბოდიროგას, უფრო სწორად კი, მისი მწვრთნელის, ობრადოვიჩის ალბათ ერთადერთი შეცდომა ის იყო, რომ იუგოსლავიელთა გამთამაშებელმა დაცვაში 215-სანტიმეტრიან დირკ ნოვიცკის დაუწყო მეურვეობა. ნოვიცკი ამპლუით ცენტრია, მაგრამ ხანდახან თავდამსხმელადაც თამაშობს. „დალას მავერიქსის“ წევრს მოქმედების დიდი დიაპაზონი აქვს, რაც თამაშში ჩართვისას გამოიყენა. ნოვიცკი ხან ფარქვეშ შევიდა, ხან ფლანგებისკენ გაიწია. ბოლოს სამქულიანის ხაზის გარეთ გავიდა და იქიდან ჩაგდო. ბოდიროგა ლანდიკით დასდევდა, მაგრამ პოზიციებისა თუ ადგილების ცვლის გამო ცოტა არ იყოს, აირია და ზედიზედ ორჯერ შეტევისას ბურთი დაკარგა. გერმანიამ კი მოუმატა და მოუმატა. მე-12 წუთზე ნეესმა ანგარიში გაათანაბრა. მომდევნო შეტევით კი ბოგოევიჩმა ანგარიში 22:20 გახადა.

ობრადოვიჩმა წამსვე მიმართა შეცვლებს. გამთამაშებლად ლუკოვსკი შეიყვანა, მის დამხმარედ — შეპანოვიჩი, დივაცი შეცვალა ტარლაჩმა, რომელიც შეტევაში იქნებ ვერ ბრწყინავს, მაგრამ დაცვაში საიმედოა. ბოდიროგა მოედანზე დარჩა, ოღონდ ფრთის ადგილი დაიკავა. იუგოსლავიელთა ხუთეულს ორი შეტევა დასჭირდა გონზე მოსასვლელად, მერე კი დაიწყო... შეპანოვიჩმა ზედიზედ ორი გარღვევა გააკეთა და მერე სამქულიანიც ჩაგდო. ბოდიროგა თავის თავს დაემსგავსა და შუიდან შეუტია. იუგოსლავიელებმა უმალ მოიპოვეს რვაქულიანი უპირატესობა. თუმცა ოდნავ მოეშვნენ და ეს მე-18 წუთზე ანგარიშის გათანაბრებად დაუჯდათ — 33:33. მიუხედავად ამისა, ტაიმი მაინც მათ მოიგეს და რომ არა ნოვიცკი, სხვაობა უფრო დიდი იქნებოდა — გერმანელმა ტაიმის ბოლო წამზე სასწაულებრივად დაუფარა მარტოდ დარჩენილ და სამქულიანის სასროლად ჰაერში აწეულ გუროვიჩს.

მეორე ტაიმში იუგოსლავიამ შეცდომები აღარ გაიმეორა და პრესინგი გაამკაცრა. ცენტრ ფემერლინგისა და ნოვიცკის შესაკავებლად მოედანზე ტომაშევიჩი გამოჩნდა, რომელმაც ფარზე გავლენის სფეროები ახლებურად გადანაწილა. უფრო მძლავრად ათამაშდა პრედრაგ დანილოვიჩი. ამის წყალობით მეორე ტაიმის მეცხრე წუთზე მსოფლიოს ჩემპიონები 58:48 დაწინაურდნენ და, რაც ყველაზე მთავარია, თამაშის ტემპს თავის გემოზე ცვლიდნენ. ცხადი გახდა, რომ იუგოსლავია მოიგებდა, მაგრამ ფემერლინგის, ნოვიცკისა და ბოგოევიჩისგან ყოველ წამს აფეთქება იყო მოსალოდნელი. ამიტომაც, ობრადოვიჩის შეგირდები დაცვაზე გადაეწყვნენ და თუკი თავად ჩაგდებდნენ, მხოლოდ ამ შემთხვევაში აძლევდნენ გერმანელებს მიზნის მიღწევის საშუალებას. ასე გაილია მატჩისთვის განკუთვნილი დრო და სირენამ დარბაზში მყოფ იტალიის ნაკრებს ნახევარფინალში მათი მეტოქის გამოვლენა აუწყა.

ევროპის ჩემპიონატი. მეოთხედფინალი

საფრანგეთი 66:63 თურქეთი

1 ივლისი. პარიზი. „ბერსი“. I ტაიმი 31:31

მსაჯები: რუვენ ვიროვნიკი (ისრაელი), იზტოკ რემსი (სლოვენია)

საფრანგეთი	წთ.	2-ქ.	3-ქ.	საჯ.	მოხს.	პასი	ჩაჭ.	დაფ.	ფოლ	ქ.
რიგოდო	38	3/6	2/5	6/6	4	2	1	0	3	18
ფუარე	24	4/4	2/3	1/2	3	1	0	0	5	15
აბდულ-ვაჰადი	23	1/5	0/1	2/2	1	2	0	0	2	4
ბილბა	40	2/7	0/1	1/4	8	1	5	0	3	5
ვეისი	4	0/1	0/0	0/0	0	0	0	0	0	0
სონკო	22	4/5	0/2	0/0	2	1	0	0	2	8
რისაფე	13	2/4	0/1	2/2	1	2	0	0	2	6
ჟულიენი	15	3/4	0/0	3/4	5	0	0	0	1	9
სმიტი	21	0/0	0/0	1/2	2	1	0	1	2	1
სულ	-	19/36	4/13	16/22	26	10	6	1	20	66

თურქეთი	წთ.	2-ქ.	3-ქ.	საჯ.	მოხს.	პასი	ჩაჭ.	დაფ.	ფოლ	ქ.
თუნჩერი	40	0/0	2/4	0/1	2	5	1	0	3	6
თურკოღლუ	40	4/7	2/7	3/5	5	0	0	1	5	17
ქუთლუაი	30	2/5	2/3	4/6	2	1	0	0	4	14
ოქური	15	1/2	1/1	0/0	4	1	0	0	3	5
ბეშოქი	33	6/12	0/0	2/2	8	2	0	0	2	14
სარიჯა	10	1/3	0/2	0/0	4	2	2	0	2	2
ილდირიმი	21	1/2	1/3	0/0	2	2	0	0	2	5
ქონუქი	4	0/0	0/0	0/0	0	0	0	0	2	0
ფარსი	7	0/1	0/0	0/0	0	0	0	0	0	0
სულ	-	15/32	8/20	9/14	27	13	3	1	23	63

თექვსმეტი წლის შემდეგ: საფრანგეთი ოლიმპიადაზე

REUTERS პარი ზიდან

ფრანგები ლორან ფუარემ იხსნა

საფრანგეთი სიდნეის ოლიმპიადაზე ითამაშებს! მასპინძლებმა თავიანთ მთავარ მიზანს მიაღწიეს და უზომოდაც გაიხარეს. თუ ახლა რომელიმე მედალსაც გამოჰკრავენ ხელს, ხომ კარგი, თუ არა... 2000 წლის ოლიმპიურ თამაშებზე ისინიც გაემგზავრებიან და ეს 16 წლიანი შესვენების შემდეგ — 1984 წელს ლოს ანჯელესის ოლიმპიადაზე მათ მე-11 ადგილი დაიკავეს...

შეხვედრა დაძაბული კი იყო, მაგრამ სანახაობრივად ნამდვილად მოიკოჭლებდა. „ლურჯების“ გამარჯვების სულისჩამდგმელები ანტუან რიგოდო (18 ქულა, 4 მოხსნა) და ლორან ფუარე (15 ქულა, 3 მოხსნა) იყვნენ. ამერიკაში მოთამაშე ტარიკ აბდულ-ვაჰადი კი ძალიან უფერულად გაისარჯა და მხოლოდ ოთხი ქულა შემატა თავისიანებს. ფრანგთაგან აღნიშვნის გამოსარჩევია სირილ ჟულიენიც, ვინაც ჰუსეინ ბეშოქისაგან დაჯაბნილი ვეისი და სმიტი ღირსეულად შეცვალა. მან გაცილებით მაღალ თურქს ტოლი არაფერში დაუდო და ფარქვეშ ჩინებულად იბრძოლა.

თამაშის დაწყებისთანავე ფუარემ სწრაფი გარღვევა განახორციელა და თავისიანები დააწინაურა. თურქებმა მყისვე უპასუხეს და წინაც გავიდნენ ბეშოქის წყალობით. მე-3 წუთისთვის ანგარიში გათანაბრდა — 7:7. ჩვენი სამხრეთელი მეზობლები თავიანთი მშვენიერი ფრთის მირსად თურქჯანის არყოფნით ოდნავ კი შესუსტებულიყვნენ, მაგრამ ფარიდან ასხლეტილი ბურთებისთვის ბრძოლას ბეშოქი ჯერ ვეისს, მერე კი სმიტს იოლად უგებდა და მე-5 წუთზე თურქთა უპირატესობა ხუთქულიანი გახდა — 12:7. აქ ლორან ფუარე დატრიალდა და 12:12.

თურქთა დაცვა, რომელიც ტურნირზე საუკეთესოა (მატჩში საშუალოდ 61,8 ქულას უგდებდნენ მეტოქეები), ჩვეულად ათამაშდა, რამდენიმე ჩაჭრას დაფარებებიც მოჰყვა და საფრანგეთი კვლავ მდევრის როლში აღმოჩნდა. მასპინძლებს მუტაფა სონკოს შეყვანა კი წაადგათ, მაგრამ თურქები პოზიციების დათმობას მაინც არ აპირებდა (24:19, მე-17 წუთზე).

ბოლო წუთებში კი თამაში გათანაბრდა და ტაიმიც 31:31 დასრულდა. შესვენების შემდეგ თურქებმა უკეთ დაიწყეს, საქულიანებიც ჩაგდეს, საშუალო დისტანციდანაც ზუსტნი იყვნენ, ფარი კვლავ ბეშოქის იყო და 25-ე წუთზე ისინი ექვსი ქულით გაექცნენ ფრანგებს (41:35).

მასპინძელთა მწვრთნელ ჟან-პიერ დე ვინჩენცის გაახსენდა, რომ საკმაოდ გრძელი სათადარიგოთა სკამი აქვს და ხშირ ცვლილებებსაც მიჰყო ხელი. ამის წყალობით მისმა გუნდმა ხუთ წუთში ანგარიში სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა (43:42). თურქებმა თურქოღლუს მშვენიერი თამაშის მეშვეობით ისევ მოახერხეს დაწინაურება. აქ კი მანამდე ერთგვარად ჩრდილში მყოფი ანტუან რიგოდოს ჯერიც დადგა. მასპინძელთა გამთამაშებელმა ზედიზედ შვიდი ქულა შემატა თავის მონაგარს და „ბერსის“ დარბაზში თავმოყრილ 14 000 ქომაგიც დიდად გაახარა. თითქოს მოწინააღმდეგეც უნდა გატეხილიყო, თუმცა...

პასუხისმგებლობა ლორან ფუარემ იკისრა და ზედიზედ 5 ქულაც მითვალა, საფრანგეთი კი მატჩში მესამე და საბოლოოდ დაწინაურდა (63:59). ბოლოს ბილბამ ორჯერ მოხსნა, რიგოდომ საჯარიმოები ჩაგდო და დამთავრებამდე რამდენიმე წამით ადრე ანგარიში 66:62 გახდა.

თურქების უანასკნელი შეტევა ფუარემ ჩაშალა — იგი ქუთლუაისთან ბრძოლაში დაჯარიმდა. ქუთლუაიმ პირველი საჯარიმო ზუსტად ტყორცნა, მეორე განგებ ააცილა, იქნებ სამქულიანის სროლა მოვასწროთო, მაგრამ საამისოდ თურქებს 1,1 წამიღა რჩებოდათ. თანაც ფარიდან ასხლეტილ ბურთს ფრანგები დაეუფლნენ.

თურქეთმა კი სიდნეიში წასასვლელად დღეს ესპანელთაგან ძლეულ ლიტვას უნდა მოუგოს.

ესპანეთმა ლიტვა უმედლოდ დატოვა

ბედს მწარედ დაცინვა შეძლებია, თანაც ისე მწარედ, რომ მისგან მოყენებული ტკივილი მთელი ცხოვრება გაგყვება.

ბედს შეუძლია დიდხანს, ძალიან დიდხანს გატაროს ხელის გულზე. ბოლოს კი, გადმწყვეტ და უმნიშვნელოვანეს მომენტში, შენ რომ უზიხარ, ის ხელი დაიბერტყოს და სადღაც დასაკარგავში მოგისროლოს — ესეც ბედის თვისებაა.

სწორედ ასე გადაიქცევიან ხოლმე გმირები ანტიგმირებად.

ლიტვის ყველა დროის უდიდეს სპორტსმენს, ევროპის ყველა დროის უდიდეს კალათბურთელს არვიდას საბონისს, აგერ, მერამდენედ შეეძლო გმირი გამხდარიყო. კონკრეტულად: თავის გუნდი ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში გაეყვანა და სიდნეის ოლიმპიადის საგზურიც მოეპოვებინა. ისტორიას კი ის შემორჩება, რომ საბონისმა ამ მატჩში სულ 16 წუთი ითამაშა, სულ 3 ქულა გააკეთა, ოთხჯერ ბურთი დაკარგა და 5 პერსონალურის გამო მოედანი დატოვა, რითაც ლიტვის ნაკრები ღვთის ანაბარა მიატოვა.

ნიჭიერ ლიტველ ყმაწვილს შარუნას იასიკევიჩუსს დიდხანს შეაწუხებს კოშმარი: ბოლო წამებზე იგი მარტო გადის ესპანელთა ცარიელ ფართან და ბურთს აცილებს. არადა, ის ორი ქულა მატჩს დამატებით დროში გადაიყვანდა. ყველაფერი კი იასიკევიჩუსის გმირობისკენ მიდიოდა: ამ ბიჭმა თავისი გუნდის 10-ქულიანი ჩამორჩენა გააბათილა, თანაც ხუთი სამქულიანი ჩააგდო.

ესპანელები კი, რომლებიც მეოთხედფინალში სლოვენიელთა ბედოვლათობის გამო მოხვდნენ, სულ მცირე, მეოთხე ადგილს მაინც დაიკავებენ, რაც სიდნეიში წასვლის გარანტიაა. ლიტვამ კი ავსტრალიაში მოსახვედრად დღეს თურქეთს უნდა მოუგოს.

პირველი სამი წუთი ლიტვამ 7:4 მოიგო. სამაგიეროდ, მომდევნო 9 წუთში ესპანელმა ბომბარდირმა ალბერტო ერეროსმა ენით აუწერელი რამ ჩაიდინა და მისი გუნდიც 23:11 დაწინაურდა. საბონისი უგულოდ თამაშობდა, სამქულიანი ხაზის პერიმეტრზე მოძრაობდა, ბლოკებს აყენებდა და თანაგუნდელ უკანახაზელებს შორიდან სროლის პირობებს უქმნიდა. თუმცა, ეს უკანასკნელნი მთლად ვერ ყოჩაღობნენ.

მერე საბონისი გავიდა. ესპანელებმაც წამსვე შეცვალეს ცენტრი. მოძრავი რეიესის ნაცვლად მოუქნელი, მაგრამ მაღალი და ვეება დუენიასი შემოვიდა. ამან ლიტველთა დაბლებს ფარქვეშ გაძრომ-გამოძრომის საშუალება მისცა. პირველად გაიბრწყინა იასიკევიჩუსმა, რომელმაც დროული გარღვევა გააკეთა. ლიტვამ ტაიმი მხოლოდ 3 ქულით წააგო.

შესვენების შემდეგ ბალტიელებმა ეგრევე მიითვალეს 5 უპასუხო ქულა, მაგრამ საბონისმა მეოთხე პერსონალური მიიღო და მწვრთნელმა კაზლაუსკასმა იგი სკამზე დასვა. ბალტიისპირელები დაიბნენ, ეტყობა, საბონისის გარეშე კომბინაციები კარგად არ ჰქონდათ დამუშავებული და შეკდომას შეკდომაზე უშვებდნენ — ერთხელ ისე გადაამლაშეს პასებით, რომ ბურთის ფლობისთვის განკუთვნილი დრო შემოელიათ.

თითქოს მათი საშველი დადგა, როცა საბონისი მოედანს დაუბრუნდა, მაგრამ დიდი ლიტველი თამაშში ხეირიანად არც იყო ჩართული, რომ მეტოქის გამთამაშებელ როდრიგესს უმარტივეს სიტუაციაში კისერში წაუთაქა და მეხუთე პერსონალურით მოედანი დატოვა. ამის მერე ლიტვა მთლად აირია, ესპანელები კი გადაირივნენ და დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე 61:51 დაწინაურდნენ.

სწორედ ამ დროს იტვირთა ლიდერობა იასიკევიჩუსმა. მან ზედიზედ ორი სამქულიანი ჩააგდო. მისმა გუნდმა „არეული თამაშის“ ტაქტიკას მიმართა და ესპანელები ამ ფანდზე წამოეგნენ. ისინი აყვნენ ლიტველებს და უპირატესობის შენარჩუნების ნაცვლად მისი ფლანგვა დაიწყეს. კარნიშოვასმა ორ შეტევაში სამი საჯარიმო ჩააგდო. მათ შორის კი ერეროსმა სამქულიანი ჩაანაცვლა.

არეული თამაში გრძელდებოდა და წუთნახევრით ადრე იმავე ერეროსმა შეიშნოვა დე ლა ფუენტეს და დუენიასის ორმაგი ბლოკი და ანგარიში 69:66 გახადა.

ESPAÑOL

ევროპის ჩემპიონატი. მეოთხედფინალი

ესპანეთი 74:72 ლიტვა

1 ივლისი. პარიზი. „ბერსი“. I ტაიმი 34:31

მსაჯები: სტეფანო კაძარო (იტალია), პეტრ სუდეკი (სლოვაკეთი)

ესპანეთი	წთ.	2-ქ.	3-ქ.	საჯ.	მოხს.	პასი	ჩაჭ.	დაფ.	ფოლ	ქ.
როდრიგესი	35	0/1	1/3	0/0	5	5	1	0	2	3
ხიმენესი	21	0/0	1/2	1/2	5	0	0	0	4	4
ერეროსი	32	7/11	3/6	5/6	2	3	2	0	1	28
დე მიგელი	20	2/5	0/0	3/4	5	0	0	0	4	7
რეიესი	22	2/4	0/0	4/6	4	1	0	0	5	8
ანგულო	22	2/4	1/3	3/4	1	1	1	0	0	10
კორალესი	5	0/0	1/3	1/2	1	0	0	0	0	4
დე ლა ფუენტე	16	1/2	0/0	2/2	2	1	0	0	2	4
რომეერო	13	0/0	0/1	0/0	3	0	0	0	4	0
დუენიასი	15	2/5	0/0	2/4	2	0	0	0	2	6
სულ	-	16/32	7/18	21/30	30	11	4	0	24	74

ლიტვა	წთ.	2-ქ.	3-ქ.	საჯ.	მოხს.	პასი	ჩაჭ.	დაფ.	ფოლ	ქ.
მასკოლიუნასი	26	0/2	0/2	0/0	5	5	1	0	2	0
შტომბერგასი	25	1/1	2/5	0/2	2	3	0	0	2	8
მასიულისი	16	3/4	0/0	2/2	3	2	0	0	2	8
კარნიშოვასი	34	3/5	1/3	8/9	5	4	2	0	3	17
საბონისი	16	1/5	0/0	1/2	3	1	1	0	5	3
იასიკევიჩუსი	25	2/5	5/7	3/4	1	1	0	0	1	22
ეინიკისი	17	0/4	0/0	2/2	1	0	1	0	1	2
ადომაიტისი	7	1/1	0/0	0/0	1	2	0	0	2	2
ე. ჭუკაუსკასი	17	1/3	0/0	3/6	3	0	0	0	3	5
მ. ჭუკაუსკასი	17	1/1	1/3	0/0	6	0	0	1	2	5
სულ	-	13/31	9/20	19/27	30	18	5	1	23	72



AFP პარი ზიდან

გახარებული ესპანელები ლიტველთა ძლევას, ნახევარფინალში გასვლას და ოლიმპიადის საგზურის მოპოვებას ზეიმობენ

ესპანელებმა ბურთი მეტოქის მოედანზე გადაიტანეს. რჩება 11 წამი და ლიტველები ანგულოს წინააღმდეგ ჯარიმდებიან. ტაქტიკურად ყველაფერი სწორია — ესპანელთათვის ბურთის ფლობა რომ ეცლიათ, მათ, ვინძლო, ბოლო წამებზე ჩაეგდოთ და საპასუხო შეტევისთვის დრო აღარ რჩებოდა. ახლა კი, მართალია, ანგულომ ორივე საჯარიმო ჩაგდო, ანგარიში 74:72 გახადა, მაგრამ წინ მთელი 11 წამია.

ამ 11 წამში კი იასიკევიჩუსმა მოამზადა შეტევა, ესპანელთა რიგებში მოხდენილად გაძვრა და ცარიელ ფართან მარტო გასული სასროლად აიწია...

მერე საბონისს ცრემლები სდიოდა...

შვედეთი
XIII ტური

პამარბი 3:0 ნორჩიოპინგი
იორგრიტე 5:1 ელფსპორგი

ეგრე არაო, ასწავლის მორისი



ამერიკელი სპრინტერი, მსოფლიოს რეკორდსმენი მორის გრინი (ზედა ფოტოზე) შვეიცარიაში ჩასულა და იქაურ ბავშვებს სირბილის რაობასა და ავანჩავანს უხსნის. დღეს ლოზანის „სტად დე ლა პონტეზზე“ დიდი სამძლეოსნო ღონისძიება „ატლეტისიმა“ უნდა გაიმართოს და სამყაროს უსწრაფესი კაციც ამ ამბავშია ჩართული. იქვეა, მისი თანაგუნდელი ჯონ დრამონდიც (ქვედა ფოტოზე), რომელიც ასევე ბავშვებთან ლაღობდა „ატლეტისიმას“ წინა დღეს.

REUTERS ლოზანიდან

ბიძია, დამსვი რა...

კვლავ „კოპა ამერიკას“ სახეები: ურუგვაის ნაკრების მოთამაშენი გაბრიელ ალვესი (მარჯვნივ) და გერარდო მაგალანესი ტუპარეკავოელ პოლიციელთა მოტოციკლეტზე შემომსხდარან და ავტოინსპექტორობას ჩემულობენ. თითქოს ისეა, ბიჭები რომ მიესევიან ხოლმე მათ ეზოში გაჩერებულ მოტოციკლეტს.

კასპაროვი — მსოფლიო ერთსულოვანი ბიბლიოთეკა

მსოფლიო თითქმის ერთსულოვანია

მსოფლიოს ნაკრები მე-5 სვლის არჩევისას ერთსულოვანი იყო. ყმაწვილმა ექსპერტებმაც და მოთამაშეთა 72,4 პროცენტმაც საუკეთესოდ 5. მb8-c6 მიიჩნია.

1	e2-e2	c7-c5
2	მg1-f3	d7-d6
3	კf1-b5+	კc8-d7
4	კb5:d7+	ლd8:d7
5	c2-c4	მb8-c6



ტანია — მედროშე

კანადელი ველოსიპედისტი გოგო ტანია დუბნიკოფი (ჩვენებურად დუბნიკოვა) საგუნდო კეპს იზომებს. სწორედ ტანიას ხვდა წილად პატივი კანადის გუნდის მეიბაირაღედ ყოფნისა, პანამერიკული თამაშების გახსნის ცერემონიალზე. ორმოცდაორი ქვეყნის ხუთი ათასამდე პანამერიკელი სპორტსმენი ჩაერთვება მორიგ კონტინენტურ თამაშებში, 23 აგვისტოს რომ გაიხსნება კანადურ ქალაქ ვინიპეგში, მანიტოას პროვინციის მთავარ ქალაქში.

REUTERS ოტავადან

ქროხეები და ბეისბოლი

REUTERS ჩიკაგოდან

შეერთებულ ამერიკის პრეზიდენტი ბილ კლინტონი ჩიკაგოში ჩასულა და იქაური „კაბსისა“ და და მილუოკელ „ბრიურთა“ ბეისბოლობას დასწრებია. ეს თამაში ყოველი ამერიკელის გულშია და პირველი ამერიკელიც დამტკბარა სანახაობით. თამაშის შემდეგ კი, აბა ვინ შეხვდებოდა კლინტონს, თუ არა ჰოუმრანის დიდოსტატი სემი სოსა? ამ დომინიკელ ბიჭს ბედიც სწყალობს და ოსტატობასაც არ უჩივის.

საკლუბო საჩუქრები ტრადიციული იყო. „კაბსის“ ვიცე-პრეზიდენტი ედ ლინჩი ცოტა მოშორებით კი დგას, მაგრამ კარგად იცის, რომ ორი ვარსკვლავის ულურტულში არ უნდა ჩაერთოს. ეს ამბავი „რიგლი ფილდზე“ მომხდარა, იმავ დღეს კი მიჩიგან ავენიუზე ძროხათა აღლუმი გაუმართავთ და მოხატული (ვისთვის წმინდა და ვისთვის სამწვადე) საქონელი ჩიკაგოს დაუნთაუნში ჩამოუტარებიათ. ძაან ქვეყანა კია ეს ამერიკა...

REUTERS ჩიკაგოდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი
ავთანდილ ბურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი ბურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
უცხოური განყოფილება ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; ინფორმაციის რედაქცია ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ლევან კელაურაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29